

სოფიო თოთიბაძე

**სიძულვილის ენა და გენდერული
სტერეოტიპები ქართულ ციფრულ
მედია-დისკურსში**



**გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2023**

საგრანტო პროექტი განხორციელდა „საქართველოს
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
(SRNSFG)“ მხარდაჭერით [YS-21-339]

© სოფიო თოთიბაძე, 2023

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიას ქ. №4, • : 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-665-2

შესავალი

ბეტა ნაჭყებია, ქეთა კეპულაძე, სალომე ჯორბენაძე, ნონა ჭაბაშვილი, ნათია გოგოლაძე, როზეტა ყალიჩავა, სოფო კვარაცხელია, აითაჯ მახმაროვა, მარიამ მაზიაშვილი, ეკა ნაქევხრიშვილი... ეს იმ ქალთა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ბოლო ათი წლის განმავლობაში შეეწირნენ მამაკაცის ხელს. თუ „ნეტგაზეთის“ 2017 წლის არქივსაც გადავხედავთ, ფემიციდის თემაზე დაწერილ უამრავ სტატიას შევხვდებით¹:

- ცოლის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს 83 წლის კაცი აგვისტოში. შსს-ის ცნობით, ბრალდებულმა 20 წლით უმცროს მეუღლეს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე სანადირო თოფიდან ესროლა. ქალი ადგილზე გარდაიცვალა.
- დანაშაული მოხდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტშიც, სადაც ქალი დანით მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა. ბრალდებული ამ შემთხვევაშიც მისი ქმარი იყო.
- უზნაძის ქუჩაზე მდებარე კორპუსში 17 ივლისს ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს. მას ყელისა და კისრის არეში 8 შემავალი ჭრილობა ჰქონდა. გარდაცვლილი დაახლოებით 19 წლის იყო და თბილისში ნათესავებთან ერთად ცხოვრობდა. მკვლელობის ბრალდებით შსს-მ გარდაცვლილის ბიძაშვილი დააკავა.
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისში 4 მაისს ქალი მოკლეს. როგორც დაბა თამარისში ბოლნისის გამგებლის წარმომადგენელმა ალი

¹ <https://netgazeti.ge/news/236199/>

გურბანოვმა "ნეტგაზეთს" უთხრა, – მკვლელობაში ბრალდებული გარდაცვლილი ქალის ქმარია.

- ქალი მოკლეს თბილისში 24 აპრილსაც. დაკავებულია ყოფილი ქმარი. გამოძიების ვერსიით, ოთხი შვილის დედა, მირანდა ვაჩეიშვილი, ყოფილმა ქმარმა გაგუდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მირანდა ვაჩეიშვილის შვილი ამბობდა, რომ სიკვდილამდე დედამისმა პოლიციას არაერთხელ მიმართა, თუმცა სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია: "მუდმივად შიმშის ქვეშ ცხოვრობდა. პოლიციას მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა, მკვლელი დიდი ხანია ციხეში იქნებოდა. თავადაც შევესწარი, როცა ფეხმძიმე დედას სცემდა. პოლიციას ყოველ ჯერზე ვრთავდით საქმეში, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია."
- ასპინძაში ცოლის მკვლელობის ბრალდებით ქმარი 9 აპრილსაც დააკავეს. შსს-ს ცნობით, მკვლელობის შემდეგ ბრალდებულმა ერთ-ერთ პირს თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა. „სამხრეთის კარიბჭის“ ცნობით, ეს იმ ადამიანის მამაა, რომელზეც ბრალდებული ეჭვიანობდა.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი, უდავოდ, მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო უდიდესი გამოწვევის წინაშე დგას, როდესაც საქმე ქალის ოჯახში და ოჯახს გარეთ ძალადობას ეხება. ამ ყველაფერში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებაში გაბატონებულ სტერეოტიპებს აკისრია. სტერეოტიპებს კი, თავის მხრივ, სიძულვილის ენასთან მივყავართ. მიუხედავად იმისა, რომ რთულია ცალსახად წარმოვადგინოთ სიძულვილის ენის განმარტება და არანაკლებ რთულია მისი ამოცნობაც, ყველას მეტ-ნაკლებად გვქონია მასთან შეხება და გამოგვიცდია მისი უარყოფითი მხარეებიც.

ამ წიგნის მთავარ მიზანს წარმოადგენს, შეისწავლოს სიძულვილის ენა, მისი რაობა და წარმოშობა და წარმოაჩინოს უდიდესი პრობლემა, რომელიც არცთუ ისე სერიოზულად მიიჩნევა დღევანდელ საზოგადოებაში. სიძულვილის ენის შესწავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პრობლემის არსის გაგება და გააზრება წინ გადადგმული ნაბიჯია მის აღმოსაფხვრელად. მასზე ცნობიერების ამაღლება კი დაეხმარება საზოგადოებას, გააცნობიეროს და ამოიცნოს სიძულვილის შემცველი ენის ბუნება და გავლენა. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ სიძულვილის ენა ხშირად მიემართება კონკრეტული თემის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის ჯგუფებს, მისი შესწავლა ხელს შეუწყობს მარგინალიზებული ჯგუფების უფლებების დაცვასა და საზოგადოებაში სრულ ინტეგრაციას და მათდამი შემწყნარებლური მიდგომის გამომუშავებასა და დაცვას. სიძულვილის ენის ლინგვისტური ანალიზი დაგვეხმარება სტრატეგიების შემუშავებაში, რომელთა საშუალებითაც თავიდან ავიცილებთ რადიკალიზაციასა და ძალადობას, რომელიც მომდინარეობს სიძულვილით სავსე იდეოლოგიებიდან. აღსანიშნავია სიძულვილის ენის გავრცელების სისწრაფეც ოცთამეერთე საუკუნეში ტექნოლოგიისა და ონლაინ საიტების სწრაფად მზარდი პოპულარობის გამო. ონლაინ სივრცეში გავრცელებული სიძულვილის ენის შესწავლით დავეხმარებით საკითხის ირგვლივ არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლებას, არამედ ონლაინ პლატფორმები შეძლებენ საჭირო სტრატეგიების შემუშავებას, რომ უფრო ეფექტურად ებრძოლონ პრობლემას. არ უნდა დაგვავიწყდეს გამოხატვის თავისუფლებაც, რომელიც ხშირად მოდის წინააღმდეგობაში სიძულვილის ენასთან. ამ უკანასკნელის კარგად შესწავლა, რომელიც დღემდე პრობლემურ

საკითხად რჩება, დაგვეხმარება სიძულვილის ენასა და სიტყვის თავისუფლებას შორის ბალანსის პოვნაში.

შესაბამისად, ამ წიგნის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სიძულვილის ენის სოციოლინგვისტური ანალიზი, რათა მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია ამ უაღრესად აქტუალური პრობლემის შესახებ და, შედეგად, უფრო შემწყნარებელი გახადოს საზოგადოება

მინდა უდრმესი მადლობა გადავუხადო ჩემს მენტორებს, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს რუსუდან დოლიძეს და ტუმას უნივერსიტეტის (იტალია) ასოცირებულ პროფესორს სონია მარია მელქიორეს ამ წიგნის შექმნის პროცესში მათ მიერ გაწეული ფასდაუდებელი შრომისთვის, ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერისთვის. მათი გამოცდილება მნიშვნელოვანი იყო ნაშრომის შინაარსისა და მიდგომების ჩამოყალიბებაში. ბედნიერი ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა, შესწავლა მათგან. მათმა მენტორობამ არა მხოლოდ გაამდიდრა ეს წიგნი, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩემს, როგორც სპეციალისტისა და მკვლევრის, განვითარებაში.

ასევე მინდა ჩემი გულწრფელი მადლიერება გამოვხატო საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისადმი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ პროექტის განხორციელებაში.

Acknowledgments

I would like to express my deepest gratitude to my mentors, Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Rusudan Dolidze and Sonia Maria Melchiorre, Associate Professor of Tuscia University, Italy, for their invaluable guidance, support, and profound insights throughout the period of creating this book. Their expertise and mentorship have been instrumental in shaping the ideas and content within these pages. I am truly fortunate to have had the privilege of learning from them. Their mentorship has not only enriched this book but has also contributed significantly to my growth as a researcher. I extend my deepest gratitude for their generous investment of time, knowledge, and encouragement.

I would also like to express my sincere appreciation to the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia for their generous support, which played a pivotal role in making this book possible.

თავი I

ის, რაც უკვე ცნობილია

ნაშრომის პირველი თავი განიხილავს ფემინიზმის, გენდერისა და სიძულვილის ენის არსს. წარმოდგენილია გენდერული სტერეოტიპებისა და სიძულვილის ენის თემაზე შექმნილი უახლოესი, როგორც საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური კვლევები, ასევე სოციალური და იურიდიული მიდგომები სიძულვილის ენისა და სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. წიგნის პირველი ნაწილი, ასევე, თეორიულად მიმოიხილავს სოციალური მედიის როლს სიძულვილისა და გენდერულად მარკირებული დისკურსის გავრცელებაში. გარდა ამისა, ნაშრომის ამ თავში წარმოდგენილ თეორიულ მასალას ეფუძნება მის მეორე თავში წარმოდგენილი კვლევა.

გარდა ამისა, მონოგრაფიის პირველი თავი კრიტიკულად აანალიზებს და აპირისპირებს სხვადასხვა მეცნიერის შეხედულებებსა და მიდგომებს და, საბოლოოდ, შეჯერებულად გვთავაზობს სიძულვილის ენის განმარტებას და თუ რა ხერხებით შეიძლება ვებრძოლოთ მას. აქვე განმარტებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა მიზოგინია, სექსიზმი, როგორც სიძულვილის ენის მუდმივად თანმდევი იდეოლოგიის გამომხატველი ერთეულები. გარდა ამისა, განვიხილავთ, თუ სად გადის ხაზი სიტყვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის და არსებობს თუ არა რაიმე ბერკეტი სიძულვილის ენის თავიდან ასარიდებლად.

ფემინიზმი და გენდერი

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებიდან მოყოლებული, ქალთა უფლებების დამცველის, სუფრაგისტებისა და ფემინიზმის სხვადასხვა ტალღების მებრძოლთა ძალისხმევის შედეგად, გამოიკვეთა ქალთა როლი საზოგადოებაში. თუ დასაწყისში დემონსტრაციების მონაწილეები ქალებისათვის მხოლოდ ხმის მიცემის უფლებას ითხოვდნენ, მანიფესტაციების მომდევნო ტალღის მთავარ მიზანს საზოგადოებაში ქალის ყველა სფეროში თანასწორობა და ჩართულობის უფლება წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ქალი, იურიდიული თვალსაზრისით, მამაკაცის თანასწორია, კულტურული გენდერული სტერეოტიპები ყველა საზოგადოებაში მჭიდროდაა ფესვგადგმული; ამ მდგომარეობას თან ერთვის არასწორი აღზრდა და განათლების ნაკლებობა, რაც, საბოლოო ჯამში, კვლავ ქალთა უფლებების დარღვევითა და მათი საზოგადოების არასრულფასოვან წევრებად აღქმით გამოიხატება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული საკანონმდებლო ბაზა ასახავს გენდერული თანასწორობის მთავარ პრინციპებს და შეესაბამება საერთაშორისო ვალდებულებებსა და სიტუაციას (UNDP, 2018), ქართული საზოგადოება კვლავ რჩება მამაკაცის მიერ დომინირებულ საზოგადოებად. ეს ნიშნავს, რომ მამაკაცები ჭარბობენ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მრავალ სფეროში, რაც ქალს ხშირად დაქვემდებარებულ სტატუსს ანიჭებს როგორც საზოგადოებაში, ისე ოჯახში (UN women). უახლესი კვლევის თანახმად, „საქართველოში ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა ასევე აღიარებულია საზოგადოებრივ პრობლემად და საჭიროა მასზე ყურადღების გამახვილება“ (UN

women). უფრო მეტიც, სახალხო დამცველის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ (2019 წ.) ნაჩვენებია, რომ „ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში 151 ქალი მოკლეს გენდერული და ოჯახური ძალადობის გამო“². სამწუხაროდ, ეს სტატისტიკა 2022-2023 წლებში საგრძნობლად გაიზარდა. საკითხი მწვავედ აისახა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში „გენდერული სიძულვილის ამსახველი დანამაჟული“ (2021 წლის 10 მარტი). „სამწუხაროდ, ფემიციდისა და ლგბტ+ ადამიანების მიმართ ძალადობის მაჩვენებლები კვლავ მაღალია ქვეყანაში, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობა ასეთ შემთხვევებს ხშირად უჩინარს ხდის, რაც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.“³ უფრო დაზუსტებით, მოყვანილი დოკუმენტი მიიჩნევს, რომ საქართველოში ხშირია გენდერული ნიშნით ჩაგვრაზე დაფუძნებული დანამაჟულის შემთხვევები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან არა მარტო ქალს, არამედ, ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად გენდერისა, ვისი სურვილებიც და მისწრაფებებიც არ შეესაბამება საზოგადოებაში გაბატონებულ ნორმებსა და გენდერულ როლებს. კვლევის მიხედვით, ამგვარ დანამაჟულს აქვს „მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი გავლენა დაზარალებულ(ებ)ზე და, ასევე, იგი ძირს უთხრის საზოგადოების უსაფრთხოებასა და ერთიანობას და გენდერულ თანა-

² <https://agenda.ge/en/news/2019/3386>

³ <https://ombudsman.ge/eng/akhali-ambebi/tematuri-sainformatsio-dokumenYs-genderis-nishnit-chadenili-sidzulvilit-moYvirebuli-danashaulebis-prezentatsia;>
(<https://www.osce.org/odihr/480847>)

სწორობას⁴. საინტერესოა, რომ სახალხო დამცველის განცხადებით, შემამოფოთებელია ქალის წინააღმდეგ გენდერული ხასიათის დანაშაული, ოჯახური და სხვა სახის ძალადობა და სიძულვილის დისკურსი არა მარტო ქალის, არამედ ლგბტ+ ჯგუფების წინააღმდეგ, რაც დიდ გამოწვევას წარმოადგენს დღევანდელ ქართულ სინამდვილეში.

მეორე მხრივ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ენა ხშირად გამოიყენება, როგორც გენდერული ჩაგვრის ინსტრუმენტი (თოთიბაძე, 2021a). შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია ენათმეცნიერების ფარგლებში წარმართული ფემინისტური და გენდერული კვლევები, რომლებიც, ბუნებრივია, საბოლოო ჯამში, ემსახურება პრობლემის წარმოჩენას, ასახვასა და გადაჭრის გზების შეთავაზებას.

ინგლისურენოვან სპეციალურ ლიტერატურაში ლინგვისტურ-გენდერული კვლევების პიონერად რობინ ლეიკოფი გვევლინება, რომელმაც ქალისა და მამაკაცის ლინგვისტური განსხვავებებისადმი კვლევების ინტერესი გააჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი მწვავედ გააკრიტიკეს, მისი როლი მაინც შეუფასებელია, როგორც მკვლევრისა, რომელმაც გენდერული კვლევები წინ წამოწია (თოთიბაძე, 2021a).

ნაშრომში „ენის, გენდერისა და სექსუალობის გზამკვლევი“ (2014) მერი ბუშოლცი გვთავაზობს ფემინიზმის საკუთარ განმარტებას, რადგანაც ტერმინი ხშირად არასწორადაა გაგებული და ხალხში განსხვავებულ ემოციებს იწვევს. ბუშოლცის ნაშრომის მიხედვით, ფემინიზმი არის:

⁴ <https://www.osce.org/odihr/480847>

მრავალფეროვანი და ხანდახან ურთიერთსაპირისპირო თეორიული, მეთოდოლოგიური და პოლიტიკური მიდგომების ერთობლიობა, რომელთაც გენდერთან და სექსუალობასთან დაკავშირებული სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა აერთიანებს.

უფრო მეტიც, ბუშოლცი (2014) აღნიშნავს, რომ ენა, გენდერი და სექსუალობა ზუსტად ისევეა ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც თავად ფემინიზმი, მათ აერთიანებთ არსი და მიზნები, თუმცა განსხვავდებიან საბოლოო მიზნის მიღწევის გზის ძიების თვალსაზრისით. ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისთვის მებრძოლი ფემინისტური მოძრაობების სულისკვეთება ლინგვისტურ პრობლემატიკაშიც აისახა და სოციოლინგვისტიკაში, ისევე როგორც სოციოლოგიასა და სხვა მეცნიერებებში, ლიბერალურ, კულტურულ და რადიკალურ ფემინიზმად მოგვევლინა. ეს მიმართულებები ერთიანდებიან ფემინისტური იდეის ირგვლივ, თანხმდებიან, რომ უნდა აღმოიფხვრას გენდერული ნიშნით განსხვავება, თუმცა რადიკალურად განსხვავდებიან იმ გზებისა თუ ხერხების თვალსაზრისით, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მიაღწიონ მიზანს.

ბუშოლცი (2014) დეტალურად და საინტერესოდ მიმოიხილავს ფემინისტურ ტალღებს და თითოეული მიმართულების გამოჩენილ ავტორებს. ავტორის მიხედვით, ლიბერალური ფემინიზმი ცდილობს, დაამყაროს მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობა სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში. მეორე მხრივ, მის მიზანს არ წარმოადგენს ზოგადი სოციალური სტრუქტურის ცვლილება, არამედ არსებულ სტრუქტურაში ქალებისადმი თანაბარი შესაძლებლობების მიცემა. ლიბერალურმა

ფემინიზმმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობისკენ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალთა და მამაკაცთა თანასწორ ხელფასებს, აბორტის უფლებას, ოჯახური ძალადობის პრობლემას და ა.შ., თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს საშუალო სოციალური კლასის წარმომადგენელ ქალთათვის საშუალების მიცემა, რომ ემუშავათ ისეთ ტრადიციულ მასკულინურ და მამაკაცის მიერ დომინირებულ დარგებში, როგორიცაა პოლიტიკა, იურისპრუდენცია და ა.შ. ლიბერალური ფემინიზმი ენასა და ლინგვისტიკაშიც აისახა და მისი გავლენით ინგლისურ ენაში ამჟამად დიად სექსისტური სიტყვები ნაკლებად გამოიყენება- fireman- firefighters, policeman-police officers და ა.შ.

ლიბერალური ფემინიზმის იდეების წარმომადგენელ პირველ ლინგვისტად რობინ ლეიკოფი გვევლინება, რომელმაც 1975 წელს გამოსცა წიგნი „ენა და ქალის ადგილი“ (Language and Woman's Place), რომელმაც ქალთან დაკავშირებული პრობლემებისა და გენდერის კვლევა ლინგვისტიკის ერთ-ერთ სფეროდ ჩამოაყალიბა. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მისი ნაშრომი მწვავედ გააკრიტიკეს, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ლეიკოფი მამაკაცის ენას – ნორმად, ქალის ენას კი მისგან გადახვევად წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ლეიკოფის ნაშრომის მთავარ იდეას შეადგენს აზრი, რომ ენაში წარმოდგენილი, ლინგვისტურად „გაფორმებული“ იდეოლოგია ქალის უფლებებს ლახავდა. სწორედ ამიტომ, შემდგომი კრიტიკის მიუხედავად, ლეიკოფის ნაშრომი დღემდე მნიშვნელოვან კვლევად გვევლინება ლიბერალური ფემინიზმის პრობლემატიკის თვალსაზრისით.

ბუშოლცის (2014) მიმოხილვაში კულტურული ფემინიზმის მთავარ მამოძრავებელ იდეას წარმოადგენს ის,

რომ ქალის აზროვნება, ქმედება და საუბარი სრულიად განსხვავდება მამაკაცისგან, რაც ქალსა და მის მეტყველებას ერთ სოციალურ გარემოცვაში არსებულ, განსხვავებულ ქვეკულტურად წარმოგვიდგენს. ის თავის თავში მოიცავს ლიბერალურ-კულტურულ ფემინიზმსა და რადიკალურ კულტურულ ფემინიზმს. ლიბერალური კულტურული ფემინიზმი, ისევე როგორც ლიბერალური ფემინიზმი, ემხრობა გენდერულ თანასწორობას, თუმცა მოითხოვს ქალსა და მამაკაცს შორის არსებული განსხვავებების თანაბარწონიანობას, თანასწორ ღირებულებას. ლიბერალურ-კულტურულ ფემინისტი ენათმეცნიერი დებორა ტანენი ნაშრომში „შენ უბრალოდ არ გესმის“ (You Just Don't Understand) (1994) მიიჩნევს, რომ ქალები და მამაკაცები ერთმანეთს იმიტომ ვერ უგებენ, რომ ისინი სხვადასხვა კულტურას წარმოადგენენ და მათ ურთიერთობის სხვადასხვა სტილიც აქვთ. ლეიკოფისგან განსხვავებით, ტანენის ეს ნაშრომი უფრო კეთილგანწყობილად მიიღო საზოგადოებამ, თუმცა ისიც ვერ ასცდა კრიტიკას, რადგანაც ოპონენტებმა მიიჩნიეს, რომ ტანენი ქალებს მოუწოდებდა, მორგებოდნენ მამაკაცურ სასაუბრო ნორმებს.

რადიკალური კულტურული ფემინიზმი აღიარებს, რომ ქალისა და მამაკაცის ლინგვისტური რეპერტუარი ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა, ამ მიმართულების მიხედვით, ქალის ენა ბევრად მაღლა დგას მამაკაცისაზე და ქალის საზოგადოებრივი დომინანტობა უფრო სასურველია, ვიდრე მამაკაცისა. მაგალითად, ჯანეტ ჰოლმსი (1993) მიიჩნევს, რომ ქალის ენის მახასიათებლები მამაკაცებს შეუძლიათ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ, რადგანაც, ზოგადად, მამაკაცების ენა მგრძნობიარობასაა (sensitivity) მოკლებული. რადიკალური კულტურული ფემინიზმის წარმომადგენელია

ჯენიფერ კოტიც, რომელიც წიგნში „ქალები საუბრობენ“ (Women Talk) (1996) მიიჩნევს, რომ ქალების ენა და მათ მიერ დანერგილი ურთიერთობების ტიპი უნდა საფუძვლად დაედოს საზოგადოებაში კომუნიკაციის მისაღებ მოდელს.

რადიკალური ფემინიზმი, სავარაუდოდ, ტერმინით „ფემინიზმი“ საზოგადოების მიდგომას გამოხატავს და მის გამო ბევრს არ სურს, რომ მათი თვალსაზრისი ფემინისტებთან ასოცირდებოდეს, თუმცა, თავისი საწყისი იდეით, რადიკალური ფემინიზმის მოწოდებები არ შეიძლება რადიკალური მემარჯვენეების მოთხოვნებს გაუთანაბროთ. რადიკალური ფემინიზმი საზოგადოებრივ უთანასწორობას გენდერული უთანასწორობით ხსნის, რაც პატრიარქალური საზოგადოებრივი წყობითაა გამოწვეული, რომელიც მუდმივად ცდილობს ქალის სტრუქტურულ სუბორდინაციას. რადიკალური ფემინიზმის მიმდინარეობებს შორის ერთ-ერთ წამყვან ლინგვისტად შეგვიძლია ვადიაროთ სუსან ბრაუნმილერი (1975), რომელმაც ქალების წინააღმდეგ ძალადობა, კონკრეტულად კი გაუპატიურება, წარმოადგინა, როგორც კაცების მიერ დომინანტური პოზიციის შენარჩუნების მცდელობა. გაუპატიურების აქტისა და ძალადობის მისეულმა ინტერპრეტაციამ არა მხოლოდ ჩამოაყალიბა რადიკალური ფემინიზმის მთავარი აზროვნების ფორმა, არამედ მან შეცვალა გაუპატიურების აქტისადმი სამართლებრივი და კულტურული მიდგომა (Bucholtz, 2014).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ლინგვისტიკაში, ფემინისტური მოძრაობის ენობრივი გაფორმების ტალღების მიხედვით, სამი ტაქსონომია გამოიკვეთა: დეფიციტურობის (ლიბერალური ფემინიზმი), განსხვავებულობის (კულტურული ფემინიზმი) და დომინანტურობის (რადი-

კალური ფემინიზმი) (Coates, 2004; Bucholtz, 2014; თოთიბაძე, 2021). სამივე მიდგომა ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა მათი კვლევის ამომავალ წერტილად სწორედ რომ გენდერული სხვაობა გვევლინება (Bucholtz, 2014).

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, თუ რა განსხვავებაა სქესსა და გენდერს შორის. პირველად გენდერსა და სქესს შორის ტერმინოლოგიური განსხვავება რობერტ სტოლერმა შემოგვთავაზა. მისი თეორიის მიხედვითაც, „სქესი“ აღნიშნავს ქალსა და მამაკაცს შორის ბიოლოგიურ განსხვავებებს, ხოლო „გენდერი“ სოციალური კონსტრუქტია, რომელსაც საზოგადოება აწესებს და დამყარებულია ბიოლოგიურ სქესზე (Browne, 1992; თოთიბაძე, 2021). შესაბამისად, სქესი, გენდერთან შედარებით, ნაკლებად ცვალებადია. გენდერი კი განპირობებულია საზოგადოებრივი წყობით, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე, ერთ საზოგადოებაშიც კი, სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს (თოთიბაძე, 2021). სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსხვავებით სქესისაგან, გენდერი არ არის ის, რითაც ვიბადებით, არამედ ის, რასაც საზოგადოება გვანიჭებს საზოგადოებაში მიღებული სტანდარტების გამო და მათზე დაყრდნობით (West & Zimmerman, 1987).

ენა და გენდერული სტერეოტიპების სოციოლინგვისტური და კულტურული მახასიათებლები

ჩვენი, როგორც საზოგადოების წევრების, პირველი შეხება გენდერთან ჩასახვიდანვე იწყება, როდესაც მშობელი მზადაა და შეუძლია, ნაყოფის სქესიდან გამომდინ-

ნარე, მიიღოს გადაწყვეტილება, ამქვეყნად მოგვავლინოს თუ არა⁵. იმ შემთხვევაში, თუ სელექციური აბორტის მსხვეპლი არ გავხდით, გენდერული როლების შემდეგ ნაწილებს ვეცნობით, როდესაც მშობლები და საზოგადოება ტანსაცმლის ფერებსა და სათამაშოებსაც კი ჩვენი სქესიდან გამომდინარე გვირჩევენ. მოგვიანებით კი, აღზრდისას, შინ თუ სკოლაში, გამუდმებით გვახსენებენ ჩვენს გენდერულ როლებს და მიგვითითებენ, თუ რომელ ჩარჩოს უნდა მოვერგოთ, ჩვენი სქესიდან გამომდინარე: „ბიჭი, ხომ არ ხარ, ქუჩაში ირბინო“, „რა ქალაბიჭასავით/ქალაჩუნასავით იქცევი“, „გოგოსავით ნუ ტირი“, „რა გოგოსავით ისვრი“... ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი ფრაზები ბავშვის გონებაში მკვეთრად აყალიბებენ იმ სოციალურ გენდერულ არაჯანსაღ როლებს, რომლებიც მათ ცხოვრებაში უნდა მოირგონ. ბავშვები სწავლობენ, რომელ გენდერს (და არა სქესს) უნდა მიეკუთვნონ. შედეგად, ჩვენი ქმედებები, რწმენები, სურვილებიც კი, დროთა განმავლობაში საზოგადოების მიერ შექმნილ გენდერულ როლებს ერგება და ერწყმის, მათგან გადახვევა კი შიდა დისკომფორტსა და საზოგადოების გაღიზიანებასაც კი იწვევს. მოგვიანებით, ზღაპარი, რომელიც ტრადიციული, საზოგადოებაში მიღებული სტერეოტიპებით (მათ შორის, გენდერული როლების სტერეოტიპული ინტერპრეტირებით) არის დახუნძლული (თოთიბაძე, 2021), თავისებური ქცევის სახელმძღვანელოს როლს კისრულობს და კიდევ ერთხელ მიუთითებს ბავშვს, თუ რა არის ნორმა მისი, საზოგადოებრივად მოსაწონი ქცევისთვის და რა –

⁵ UNFPA-ს მონაცემებით, 1990-2010 წლებში საქართველოში სელექციური აბორტების გამო არ დაბადებულა 25 000 გოგონა. ბოლო 25 წლის განმავლობაში კი სელექციური აბორტის გამო არ დაიბადა 31 446 გოგონაზე მეტი.

არა. ამგვარად, თანდათანობით და ეტაპობრივად, თანაც ბუნებრივად ვეცნობით საზოგადოების მიერ დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს ჩვენი სოციალური როლების შესახებ, რაც ჩვენი პროფესიის არჩევის თუ პროფესიის გარეშე დარჩენის არჩევანსაც კი განსაზღვრავს. სამწუხაროდ, იმის ჩამოთვლა, თუ როგორ ნელ-ნელა ვარგებთ ბავშვს პატრიარქალურ ნორმებს, როგორ ვასწავლით ქალს, დაემორჩილოს მამაკაცს, და როგორ ვასწავლით მამაკაცს დომინანტობას საზოგადოებაში. ჩამონათვალი შეიძლება უსასრულოდ გავაგრძელოთ.

ხშირად აღნიშნულა, რომ ენა, როგორც საზოგადოებისა და კულტურის განუყოფელი ნაწილი, ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. სწორედ რომ ენის მეშვეობით ესხმება ხორცი საზოგადოებაში გაბატონებულ სტერეოტიპებსა და შეხედულებებს, რომლებიც შემდეგ თაობიდან თაობას გადაეცემა, იქნება ეს ფოლკლორული სიბრძნის – ანდაზების სახით (Totibadze, 2021b) თუ ტრადიციული ზღაპრებით (თოთიბაძე, 2021) და არა მხოლოდ. ფემინიზმის სხვადასხვა ტალღის ერთგული ლინგვისტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომებიც ამას ცხადყოფენ. ყველა კულტურის ენა, სტრუქტურულ დონეზეც კი, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების აზროვნებაზე და, პირიქით, რითაც საზოგადოება გავლენას ახდენს ენის განვითარებაზე, გენდერულად მარკირებულია. ეს მოიცავს ენის ყველა დონესა თუ სისტემას: ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს, ლექსიკასა თუ გრამატიკას. ბუნებრივია, ეს ყველაფერი შემდეგ კონკრეტულ დისკურსში აისახება.

გენდერული როლებისა და სტერეოტიპების ლინგვისტური გამოხატულება კარგად ჩანს ზღაპრებში, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ადვადგინოთ საზოგადოებრივი წყობა როგორც სინქრონული, ისე დიაქრო-

ნული, ერთი კულტურისა თუ კულტურათაშორისი თვალსაზრისით. ტრადიციული და თანამედროვე ევროპული და ქართული ზღაპრების საფუძვლიანმა შესწავლამ (თოთიბაძე, 2021) კიდევ ერთხელ დაგვანახვა ის სოციო-კულტურული სტანდარტები, რომლებიც უნივერსალურად აისახება სხვადასხვა ენაში; ტრადიციულ ზღაპრებში ქალები, უმეტესწილად, დაკავშირებული არიან საოჯახო სივრცესთან, რაც იწვევს მათ სოციალურ პასიურობას. ზღაპრებში გამოკვეთილია ქალების შეფასების დიქოტომია – კარგი ქალი და ცუდი ქალი (ამ დიქოტომიას სიძულვილის ენის გაანალიზებისასაც შევხვდებით). ზღაპრებში კარგი ქალი – დამჯერი, პასიური, ლამაზი ქალია, ცუდი კი – ძლიერი და დამოუკიდებელი, რომელიც ხშირად მახინჯად და ბოროტად არის გამოყვანილი (მაგ., ფიფქიას დედინაცვალი). „ცუდი“ ქალები ზღაპრებში აუცილებლად ისჯებიან და ხშირად კვდებიან კიდევ.

მეორე მხრივ, მამაკაცი პერსონაჟები კი აქტიურნი არიან, ხშირად ჭკვიანებიც, მათი გარეგნული მხარის აღწერა და მისი ხაზგასმა თითქმის არ ხდება. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნაშრომი ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ პერსონაჟების გენდერულად მარკირებულ ლინგვისტურ რეპერტუარს, არამედ ავტორების მიერ მათ აღწერებსაც, რომლებიც პერსონაჟების სოციალური როლების შესახებ აშკარა სურათს გვიხატავენ. მაგალითისთვის, ქალის პერსონაჟების ქმედების აღწერის დროს გამოყენებული ზმნები არ მოიცავს აქტიური ფიზიკური თუ კოგნიტური პროცესის აღმნიშვნელ ზმნებს. მეორე მხრივ, მამაკაცი პერსონაჟები სწორედ რომ აქტიური პროცესის ზმნებით ხასიათდებიან. ავტორის მიერ აღნიშნულ დასკვნას ისიც აძლიერებს, რომ თითოეული სტერეოტიპი, რომელიც ტრადიციულ ქართულ თუ ევროპულ ზღაპარშია წარმოდგენილი, სათითაოდაა

დამსხვრეული და „შეტრიალებული“ თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ ზღაპრებში „იყო ერთი გოგო“, რომლებიც სწორედ ამ მიზნით დაიწერა და შეიქმნა. თანამედროვე ქართულ ზღაპრებში ტრადიციული ნარატივის კვალდაკვალ აღწერილი ქალის ნაცვლად წარმოდგენილია ძლიერი ქალი პერსონაჟები, რომელთაც მამაკაცების დაცვა არ სჭირდებათ. პირიქით, ისინი, ხშირ შემთხვევაში, თავად ესარჩლებიან და იცავენ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს. თოთიბაძის (2021) აზრით, ზღაპარში ტრადიციული როლები თანაბრად ახდენენ უარყოფით გავლენას როგორც გოგონებზე, ისე ბიჭებზე. მათი თანამედროვე ზღაპრებში სრული შემობრუნებითა და უფრო თანამედროვე და ჯანსაღი დამოკიდებულების წარმოდგენით კი ორივე სქესს ავარიდებთ თავიდან სოციალური თუ კულტურული სტერეოტიპების მსხვერპლად გახდომას – გოგონები სწავლობენ, რომ ისინი არ დაისჯებიან, თუ დამოუკიდებელ, ძლიერ ქალებად გაიზრდებიან, ბიჭები კი დაინახავენ, რომ მათთვის არაა სამარცხვინო ტირილი, ემოციების გამოხატვა თუ შიშის ემოცია. შესაბამისად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ენა შეგვიძლია გამოვიყენოთ არა მხოლოდ საზოგადოების შესაბოჭად, მათში არასასურველი და არაჯანსაღი, მაგრამ საზოგადოებაში გაბატონებული გენდერული როლების გასაპყრველად, არამედ მათ დასამსხვრევადაც.

რა არის სიძულვილის ენა

სიძულვილის ენა არის ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა, რომელიც შეიცავს მუქარასა თუ დისკრიმინაციულ შეხედულებებს საზოგადოების წიაღში არსებული სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. სიძულვილის ენის ყველაზე ხშირი სამიზნე

ჯგუფები არიან რასით, ეთნიკურობით, გენდერით, რელიგიური შეხედულებით, სექსუალური ორიენტაციითა თუ ასაკით განსხვავებული ადამიანები (Nakaya, 2021). სიძულვილი ცოცხლდება ენასა და ჩვენს ქმედებაში და, შეიძლება ითქვას, რომ მას უნივერსალური ხასიათი აქვს, რომელიც დაგეგმილ და კოორდინირებულ გენოციდშიც კი შეიძლება გადაიზარდოს. სამწუხაროდ, სიძულვილს არ გააჩნია გეოგრაფიული საზღვრები და ეროვნება (Waltman & Haas, 2011). გარდა ამისა, სიძულვილის ენა შეიძლება გამოხატული იყოს არა მხოლოდ ვერბალურად, არამედ არავერბალური მედიუმების საშუალებითაც, მაგალითად, ნახატებითა თუ სურათებით. მაგალითად, სვასტიკა სიძულვილის ენის ერთ-ერთ ყველაზე ცნობად სიმბოლოდაა ქცეული, რომლის გამოყენებაც გერმანიაში დღესაც არალეგალურად ითვლება (Nakaya, 2021).

სიძულვილის ჯგუფები, შესაძლებელია, საზოგადოებაში არსებულ ქვეკულტურებადაც კი განვიხილოთ, რადგანაც მათ გააჩნიათ საკუთარი რწმენა, მიზნები და უნიკალური შეხედულებები რასის, რელიგიის, გენდერისა თუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ და ეს ყველაფერი, ბუნებრივია, გამოიხატება და შეისწავლება ენის მეშვეობით (Perry, 2001; Waltman & Haas, 2011). აღსანიშნავია, რომ სიძულვილის იდეოლოგია მრავალფეროვანია, თუმცა, საბოლოო ჯამში, ერთ მიზანს ემსახურება და ესაა ერთი ჯგუფის მიერ მეორის დაქვემდებარება. ასეთ იდეოლოგიებად შეიძლება წარმოვიდგინოთ უკიდურესი რელიგიური იდეოლოგიები, თეთრკანიანი სუპრემისტები, ქსენოფობები, სექსისტები და სხვა მრავალი (Waltman & Haas, 2011).

კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, წიგნში ძირითადი ყურადღება დაეთმობა სექსისტურ სიძულვილის

ჯგუფებსა და მათ დისკურსს, რომლებმაც, შიდა ჯგუფის (in-group) წევრების გარდა, შეიძლება ყველა ადამიანი საფრთხედ აღიქვან. მაგალითად, ამგვარი სულისკვეთებით განმსჭვალული ჯგუფებისათვის, ფემინისტების მიდგომები საფრთხის შემცველია, რადგანაც ისინი საზოგადოებაში ავრცელებენ აზრს გენდერული თანასწორობის შესახებ, რითაც საფრთხეს უქმნიან ქალის ტრადიციული როლის აღქმას საზოგადოებაში და ამით, გარკვეულწილად, ცვლიან საზოგადოებრივ წესრიგს და სტერეოტიპებს.

საკმაოდ რთულია სიძულვილის ენის ცალსახა განმარტების შემოთავაზება, თუმცა ამკარაა, რომ ის არ უნდა ავურიოთ სიტყვიერ შეურაცხყოფაში. რიჩარდსონ-სელფის (2021) განმარტების მიხედვით, სიძულვილის ენა, მიუხედავად იმისა, მიმართულია თუ არა ის კონკრეტული ინდივიდისკენ, საბოლოო ჯამში, ვნებს კონკრეტული ჯგუფის/საზოგადოების თითოეულ წევრს. მაგალითად, თუ სიძულვილის ენა ონლაინ სივრცეში მიმართულია ერთი რომელიმე კონკრეტული ქალბატონის მიმართ, ეს ნიშნავს, რომ ეს არის ვერბალური დისკრიმინაცია, რომელიც, საბოლოო ჯამში, მიემართება ყველა ქალს და ქმნის მათთვის უარყოფით ონლაინ სივრცეს. უფრო კონკრეტულად, როდესაც ქალი გაკიცხულია რაიმე მოქმედების გამო, რომელიც არ „მოსწონს“ პატრიარქალურ საზოგადოებას, ამით სხვა ქალებს ეგზავნებათ გაფრთხილება, რომ თუ თვითონაც მსგავსად მოიქცევიან, ისინიც ასევე გახდებიან სიძულვილის ენის სამიზნე. გარდა ამისა, სიძულვილი არ უნდა აგვერიოს გაღიზიანებისა და ბრაზის ემოციაშიც, რადგანაც, როგორც არისტოტელე აღნიშნავს, სიძულვილი უფრო გრძელვადიანი და სამიში ემოციაა და ემპათიის ნაკლები ელემენტებით ხასიათდება, ვიდრე ბრაზი, რომელიც

დროთა განმავლობაში ნელდება. თუ ენაში სიძულვილი აშკარად არის ასახული, ეს ნიშნავს, რომ ის ასევე არსებობს ადამიანის გონებაშიც, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება სტერეოტიპული აზროვნებაა. სწორედ რომ ენის მეშვეობით გამოიხატება და ვრცელდება სიძულვილის საფრთხის შემცველი ნარატივები და კულტურული მითები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და თანდათანობით ამ გრძნობას ნერგავს (Waltman & Haas, 2011).

მიიჩნევა (Nakaya, 2021; Richardson-Self, 2021; Gelber, 2002; Waltman & Haas, 2011), რომ სიძულვილის ენას დიდი და გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა აქვს ყველა ინდივიდზე, ვისაც მასთან შეხება ექნება, განურჩევლად იმისა, არის თუ არა ის სიძულვილის სამიზნე. როგორც საიტზე ADL ⁶ არის აღნიშნული, იმისათვის, რომ თავიდან აირიდონ მისდამი მიმართული სიძულვილის ენა, ადამიანი/ადამიანთა ჯგუფები მზად არიან, შეცვალონ საკუთარი ცხოვრების წესი და ჩვევებიც კი. ამას კი, საბოლოოდ, ცხოვრების ხარისხის გაუარესება მოჰყვება, იქნება ეს ვირტუალურ სივრცესა თუ რეალურ ცხოვრებაში. ბუნებრივია, სიძულვილის სამიზნე ჯგუფი ბევრად უფრო მეტ პრობლემას აწყდება. მათკენ მიმართული სიძულვილის ენა მათ ემოციურ, მენტალურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. უფრო მეტიც, მსხვერპლს შეიძლება დაუდაბლდეს თვითშეფასება; მიღებული ნეგატიური ემოციებიდან გამომდინარე, დაიზიანოს თავი ან სუიციდამდეც კი მივიდეს. ADL ასევე ირწმუნება, რომ სიძულვილის ენა იმდენად ცუდად მოქმედებს საზოგადოებაზე, რომ იგი

⁶ <https://www.adl.org/news/press-releases/more-than-one-third-of-americans-experience-severe-online-hate-and-harassment>

ართულებს ურთიერთობებს და ადამიანებს უსუსტებს ან უკარგავს ემპათიის გრძნობას.

სიძულვილის ენასთან ერთად, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ევრისტიკაც და მისი როლი სიძულვილის ენის გამოყენებისას. გარდა იმისა, რომ, სიძულვილის ენის ხმარების სხვადასხვა სტრატეგიიდან გამომდინარე (იხ. სიძულვილის ენის სისტემატიზაცია), მარტივია მისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევა, ამ პროცესში არანაკლები როლი უჭირავს ევრისტიკას, როდესაც დამაჯერებელი ინფორმაციას ვიღებთ. ვალტმანისა და ჰაასის (2011) მიხედვით, სიძულვილის ენასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ავტორი (ინდივიდი/ჯგუფი) და ინფორმაციისა და მისი გამავრცელებლის სანდოობის ხარისხი. აღსანიშნავია, რომ ეს ტაქტიკა ხშირად გამოიყენება იმისთვის, რომ ბავშვებს ისე მიეწოდოს სიძულვილის ენა და სტრატაგემები, რომ გაიზარდოს მათზე გავლენის ხარისხი. ეს მომენტი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ბავშვები საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი წევრები არიან, მათი აზროვნების დაქვემდებარებით კი კონტროლს ამყარებენ საზოგადოების მომავალზე (თოთიბაძე, 2021). პოლიტიკაში ეს საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ჰოლის (2010) მიხედვით, ბავშვები ბევრად უფრო სწრაფად შიფრავენ დაფარულ მესიჯებს, ვიდრე ზრდასრული ადამიანები, შესაბამისად, გონების სრული „ოკუპაციისთვის“, მაგალითად, გერმანელები სწორედ ზღაპრების მეშვეობით ცდილობდნენ თავიანთი ნაციტური და ანტისემიტური იდეოლოგიის გატარებას. კონკრეტულად, მათ თავიანთ პოლიტიკურ მიზნებს მოარგეს ისეთი ზღაპარიც კი, როგორიცაა „წითელქუდა“, სადაც მგლის როლს, ამ ვერსიაში, ებრაელი ჯარისკაცი

ასრულებს, მეტყვევებს – გერმანელი ჯარისკაცი, ხოლო წითელქუდას მოსასხამზე სვასტიკა აქვს ამოქარგული.

სოციალური მედიის გავლენა და მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები

ოცდამეერთე საუკუნეში, ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, სოციალური მედია ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. იმ ფაქტს, რომ ტექნოლოგიური მოწყობილობები და ინტერნეტი ასე ადვილად ხელმისაწვდომია, თან ახლავს უამრავი პრობლემა, რომელიც საზოგადოებისთვის შეიძლება, საბოლოო ჯამში, საშიში აღმოჩნდეს. მათ შორის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად სწორედ ინტერნეტში გავრცელებული სიძულვილის ენა და მისი შესაძლო უარყოფითი შედეგები გვევლინება.

ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია მეყსიერად შეიძლება გავრცელდეს და, ასევე, შეიძლება შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც საზიანოა მთელი საზოგადოებისთვის ან საზოგადოების ზოგიერთი ქვეჯგუფისთვის. ნაკაიას (2021) მიხედვით, სოციალური მედიისა და ინტერნეტის ბუნებიდან გამომდინარე, ხშირია ისეთი კომენტარები, რომელთა შედეგებზე საზოგადოება ხშირად არც კი ფიქრობს. უფრო მეტიც, ანონიმურად წერის საშუალება ხალხს უბიძგებს კიდევ ისეთი კომენტარის თუ ინფორმაციის გავრცელებისკენ, რომელსაც ისინი რეალურ სივრცეში პირდაპირ თუ საკუთარი სახელით არ/ვერ გაავრცელებდნენ. გარდა ამისა, კვლავ სოციალური მედიის ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც, ძირითადად, ჭკვიან ალგორითმებზეა დაფუძნებული და მათი არსი სამიზნე საზოგადოებასთან საჭირო თუ მათთვის საინტერესო ინფორმაციის სწრაფად მიტანაა,

კიდევ უფრო ამარტივებს სიძულვილის ენის გავრცელებას თუ იმ ინდივიდების ერთმანეთთან დაკავშირებას, ვინც ხშირად იყენებს მას კონკრეტული ჯგუფის მიმართ. ამასთან ერთად, სოციალური პლატფორმები იმდენად დიდ მასშტაბებზეა გათვლილი, რომ სიძულვილის ენა შეიძლება დროის უმცირეს მონაკვეთში გადაეცეს საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. უფრო მეტიც, სიძულვილის ენის შემცველი ინფორმაცია შეიძლება იმდენად სწრაფად გავრცელდეს, რომ შეიძლება დროულად ვერ მოხდეს მათზე რეაგირება და ინფორმაციის წაშლა. ავტორის მიხედვით, განსაკუთრებით საყურადსაღებოა ინტერკულტურული და ინტერ-ლინგვისტური სიძულვილის ჯგუფები, რომლებიც საკუთარი მესიჯების ხშირად გავრცელებით მათ აჩვენებენ და მისაღებს ხდიან საზოგადოების დიდი ნაწილისთვის. ამგვარად გავრცელებულ მესიჯებს, საბოლოო ჯამში, უფრო მეტი გავლენა აქვთ, რადგანაც ისინი უკვე საზოგადოების უმრავლესობის აზრად მიიღება. უფრო მეტიც, იქიდან გამომდინარე, იმას, რომ სოციალურ ქსელებში ინფორმაციის განთავსების რაოდენობა არ არის შეზღუდული და სიძულვილის შემცველი ტექსტების ნაკადი შეიძლება არ წყდება და ჩვენს პირად გვერდებზე, შეიძლება მოჰყვეს ამგვარი ტექსტების ნორმალიზაცია. ეს ძალზე საშიში ფაქტია, რადგანაც საზოგადოება ცდილობს მოიქცეს და იფიქროს გარკვეული, კონსერვატიული ნორმების ფარგლებში და არ უყვარს მათგან გადახვევა. შესაბამისად, როდესაც მომხმარებლები მუდმივად აწყდებიან უარყოფით, სიძულვილით სავსე ინფორმაციას, ისინი თანდათანობით ეჩვევიან მას და მიიჩნევენ, რომ ეს არის სრულიად ნორმალური მოვლენა, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს სიძულვილის ენის გამოყენების ნორმალიზებას. ძალზე საინტერესოა ის

ფაქტიც, რომ სიძულვილის ენის ნორმალიზებაში დიდი როლი უკავია იუმორსაც, რომელიც მიმების სახით გავრცელებულია ინტერნეტ სივრცეში. სიძულვილის ჯგუფებში ხშირად იყენებენ იუმორსა და მიმებს მომხმარებლებისათვის საკუთარი მესიჯების გასაგზავნად. თავიდან ხალხი მათ იუმორითვე უდგება, თუმცა, მოგვიანებით, შეიძლება ამგვარი იდეების თანამოაზრეებიც კი გახდეს.

უფრო მეტიც, რიჩარდსონ-სელფი (2021) ამტკიცებს, რომ სპონტანურობა და ანონიმურობა არ არის მხოლოდ ვირტუალური, ონლაინ სივრცისთვის დამახასიათებელი და იგი რეალურ სივრცეზეც ვრცელდება. მისი აზრით, თუ ქუჩაში უცხო ადამიანი სხვის მიმართ სიძულვილის ენას გამოიყენებს, ის აღრესატიისთვის კვლავ ანონიმურად რჩება.

ნაკაია (2021) მიიჩნევს, რომ ხალხის აზრი სოციალურ მედიასა და მასში გავრცელებულ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით ორადაა გაყოფილი. საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სოციალური საიტები ძალიან საშიში და დამაზიანებელია და მასში გავრცელებული ინფორმაცია ცუდად მოქმედებს ჩვენს ფსიქიკაზე. ზოგიერთი კი, ამის საპირისპიროდ, თვლის, რომ არ არის სასურველი სოციალური მედიის მხოლოდ უარყოფით მხარეებზე კონცენტრირება, რადგანაც მისი დადებითი მხარეები ბევრად სჭარბობს უარყოფითს. უფრო კონკრეტულად, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ მედიაში სიძულვილის შემცველი ტექსტების გავრცელება იოლია, ასევე მარტივადაა შესაძლებელი მასზე პასუხის გაცემაც. გარდა ამისა, ასევე შესაძლებელია დადებითი შინაარსის შემცველი ინფორმაციის უამრავ ადამიანამდე მიტანა, მაგალითად, ისეთი კამპანიების წარმართვა, როგორიცაა #Blacklivesmatter და #MeToo, რომლებიც საზოგადოების ონლაინ გამოხატული უკურეაქციაა უსამართლობაზე

(Strossen, 2018). აღსანიშნავია, რომ #MeToo კამპანია საქართველოშიც მიმდინარეობდა, რომლის პირველი წარმომადგენელიც, 2016 წელს, თათია სამხარაძე იყო⁷.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ენის სხვა გამოხატულებებისგან განსხვავებით, სოციალურ მედიაში გავრცელებული სიძულვილის გამომხატველი კომენტარები გამოქვეყნებიდან რამდენიმე წამში შეიძლება წაიშალოს, არ უნდა დაგვავიწყდეს თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობებიც, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, გავაზიაროთ ან ეკრანის გადაღებით შევინახოთ სურათი, რომელიც სამუდამოდ შეიძლება დარჩეს ინტერნეტ სივრცეში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო კომპანიები ცდილობენ წაშალონ სიძულვილის შემცველი ტექსტებისა თუ სურათების საწყისი წყარო, ისინი მაინც შეიძლება გავრცელდეს მომხმარებლების მიერ.

როგორც ნაკაია (2021) მიიჩნევს, სოციალურ მედიაში სიძულვილის ენის გამოყენების მოწინააღმდეგეები დარწმუნებულნი არიან, რომ სიძულვილის ენის ნორმალიზაცია კრიმინალის დონის მატებასაც იწვევს. ზოგიერთი ექსპერტის მიხედვით, სოციალურ მედიაში გამოყენებული სიძულვილის ენა, რომელიც მიმართულია რასობრივი, ეთნიკური, სექსუალური, რელიგიური უმცირესობის წინააღმდეგ და არა მხოლოდ, შეიძლება კრიმინალებისთვის შთაგონების წყაროდ იქცეს და ვერბალური მუქარის აღსრულებისკენ უბიძგოს მათ. საუბედუროდ, ამის დასამტკიცებლად უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, სოციალურ მედიაში სიძულვილის ენით ანგაჟირებულმა პიროვნებამ, სახელად ტარანტმა, მასობრივად დახოცა მუსლიმები და ეს

⁷ <https://agenda.ge/en/article/2019/21>

ფეისბუქით პირდაპირ ეთერში გაუშვა. გარდა ამისა, 2018 წელს ინდოეთში ვოტსაფის პლატფორმაზე გავრცელდა ცრუ ინფორმაცია ბავშვთა გამტაცებლებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ხალხმა გადაწყვიტა „დამნაშავეების“ მოძებნა და დასჯა, რასაც რამდენიმე უდანაშაულო ბავშვი ემსხვერპლა. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სავსებით რეალურია ის მოსაზრება, რომ სოციალურ მედიასა და სიძულვილის ენას შესწევთ ძალა, გაზარდონ ქვეყანაში კრიმინალის დონე; თუმცა, აღსანიშნავია იმ ხალხის აზრიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სოციალურ მედიაში არსებული სიძულვილი და მისი გამოხატულება, პირიქით, ამცირებს კიდევ კრიმინალის დონეს, რადგანაც სოციალური პლატფორმა ხალხს საშუალებას აძლევს, გამოხატოს აგრესია და, ამის შედეგად, დამშვიდდეს (Nakaya, 2021).

აღსანიშნავია, რომ რუსული სოციალური მედიის კვლევის შედეგად (Bursztyn, 2019) დადგინდა, რომ სიძულვილის ენის გამოყენება და მისი გავლენა საზოგადოებაზე დამოკიდებულია იმ რწმენებზე, რომელნიც საზოგადოებას უკვე მიღებული აქვს. ისეთი საზოგადოებები, რომლებშიც უკვე ჩამოყალიბებულია ქსენოფობიური ტენდენციები, უფრო ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას სოციალურ მედიაში. როგორც ენდრიუ ტორბა აცხადებს, „თოფები არ კლავენ ხალხს, სოციალური მედიის პლატფორმები არ კლავენ ხალხს. ხალხი კლავს ხალხს. პრობლემა არ მდგომარეობს სიძულვილის ენაში. პრობლემა მდგომარეობს სიძულვილში⁸“ (ციტირებულია Nakaya, 2021, გვ. 29).

⁸ “Guns do not kill people. Social media platforms do not kill people. People kill people”.

სიძულვილის პირამიდა



დიაგრამა 1. სიძულვილის პირამიდა

სიძულვილის პირამიდა შედგენილია ცილისწამების საწინააღმდეგო ლიგის (Anti-Defamation League, 2018)⁹ მიერ. იგი წარმოგვიდგენს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სიძულვილის გამოხატულებად. საგულისხმოა, რომ ეს პროცესი პირამიდაზე ზემოთ სვლისას უფრო და უფრო დამამძიმებელი ხდება.

⁹ <https://www.adl.org/sites/default/files/documents/pyramid-of-hate.pdf>

პირამიდის შემადგენელი ნაწილებია:

მიკერძოებული დამოკიდებულებები – სტერეოტიპები, განსხვავებულობის შიში, გამრიყველი ენა, მიკროაგრესია, მიკერძოებულობის ახსნა მსგავსად მოაზროვნე ხალხის ძებნით, უარყოფითი ან არასწორი ინფორმაციის პირდაპირ მიღება.

მიკერძოებული ქმედებები – ბულინგი, დაცინვა, დამამცირებელი სახელებით მიმართვა, ეპითეტების შერქმევა, თავის არიდება, დეჰუმანიზაცია, მიკერძოებული, დამამცირებელი ხუმრობები.

დისკრიმინაცია – ეკონომიკური, პოლიტიკური, საგანმანათლებლო, დასაქმების, საცხოვრებლის დისკრიმინაცია; სეგრეგაცია, სისხლის სამართლის უსამართლობა/უთანასწორობა.

მიკერძოებულობით მოტივირებული ძალადობა – მკვლელობა, გაუპატიურება, შეურაცხყოფა, ცეცხლის გამიზნულად წაკიდება, ტერორიზმი, ვანდალიზმი, დამინება.

გენოციდი – ხალხის გამიზნულად და სისტემურად ნოცვა.

როგორც ვხედავთ, სიძულვილის უმნიშვნელო გამოხატულებითაც კი შეიძლება, საბოლოო ჯამში, სავალალო სიტუაციამდე მივიდეთ.

სიძულვილის ენა VS სიტყვის თავისუფლება

სიტყვის თავისუფლება თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მთავარ საყრდენს წარმოადგენს. შესაბამისად, თითქმის შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ სად გადის ხაზი სიძულვილის ენასა და სიტყვის თავისუფლებას შორის.

ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორება სწორედ რომ სიტყვის თავისუფლებას ეხება, რომელიც არა მხოლოდ ვერბალურ, არამედ არავერბალურ მედიუმებსაც მოიცავს, როგორიცაა, მაგალითად, სურათები, ვიდეოები და ა.შ. კანონმდებლობის მიხედვით, ამერიკის მთავრობას არ აქვს უფლება გაასამართლოს ადამიანი მაშინაც კი, თუ ის სჩადის ისეთ რაღაცას, რასაც საზოგადოების უმეტესობა შეურაცხმყოფელ ქმედებად აღიქვამს. პირველი შესწორება ხალხს უტოვებს უფლებას, – მოისმინონ ყველაფერი და თავიანთი მსოფლმხედველობით შეაფასონ, მისაღებია თუ არა მათთვის ესა თუ ის ინფორმაცია. გარდა ამისა, როდესაც საქმე ეხება სიძულვილის ენას, ყველას შეუძლია მას შესაბამისი პასუხი გასცეს. თუმცა, რა თქმა უნდა, კანონში არსებობს გამონაკლისებიც – ამერიკის მთავრობას შეუძლია შეზღუდოს სიძულვილის ენა, როდესაც ის კრიმინალში შეიძლება გადაიზარდოს, მაგალითად, ისეთი მესიჯები, რომლებიც შეიცავს მუქარას. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის კონსტიტუცია, ბუნებრივია, ამერიკული სამართლის სისტემის ნაწილია, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა იმავე პრობლემის წინაშე დგას და ცალსახად ვერ ასახელებს, კონკრეტულად რა სცდება სიტყვის თავისუფლების საზღვრებს (Nakaya, 2021).

სტროსენი (2018) თავის ნაშრომში „სიძულვილი: რატომ უნდა შევებრძოლოთ მას სიტყვის თავისუფლე-

ბით და არა ცენზურით” (HATE: Why We Should Resist It with Free Speech, Not Censorship (2018) აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელების უმეტესობა ემხრობა სიტყვის თავისუფლებას, ისინი მიიჩნევენ, რომ სიძულვილის ენის ხშირი გამოყენება უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებაზე და ემხრობიან ცენზურის დაწესებას. შესაბამისად, საზოგადოებას ერთდროულად ორი შეუთავსებელი შეხედულება აქვს სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

კეტრინ გელბერი (2002) ნაშრომში, რომელიც ეხებასიტყვის თავისუფლებისა და სიძულვილის ენის პრობლემებს, ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მართლაც ძალიან რთულია ხსენებული დავის გადაჭრა, რადგანაც, როდესაც სახელმწიფო ცდილობს დაიცვას ხალხი სიძულვილის ენისგან, ის პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის სიტყვის თავისუფლებასთან და პირიქით. ამ პრობლემის გადასაჭრელად გელბერი გვთავაზობს „შეპასუხების“ ტაქტიკას, რაც გულისხმობს სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლებასა და თავის სიტყვიერად დაცვას, ანუ შეპასუხებას. იქიდან გამომდინარე, რომ სიძულვილის ენის გამოყენება მიმართულია გარკვეული ნორმების დაწესებისაკენ და, გარკვეულწილად, ახდენს ხალხის დისკრიმინირებას, აუცილებელია მისი დროულად აღმოფხვრა. „შეპასუხების“ ტექნიკა მიმართული უნდა იყოს სიძულვილის ენისკენ, რომელიც მსხვერპლს განსაკუთრებულად ძლიერი ემოციური დარტყმით მეტყველების უნარს უკარგავს.

სიძულვილის ენის აღმოსაფხვრელად შეპასუხების ტაქტიკის გამოყენების მომხრე არიან ვალტმანიცა და ჰაასიცი (2011), თუმცა, როგორც ავტორები ირწმუნებიან, იმისთვის, რომ სწორად გამოვიყენოთ სიძულვილის წინააღმდეგ მიმართული რიტორიკა, უნდა გავიაზროთ,

თუ რა ზიანს გვაყენებს თავად სიძულვილის ენა. მათი აზრით, კონსტიტუციური იდეები, როგორიცაა, მაგალითად, ინდივიდის თავისუფლება, მართლაც დიდი საფრთხის ქვეშ დგება, როდესაც ის სიძულვილის ადრესატი ხდება. შესაბამისად, ჩვენი ფიზიკური თუ ვერბალური ქმედება სწორედ რომ ამგვარი ქმედების ანტითეზად უნდა ვაქციოთ.

სიძულვილის ენა, სიტყვის თავისუფლება და სოციალური მედიის პლატფორმები

საინტერესოა, თუ რა შინაგანაწესი აქვთ სოციალური მედიის პლატფორმებს სიტყვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებით. ყველაზე პოპულარული სოციალური მედიის საიტები, როგორიცაა ფეისბუკი, ინსტაგრამი, ტვიტერი და იუტუბი, გაწევრიანებისას მომხმარებელს აფრთხილებენ, რომ მათი საიტები კრძალავენ სიძულვილის ენის გამოყენებას. ხსენებული საიტები სხვადასხვა ხერხით ებრძვიან სიძულვილის ენას, რადგანაც მათ მოტივაციას ფინანსური სარგებელი წარმოადგენს. ყველა სოციალურ ქსელს აქვს, შეტყობინების (report) ფუნქცია, რომელიც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გამოიყენოს, როდესაც წააწყდება სიძულვილის ენასა თუ სხვა მგრძნობიარე ინფორმაციას. გარდა ამისა, სოციალურ ქსელებს ჰყავთ მოდერატორები და იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს, რათა მოიძიონ და წაშალონ მიუღებელი პოსტები. შესაბამისად, საიტებს აქვთ უდიდესი ძალა, აკონტროლონ ნარატივის ხარისხი და გადაწყვიტონ, თუ რა სახის ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს ინტერნეტში და რა – არა. იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობა ეწინააღმდეგება სიძულვილის ენას, სოციალური საიტები

ცდილობენ, ჰყავდეთ ბედნიერი მომხმარებლები, რომლებიც, ბუნებრივია, მათთვის შემოსავლის წყაროა. სწორედ ამიტომ სოციალური მედიის კომპანიები ცდილობენ, იპოვონ იდეალური ბალანსი სიტყვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის (Klonick, 2018).

ნაკაიას (2021) მიხედვით, კვლევებმა დაადასტურეს, რომ საზოგადოების ნაწილს საკმარისად არ მიაჩნია საიტის რეგულაციები და მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ეფექტურ ჩარევას. უფრო მეტიც, საზოგადოების ამ ნაწილს სწამს, რომ პირველი შესწორება კაცობრიობის ცხოვრების უფრო მარტივ პერიოდზე იყო მორგებული და, ბუნებრივია, ვერ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან განვითარებასა და ცვლილებებს, როგორიცაა ტექნოლოგიური რევოლუცია და ინტერნეტი, მით უმეტეს, ახლა, როდესაც ასე მარტივია ინფორმაციის ინტერნეტში გავრცელება (Anti-Defamation League, 2018). ძალზე საინტერესოა გერმანიის მთავრობის რეაქცია და მის მიერ გატარებული პოლიტიკა სოციალურ მედიაში განთავსებული სიძულვილის ენის აღმოსაფხვრელად. 2017 წელს შემოღებული კანონის მიხედვით, სოციალურმა საიტებმა 24 საათის განმავლობაში უნდა წაშალონ სიძულვილის ან მუქარის შემცველი ტექსტები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჯარიმდებიან საკმაოდ სოლიდური თანხით. მაგ., ფეისბუქი 2020 წელს 2 მილიონი ევროთი დაჯარიმდა. იმავე კანონის მიხედვით, საიტები ვალდებული არიან, ასეთი პოსტების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართონ პოლიციას. ამის შედეგად, ტვიტერის ძალიან ბევრი მომხმარებელი თავის ადგილსამყოფელად უთითებს გერმანიას, რათა თავიდან აირიდოს სიძულვილის შემცველი ინფორმაციის განთავსება ინტერნეტში (Feiner, 2019).

მეორე მხრივ, როგორც სტროსენი (2018) აღნიშნავს, მკაცრი ცენზურის დაწესება უფრო მეტ პრობლემას წარმოქმნის, ვიდრე დაეხმარება თანასწორობასა და სოციალურ ჰარმონიას, რადგანაც ხალხს კარგად გამოსდის მსხვერპლის როლის თამაში. სანაცვლოდ, სჯობს ხალხმა მიიღოს საკმარისი განათლება, რომ იცოდეს, რა წაიკითხოს, რა გაიაზროს და რას უსმინოს და, შესაბამისად, სიძულვილის ენას უფრო მეტი ეფექტიანი სტრატეგიით შეებრძოლოს. ბუნებრივია, განათლებას უფრო გრძელვადიანი შედეგი ექნება, და არა მხოლოდ სიძულვილის ენასთან მიმართებით.

შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვის თავისუფლებისა და სოციალურ მედიასივრცეებში სიძულვილის ენის გამოყენებაზე საზოგადოების აზრი ორადაა გაყოფილი. გარდა ამისა, დღემდე ბოლომდე შეუძლებელია გადაჭრით თქმა, თუ როდის არის სიძულვილის ენა კრიმინალი და როდის ირღვევა ჩვენი უფლებები თავისუფალი სიტყვის შეზღუდვით.

სოციალური წარმოსახვის თეორია

რიჩარდსონ-სელფი (2021) წიგნში „სიძულვილის ენა ქალთა წინააღმდეგ ონლაინ სივრცეში“ (Hate Speech Against Women Online) გვთავაზობს სოციალური წარმოსახვის თეორიას, რომელსაც იყენებს სიძულვილის ენის გასაანალიზებლად. ამ თეორიის მიხედვით, წარმოსახვა არის ჩვენი სამყაროს შეცნობის ერთ-ერთი გზა. როდესაც გვაქვს შეხება ჩვენს ირგვლივ სამყაროსთან, მას შევიცნობთ და შემდეგ ვიყალიბებთ კონკრეტულ „ხატებს“, რომლებიც შედგება ჩვენი ემოციებისგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი წარმოსახვით შევიცნობთ საკუთარ

თავსა და სამყაროს ჩვენ ირგვლივ. თუმცა ეს არ არის პასიური მოქმედება და „ხატი“ არ არის, უბრალოდ, სურათი, იგი შედგება ემოციებისგან, სიმბოლოებისგან, მეტაფორებისგან, რომელთაც ადამიანის წარმოსახვა საუკუნეებია აყალიბებს. შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს ისეთი უნივერსალური ხატები და წარმოსახვები, როგორიცაა, მაგალითად, სიყვარული. ხატი, როგორც აღინიშნა, არის არა პასიური მეხსიერების ნაწილი, არამედ იგი ვლინდება მატერიალურ სამყაროში ჩვენი ქცევების მეშვეობით. ეს ქცევა შეიძლება იყოს მარტივი, როგორიცაა მუშაობა, მაღაზიაში წასვლა, საუბარი და ასე შემდეგ. უფრო მეტიც, სოციალური წარმოსახვა, მგავსია ერთ საზოგადოებაში და გადმოცემს სოციო-კულტურის საზიარო, აღიარებულ და უმრავლესობისათვის მისაღებ ელემენტებს, რომლებიც გვხმარება, მოვიქცეთ ისე, რომ ჩვენი ქცევა არ მიიჩნეოდეს სხვისთვის გამაღიზიანებელად თუ პროვოკაციულად. მათგან გადახვევა, ბუნებრივია, გამოიწვევს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას. არსებობს სოციალური წარმოსახვის რამდენიმე ფუნქცია – სოციალური ხატები, რომლებიც გვხმარება აზრისა და ემოციების გამოხატვაში, განაპირობებს ჩვენს რეაქციას გარე სტიმულზე და გვიწესებს საზღვრებს. საზოგადოებაში დომინანტურ სოციალურ ხატებს, წარმოსახვას წარმოადგენს რელიგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სექსუალური, რასისტული, ეთნიკური, მორალური, ეროვნული და საერთაშორისო ხატები.

სოციალური ნორმებიდან გადახვევა, ბუნებრივია, საზოგადოებაში იწვევს უარყოფით ემოციებს, მისი დამრღვევი კი ხშირად ხდება სიძულვილის ენის ადრესატი. რიჩარდსონ-სელფი (2021), სოციალური წარმოსახვის თეორიის უკეთესად გააზრებისთვის გვთავაზობს ვინმე შელის მაგალითს, რომელიც გაიზარდა ისეთ საზოგა-

დოებაში, სადაც გაუპარსავი იღლია ქალისთვის არაესთეტიკურად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ამ საზოგადოებაში ქალთა უმეტესობისთვის იღლიის პარსვა დისკომფორტთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, ისინი თავს ვალდებულიად თვლიან, მიჰყვნენ სილამაზის ამ დაწესებულ სტანდარტს. შეიძლება ითქვას, რომ ამ საზოგადოებაში, სოციალური ხატი არის ის, რომ ქალისთვის იღლიაში თმა არის არამიმზიდველი, რადგანაც ის (1) მამაკაცურ მახასიათებლებს განეკუთვნება, (2) არის არაესთეტიკური და არაჰიგიენური, მაშინ როცა მამაკაცისთვის ის სექსუალურადაც კი შეიძლება მიიჩნეოდეს. ეს საკითხი შეიძლება ჩაითვალოს ზემოთ აღნიშნულ ცენტრალურ „სექსუალურ ხატად“, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ იღლიაში თმა ბუნებრივად ორივე სქესის წარმომადგენელს ამოსდის, მის გაპარსვას მხოლოდ ქალებს სთხოვენ. თუ შელი გადაწყვეტს, რომ წავიდეს დადგენილი ნორმის წინააღმდეგ და აღარ მოიშოროს იღლიიდან თმა, ის საზოგადოებისგან მიიღებს აგრესიასა და დაცინვას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ხატები ცვალებადია დროსა და სივრცეში (სხვადასხვა დროს კონკრეტულ საზოგადოებას, შესაძლოა, სხვა სოციალური ცენტრალური ხატები ჰქონდეს), სამწუხაროდ, მხოლოდ შელის არ შეუძლია შეცვალოს ცენტრალური სექსუალური ხატი, მით უმეტეს, ზოგადი სოციალური აზრი, მიდგომა. ამისთვის, მან უნდა შეძლოს და დაარწმუნოს მეგობრები, რომ აღარ გაიპარსონ იღლია, შემდეგ მეგობრებმა უნდა დაარწმუნონ თავიანთი ახლობლები. მას შემდეგ, რაც ეს ქცევა მასშტაბურ ხასიათს მიიღებს, მხოლოდ მაშინ შეძლებს შელი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სოციალური სექსუალური სურათის შეცვლას. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ იქნება. იქიდან გამომდინარე, რომ შელი

ადიზარდა ისეთ საზოგადოებაში, სადაც იდლიაში თმა არაესთეტიკურად აღიქმება, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა ამ დაწესებული ნორმისადმი, იგი უნდა შეეწინააღმდეგოს საკუთარ, შინაგან კომპლექსსაც – გრძნობას, რომელიც გვაიძულებს, რომ შევეცადოთ, , არ მივიქციოთ ხალხის ყურადღება და მივყვეთ საზოგადოების მიერ დაწესებულ ნორმებს.

რიჩარდსონ-სელფი (2021) ასევე გვთავაზობს „ტატუიანი ქალის ცენტრალურ სოციალურ ხატს“, რომელიც წლების განმავლობაში ნორმიდან გადახვევა იყო, თუმცა ახლა, გარკვეულ საზოგადოებაში, ნორმად იქცა.. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც კი ქალისთვის ტატუ „დაშვებულია“ კონკრეტულ ადგილებში, კონკრეტული თემატიკითა და ზომით.

ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესოა სექსუალური სოციალური ხატები. როგორც რიჩარდსონ-სელფი (2021) ირწმუნება, სოციალური უპირატესობის ერთ-ერთი ფორმა ზუსტად რომ გენდერული უპირატესობაა. მისი აზრით, პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალები და მამაკაცები ვერ განიხილებიან თანასწორად, რადგანაც ისინი როგორც ფიზიკურად, ისე სოციალურად შებოჭილები არიან მათი ბიოლოგიური განსხვავებით – ქალები და მამაკაცები ეწვიან განსხვავებულ სოციალურ ცხოვრებას. ქალები მეტად ორიენტირებულნი არიან ოჯახურ ცხოვრებაზე, მამაკაცები კი – სოციალურზე. შესაბამისად, პატრიარქალურ საზოგადოებაში ბიოლოგიას, ადამიანის სქესს გადამწყვეტი ადგილი უჭირავს და იგულისხმება, რომ მამაკაცს აქვს ბუნებრივი გავლენა ქალზე და მას იყენებს კიდევ.

სიძულვილის ენის სისტემატიზაცია

კეტრინ გელბერი (2019) გვთავაზობს კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სიძულვილის ენის განსხვავება შეურაცხმყოფელი ტექსტისგან. მისი აზრით, პირველ რიგში აუცილებელია, რომ გავიაზროთ, რა არის საზიანო საუბარი, რომელიც, ბუნებრივია, ვერ დარეგულირდება სამართალდამცავების მიერ, რადგანაც, ამ შემთხვევაში, უნდა შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლება. მეორე მხრივ, გელბერი ეთანხმება აზრს, რომ სიძულვილის ენის გამოყენება უნდა ისჯებოდეს. შესაბამისად, ის გვთავაზობს სისტემურ დისკრიმინაციულ მიდგომას, რომელიც დაგვეხმარება სიძულვილის ენის ამოცნობაში:

1. იმისათვის, რომ ნათქვამი ჩაითვალოს სიძულვილის ენად, საერთოდ არ არის საჭირო ემოცია, სიძულვილის არსებობა.
2. სიძულვილის ენისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ შეურაცხმყოფელი ეპითეტებისა თუ უხამსი ენის გამოყენება, რადგანაც სიძულვილის ენა არ განისაზღვრება მხოლოდ ლექსიკური არჩევანით. ის, ბუნებრივია, შეიძლება შეგვხვდეს უხამს გამონათქვამებთან ერთად, თუმცა, ასევე, შეიძლება გამოიხატოს იუმორითაც.
3. ყველა საზოგადოების ჯგუფი ვერ გახდება სისტემური დისკრიმინაციის წევრი.
4. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, სისტემური გზით სიძულვილის ენის გამოყენებით, მეორე ადამიანს მიაყენოს ზიანი, რაც იწვევს ძალაუფლების თვალსაჩინო დისბალანსს, რომელიც

ხშირად შეუმჩნეველია სიტყვის თავისუფლების შესახებ დებატებში. უგულებელყოფის ნაცვლად, იგი იწვევს მარგინალიზაციისა და გარიყულობის შეგრძნებას.

5. სიძულვილის ენას შეიძლება ვებრძოლოთ , თუ გავიაზრებთ, რისგან შედგება სიძულვილის ენა და რა ზიანს აყენებს ის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს, მაშინ შეგვეძლება გამოვავლინოთ მასთან ბრძოლის ხერხები და სტრატეგიები, რომლითაც დავეხმარებით დისკრიმინაციის მსხვერპლს.

როგორც უკვე აღინიშნა, სიძულვილის ენა მიმართულია საზოგადოების იმ ჯგუფებისადმი, რომელნიც მუდმივად ხდებიან სისტემური დისკრიმინაციის მსხვერპლნი. როგორც გელბერი (2019) აღნიშნავს, ასეთი ჯგუფები მოიცავს ქალებს, წონის პრობლემების მქონე ადამიანებს თუ არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლებს.. მეორე მხრივ,თუ ადამიანს დასცინებენ ან შეურაცხყოფას მიაყენებენ სქელი წარბების გამო, ეს არ ჩაითვლება სიძულვილის ენის გამოხატულებად, რადგანაც სქელი წარბები არ წარმოადგენს იმ ხდება მუდმივი დისკრიმინაციის კატეგორიას.

ვალტერისა და ჰაასის (2011) მიხედვით, სიძულვილის ენის გამოყენება სხვადასხვა მიზნით ხდება და განსხვავებული შედეგებიც მოჰყვება. ის შეიძლება მიმართული იყოს კონკრეტული გარე სოციალური ჯგუფისადმი ან შიდა ჯგუფისადმიც კი. მათი აზრით, მიუხედავად სიძულვილის ენის მრავალმხრივობისა, ის ოთხ ძირითად კატეგორიად შეიძლება გადანაწილდეს, რომლებიც ერთმანეთს არ გამორიცხავენ. გარდა ამისა, ავტორების აზრით, გამონათქვამის სიძულვილის ენად

აღსაქმელად. არ არის აუცილებელი სიძულვილის ენის ამ კონკრეტული კატეგორიების გამოყენება აქტუალიზებას კატეგორიებისა:

1. სიძულვილის ენა არის დისკურსი, რომელიც ცდილობს სოციალური განსხვავებების (მაგ., ეთნიკურობა, რასა, რელიგია, სექსუალური უმცირესობა) პოლიტიზირებას, ხშირად ეს ტაქტიკა ემსახურება შიდა და გარე ჯგუფების იდენტობების ჩამოყალიბებას გარე ჯგუფების უარყოფითად წარმოჩენის ხარჯზე. ამის შედეგად, მიმდინარეობს შიდა ჯგუფის მახასიათებლების ნორმალიზაცია, ხოლო გარე ჯგუფის მახასიათებლების ნორმიდან გადახვევად წარმოჩენა.
2. სიძულვილის ენა ხასიათდება გარე ჯგუფის დეჰუმანიზაციით. ეს ძალზე რთული პროცესია, რადგანაც შეიძლება გართულდეს შიდა და გარე ჯგუფების წევრების იდენტიფიკაცია მათი მსგავსების გამო. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ორი იდენტობის ერთმანეთისგან განსხვავება. მაგალითად, ებრაელები გარეგნულად არ გამოირჩეოდნენ გერმანელებისგან, რაც ართულებდა გერმანიის ანტისემიტური პოლიტიკის გატარებას.
3. სიძულვილის ენის მესამე მახასიათებელია მისი კონტექსტი, რაც, ძირითადად, ისტორიულად უმცირესობაში მყოფ ჯგუფებს ეხება და მათ დამატებით მარგინალიზაციას ემსახურება.
4. მეოთხე კატეგორიად ავტორები გვთავაზობენ ვილოკის (1995) სიძულვილის სტრატაგემას, რომელიც დაყოფილია შემდეგ სტრატეგიებად:

- ემოციების სიმძლავრე – იმ ემოციებზე თამაში, რომლებიც შიდა ჯგუფისთვის ძალზე ღირებულია.
- გარე ჯგუფის დეფამაცია – გარე ჯგუფისთვის ჩირქის მოცხება. ეს საკმაოდ გავრცელებული ტაქტიკაა პოლიტიკაში, როდესაც ოპონენტები ერთმანეთს ცილს სწამებენ და ერთმანეთის უარყოფით თვისებებზე აკეთებენ აქცენტს, იმის მაგივრად, რომ გააანალიზონ მიზეზები, თუ რატომ უნდა მისცეს ამომრჩეველმა ხმა მათ და არა სხვას. ეს ტაქტიკა გულისხმობს გარე ჯგუფების ისეთ მახასიათებლებთან დაკავშირებას, რაც შიდა ჯგუფისთვის ძალზე მიუღებელია და, ძირითადად, კულტურულ სტერეოტიპებზეა დაფუძნებული.
- მუდმივი და გამოუსწორებელი ზიანის მიყენება გარე ჯგუფისადმი – უტევს გარე ჯგუფის იდენტობის მახასიათებლებს.
- გარე ჯგუფის რიტორიკული „დაპყრობა“ და განადგურება სიძულვილის სტრატაგემის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია, რომელიც ემსახურება უმცირესობების ან პოტენციური გარე ჯგუფების ყოველდღიური ცხოვრებიდან გაქრობას.

მიზოგინია¹⁰ სიძულვილის ენა და სექსიზმი

„ქალები თანამედროვე, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებაში აღარ არიან სექსიზმისა თუ მიზოგინიის მსხვერპლნი“- აღბათ ქალისა და კაცის როლების ცხარე დისკუსიისას ხშირად მოგისმენიათ ეს აზრი როგორც ქალისგან, ისე მამაკაცისგან. უფრო მეტიც, ისინი დამამტკიცებელ არგუმენტად იყენებენ იმ გარემოებას, რომ თავად არასდროს გამხდარან სექსიზმის მსხვერპლნი ან არასდროს მიუყენებიათ სხვისთვის შეურაცხყოფა მხოლოდ მათი გენდერიდან გამომდინარე. თუმცა, რეალობა ამ მტკიცებისაგან ძალიან შორსაა. საქართველოს მაგალითზე დაყრდნობით, ბოლო 25 წლის განმავლობაში სელექციური აბორტის გამო არ დაიბადა 31 446 გოგონაზე მეტი¹¹; ყოველწლიურად იზრდება ფემიცილის სტატისტიკაც¹².

პატრიარქალური იდეოლოგიის მიხედვით, ქალი, ბუნებრივი მონაცემებით, კაცთან შედარებით დაბალ საფეხურზე დგას და საზოგადოება სექსისტურად იქცევა, როდესაც ყრდნობა მიდგომას, სტერეოტიპსა თუ რწმენას, რომლის მიხედვითაც, ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული უფლებები აქვთ (Richardson-Self, 2021). სარა აჰმედის (2015) მიხედვით, სექსიზმი არის ინსტიტუციურად, საზოგადოებრივად მისაღები ქცევა, რომელსაც, ავტომატურად ვიყენებთ. მაგალითად, ბიოლოგიური განსხვავების გამო ქალის მიკუთვნება მხოლოდ საცხოვ-

¹⁰ ქალთმოდულებობა

¹¹ <https://media.ibsu.edu.ge/სელექციური-აბორტის-სტატ/>

¹² <https://gyla.ge/ge/post/qalta-uflebrivi-mdgomareobis-shesakheb#sthash.zkpgY7JA.dpbs>

რებელ სივრცესთან, ხოლო მამაკაცისა – სოციალურ გარემოსთან სექსისტური რწმენებით საზრდოობს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელიც ასე ფიქრობს, აუცილებლად სექსისტია, რადგანაც ასეთი რწმენები ჩვენი საზოგადოებების ფუნდამენტურ საკითხად ქცეულა. როგორც რიჩარდსონ-სელფი (2021) მიიჩნევს, ამ მხრივ ლინგვისტური არჩევანი დიდ როლს ასრულებს. სექსიზმი შეიძლება ზოგჯერ ძალიან აშკარად და მარტივად ამოვიცნოთ, ზოგჯერ კი უფრო რთული იყოს მისი შემჩნევა. მაგალითისთვის მას მოჰყავს ინგლისურენოვან საზოგადოებაში ქალისადმი ფართოდ გავრცელებული მიმართვა "girl", რომელიც, ერთი შეხედვით, უარყოფითი კონოტაციის მატარებლად არ მიიჩნევა და შეიძლება მის წარმომთქმელს არც არაფერი ცუდი ჰქონდეს გამიზნული; თუმცა, შინაარსობრივად, ზრდასრული ქალისადმი მამაკაცის მიერ „გოგოთი“ მიმართვა სექსისტურად მიიჩნევა. იგი აკნინებს ქალის გონებრივ შესაძლებლობებს, „ართმევს“ მას სრულწლოვანის სტატუსს და აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ ქალი მამაკაცთან შედარებით განვითარების დაბალ საფეხურზე დგას. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მოსაუბრეს შეიძლება არც ჰქონდეს განზრახული ადრესატის შეურაცხყოფა თუ სექსისტური მიმართვა, ეს ფორმები შეიძლება იმდენად გამჯდარი იყოს მის მსოფლმხედველობასა თუ ლინგვისტურ არჩევანში, რომ მათი კონოტაციური მნიშვნელობა შეიძლება შეუმჩნეველიც კი დარჩეს.

მიზოგინია, ანუ ქალთმოძულეობა, სექსიზმთან შედარებით უფრო გართულებული ფორმაა, რომელიც გულისხმობს, რომ მამაკაცები მართავენ საზოგადოებას, ქალები კი მათ ემორჩილებიან (Richardson-Self, 2021; Tirrell, 2019). შესაბამისად, მიზოგინია გამოწვეულია საზოგადოების იერარქიული არასტაბილურობითა და

სისუსტით, ანუ შიშით, რომ მამაკაცებმა შეიძლება დაკარგონ საზოგადოების ძლიერი წევრის სტატუსი. შესაბამისად, ყველა ქალი, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ სტატუსს,, უნდა დაისაჯოს. მიზოგინია გულისხმობს ქალთა მიმართ განსაკუთრებულად მტრულ დამოკიდებულებას, რომელიც შეიძლება ნებისმიერი სქესიდან მომდინარეობდეს. ქალები ცხოვრობენ კაცების სამყაროში და მორგებულნი არიან მამაკაცურ სტანდარტებს. შესაბამისად, მიზოგინია არის ძალაუფლება, რომელიც პატრიარქალური წესრიგის დამყარებას ემსახურება. ვინც მას არღვევს – ისჯება კიდეც. ორი სახის მიზოგინია შეიძლება არსებობდეს: ინტერდაყოფითი და ინტრადაყოფითი. ინტერდაყოფითი მიზოგინია გულისხმობს უნივერსალურ მტრობას ქალების მიმართ. თუმცა, ეს არ არის მიზოგინიის ყველაზე გავრცელებული ფორმა. მიზოგინიის ყველაზე პოპულარული ფორმაა ინტრადაყოფითი, რომელიც ქალებს ყოფს ორ ჯგუფად: კარგ და ცუდ ქალებად. ისმის კითხვა, რატომ უნდა მოექცნენ მამაკაცები ცუდად ყველა ქალს, მით უმეტეს, თუ ისინი წინ არ ეღობებიან მათ პატრიარქალურ წყობას? მათ ხომ ჰყავთ დები, დედები, ცოლები, ქალიშვილები, ვინც უყვართ და ცუდად არ ექცევიან? – სწორედ ამ არგუმენტებს იყენებენ მამაკაცები იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი არ არიან მიზოგინისტები. ქალების კარგ და ცუდ ქალებად დაყოფა და ქალების მიერ საკუთარი ნებით ამ კლასიფიკაციის მორგება საკუთარ თავზე ართულებს მიზოგინიის მსხვერპლის დადგენასა და მისი სტატუსის აღიარებას (Richardson-Self, 2021).

რაც შეეხება სიძულვილის ენას, ის მიზოგინიის ერთ-ერთი გამოხატული ფორმაა. როგორც უკვე აღინიშნა, სიძულვილის ენა მიმართულია ჯგუფებისადმი, რომ-

ლებიც რამდენიმე მახასიათებლით გამოირჩევიან საზოგადოების სხვა წევრებისგან, მაგ., LGBTQI+ თემის წევრები. განსხვავებულობის სტიგმა შეიძლება განვიხილოთ როგორც სინქრონული (გავლენას ახდენს ჯგუფის წევრებზე ყველგან და ყოველთვის), ისე დიაქრონული (გარკვეული პერიოდის განმავლობაში) თვალსაზრისით. რიჩარდსონ-სელფი (2021) პრობლემატურად მიიჩნევს სიძულვილის ენის სხვა „მჩაგვრელი“ ენისგან განსხვავებას. ავტორი წერს, რომ ადამიანები რამდენიმე სოციალურ კატეგორიას მივეკუთვნებით, გვაქვს სქესი, გენდერი, რასა, ეროვნება. შესაბამისად, რომელიმე კატეგორიაში შეიძლება გავხდეთ სიძულვილის ენის მსხვერპლი, მაგრამ რომელიმე სხვაში – არა. აზრის დასამტკიცებლად, ავტორს საკუთარი მაგალითი მოჰყავს, კერძოდ, იგი, როგორც არატრადიციული ორიენტაციის (ქვიარ) ქალი, შეიძლება გახდეს ქალთა წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის ან ლესბოსელთა წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის მსხვერპლი, მაგრამ ის, როგორც თეთრკანიანი, ქრისტიანი, ვერასდროს იქნება რასისტული თუ რელიგიური სიძულვილის ენის მსხვერპლი, რადგანაც ეს კატეგორიები არ ხვდება სისტემური დისკრიმინაციის კატეგორიების სიაში. შესაბამისად, ავტორს შემოაქვს სოციალური უპირატესობისა და სოციალური ნაკლის ცნებები. სოციალური უპირატესობის „მქონე“ საზოგადოების წევრებს ვერ შეურაცხყოფთ იმ კატეგორიებით, რომლებიც ამ საზოგადოებისთვის უპირატესია, მაგალითად, თეთრკანიანი, ქრისტიანი... რიჩარდსონ-სელფი დამატებით აღნიშნავს, რომ სიძულვილის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ფორმა ძალადობრივი ენის გამოყენებაა და ეთანხმება სარა სორილის (2013) აზრს, რომ საუბარი შეიძლება მაშინ იყოს საზიანო ადამიანისთვის, თუ ის ხელს უწყობს ადამიანის

დეგრადირებას, მისდამი მტრული დამოკიდებულების ზრდას, ამცირებს მას და ხელს უშლის ადამიანს მოიქცეს ისე, როგორც აქამდე მოიქცეოდა ნორმალურ სიტუაციაში.

იმისთვის, რომ მივაღწიოთ გენდერულ თანასწორობას, საჭიროა ეს პრობლემა გადაიჭრას კონსტიტუციისა და საზოგადოების დონეზე და, პირველ რიგში, სწორედ აქ უნდა აღმოიფხვრას მიზოგენური და სექსისტური სოციალური პრაქტიკა. ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორება, როგორც უკვე აღინიშნა, სიტყვის თავისუფლებას ეხება. ამის შედეგად, სამართალდამცავები არა სიტყვის შეზღუდვას, არამედ საპასუხო სიტყვას, პასუხის გაცემას უფრო ემხრობიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალებისა და საზოგადოების სხვადასხვა შევიწროებულ ჯგუფებს სიტყვის თავისუფლება ძალიან ძვირად უჯდებათ. საპასუხო სიტყვის სტრატეგიას შეზღუდული ძალა და გავლენა აქვს და ხშირად სიძულვილის ენის მსხვერპლს სულაც არ ძალუძს, საკადრისი პასუხი გასცეს ყველას (Tirrell, 2019; Manne, 2018).

ტირელის (2019) მიხედვით, მიზოგინია ირგვლივ ყველგანაა, თუმცა უნდა განვასხვაოთ აშკარა და დაფარული მიზოგინია. მაგალითისთვის ავტორს მოჰყავს ტერმინი „ინცელი“ (Incel)¹³, რომელიც შედარებით ახალი ტერმინია და აღნიშნავს ონლაინ სუბკულტურას, რომელსაც შეადგენენ მამაკაცები, რომლებსაც ქალთან სექსუალური კავშირის დამყარების დიდი სურვილი აქვთ თუმცა ვერ ახერხებენ და ამის შედეგად ისინი ხშირად მიმართავენ ქალთა წინააღმდეგ სიძულვილის ენის გამოყენებასა და მიზოგინიას. როგორც ტირელი აღნიშნავს, ინცელის ტიპის მამაკაცი ინდივიდუალურ დონეზე საფრთხეს არ

¹³ Beauchamp, Zack (April 25, 2018). „Incel, the misogynist ideology that inspired the deadly Toronto attack.

წარმოადგენს, თუმცა იგი სექსისტური და დაფარული მიზოგენური იდეოლოგიის გამავრცელებელია. თუ ამგვარი მამაკაცი ქალის წინააღმდეგ რაიმე დანაშაულს ჩაიდენს, იგი ისჯება ამ კონკრეტული დანაშაულისა და არა მიზოგენური იდეოლოგიის გამო. ინცელი საშიშია იმდენად, რამდენადაც დაუფარავ და ტოქსიკურ მიზოგინიას ავრცელებს.

საინტერესოა, რა ხდება ამ მხრივ ქართულ კონსტიტუციაში. საქართველოს კონსტიტუცია, ბუნებრივია, მოიცავს სიძულვილის ენით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ სასჯელს. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს, გენერალური პროკურატურის, მსს-სა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2020 წელს ხელმოწერილი თანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, დისკრიმინაციის საფუძველზე შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და ერთობლივი ანგარიშის გამოქვეყნების თაობაზე საქართველოში გამოქვეყნდა „საპილოტე ანგარიში სიძულვილის დანაშაულის შესახებ“¹⁴, რომელიც მოიცავს 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის პერიოდის მონაცემებს.“ მონაცემების მიხედვით, პოლიციის მიერ აღრიცხული დანაშაულების დიდი უმრავლესობა გენდერული ნიშნითაა ჩადენილი (733 989 = 74%), რომელთა უმეტესობაც სწორედ ქალებს მიემართება. სიძულვილის დანაშაულობების ნახევარზე მეტი დაკავშირებულია ფიზიკურ ძალადობასთან, მას მოსდევს მუქარა და სექსუალური ძალადობა (საარჩევნო პროცესებში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა, 2022).

¹⁴ <https://hatecrime.osce.org/georgia>

კონსტიტუციის დონეზე საქართველოში სიძულვილის ენა გარკვეულწილად რეგულირდება შემდეგი მუხლების საშუალებით (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია)¹⁵:

„საქართველოში, სსკ-ის 239 პრიმა მუხლის შესაბამისად, დანაშაულად ითვლება რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირი, წერილობითი ან გამომხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.“

„სიძულვილის ენას გარკვეულწილად არეგულირებს საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პრიმა ნაწილის შესაბამისად, „შევიწროება არის ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2022 წლიდან სოციალურ ქსელში განთავსებული სიძულვილის ენის შემცველი ინფორმაცია სამართლებრივად რეგულირდება.

¹⁵ <https://gba.ge/ka/ჟურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-VII/სოციალურ-ქსელში-სიძულვილის-ენი.html>

სიძულვილის ენა, სოციალური მედია და გენდერი

წიგნში „ინტერნეტით გამოყენებული სიძულვილის ენა ქალთა წინააღმდეგ“ რიჩარდსონ-სელფი (2021) ქალთა წინააღმდეგ ონლაინ სივრცეში გამოყენებულ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელ კვლევას გვთავაზობს. ეს კვლევა ეყრდნობა სოციალური წარმოსახვების თეორიას და მოიცავს გაზეთის „ავსტრალია“ ონლაინ პლატფორმაზე ექვსი თვის განმავლობაში დაწერილი კომენტარების ანალიზს. გაზეთი „ავსტრალია“ კონსერვატიულია და შეიძლება სწორედ ამიტომ, მის მიერ გამოქვეყნებული მასალა შეიცავს დიდი რაოდენობით სიძულვილის ენის მაგალითებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიზოგინია ნებისმიერ პოლიტიკურ მიმართულებას და მედიას შეიძლება სდევდეს თან.

ავტორი აღნიშნავს, რომ მან ემპირიული მასალა ხელით შეაგროვა ორი მიზეზის გამო: პირველ რიგში, ხელოვნურმა ინტელექტმა შესაძლოა სრულად ვერ აღმოაჩინოს სიძულვილის ენა. გარდა ამისა, კომპიუტერი ვერ დააფიქსირებს ისეთ კომენტარებს, სადაც დაშვებულია რაიმე ენობრივი შეცდომა, მაგალითად, არასწორად დაწერილი სიტყვა. შესაბამისად, ავტორის აზრით, ხელით შეგროვებული მასალა უფრო მრავლისმომცველია, განსაკუთრებით კი ისეთ სიტუაციებში, როდესაც სიძულვილის ენა ირიბად არის გამოხატული. რიჩარდსონ-სელფი კვლევისას ყურადღებას აქცევდა კომენტარებს ისეთ სტატიებზე, რომლებიც დაწერილი იყო ქალის მიერ ან ქალის შესახებ, ჰქონდა ქალის სურათი გამოტანილი სტატიის საწყის სურათად ან ეხებოდა გენდერულ თემას. ექვსი თვის განმავლობაში მკვლევარმა 1342 ფეისბუკ მომხმარებლის მიერ

დაწერილი 2881 კომენტარი შეაგროვა. სახელების მიხედვით, კომენტარების ავტორები ავტორმა დაყო ქალებად, მამაკაცებად და ზოგად მომხმარებლებად (ისინი, ვისაც გენდერის თვალსაზრისით ნეიტრალური სახელები ჰქონდათ შერჩეული ფეისბუკზე). ამის შედეგად გაირკვა, რომ მიზოგენური სიძულვილის ენის გამომხატველი კომენტარების 71.09% დაწერილი იყო მამაკაცის მიერ, 20.41% – ქალის, ხოლო 8.50% – გენდერულად არადიფერენცირებული მომხმარებლების მიერ.

რიჩარდსონ-სელფის მიერ შეგროვებული კომენტარების ანალიზისას გამოიკვეთა ქალთა მიმართ სიძულვილის ენის გამომხატველი კომენტარების შემდეგი ძირითადი კატეგორიები:

- * ქალი, როგორც სექსუალური საგანი
- * უზნეო ქალი
- * ქალი, როგორც სხეული
- * ქალი, როგორც ცხოველი
- * ქალი, როგორც ურჩხული
- * ქალი, როგორც ზიზღის ობიექტი
- * წარუმატებელი ქალი („ლუზერი“)
- * ქალის კულტურული სტერეოტიპები
- * კარცეროგენული ფემინაზები¹⁶

სექსუალური სოციალური იდენტობის მიხედვით, ქალები კაცებისთვის სასურველი ობიექტები არიან, შესაბამისად, არაა გასაკვირი ისეთი კომენტარები, რომლებიც ქალის სექსუალურ საგნად წარმოიქმნას ცდილობენ, რაც, ერთი შეხედვით, შეიძლება კომპლიმენტად იყოს მიჩნეული და არა შეურაცხყოფად:

¹⁶ უარყოფითი შეფერილობის ტერმინი „feminazi“ (იხმარება რადიკალური ფემინისტის აღსანიშნად).

She's very tidy. Reckon she'd taste like seedless Victorian watermelon (ძალიან ფაქიზი და მოწესრიგებულია. ალბათ, ვიქტორიანული უკურკო საზამთროს გემო აქვს); Geez... I'd poke her (აჰა, ამას კი შე*უ*ებდი).

თუმცა, სექსუალური უპირატესობა საზოგადოებაში ძალაუფლებას ემსახურება და ხშირად გვევლინება ქალებისადმი სიძულვილის, ბრაზის გამოხატულების ერთ-ერთ ინსტრუმენტად. უფრო მეტიც, ხშირად ქალის დეგრადაცია მათი სექსუალურ საგნად კი არა, პირიქით, არასასურველ საგნად წარმოიქმნითაც ხდება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ქალებს „ღირებულება“ ეკარგებათ, ისინი არასასურველად იქცევიან. He couldn't get that drunk to want her (ისე ვერ დათვრებოდა, რომ ეს ქალი მონდომებოდა) – ეს კომენტარი გაკეთებულია ერთ-ერთ სტატიაზე, რომელიც ქალის გაუპატიურებას ეხება. ამ კომენტარის დამატებითი ზიანი, გარდა მიზოგენიისა, არის გაუპატიურებისა და ქალზე ძალადობის აქტის სრული უგულებელყოფა. ამ მხრივ, საკმაოდ მძიმე წასაკითხია კომენტარი, რომელიც სკოლის მოსწავლე გოგონაზე დაწერეს, რადგანაც მან უარი თქვა ჰიმნის დროს ფეხზე წამოდგომაზე Pauline needs to be raped and murdered (პოლინი უნდა გააუპატიურო და მოკლა). ამ საქციელის გამო პოლინი მოხვდა „ცუდ ქალთა“ კატეგორიაში, რომელიც საფრთხეს უქმნის პატრიარქალურ საზოგადოებას, შესაბამისად, მასზე ძალადობა სრულიად გამართლებულია- გაუპატიურება კი უბრალოდ სექსუალური დასჯაა.

საზოგადოებაში ქორწინების გარეშე სექსუალურად აქტიურ ქალებს ან მათ, ვისაც ბევრი სექსუალური პარტნიორი ჰყოლიათ, არცთუ ისე დადებითად უყურებენ. იგივე ტენდენცია თუ სტერეოტიპი (სუსტი ყოფაქცევის/ქალიშვილი ქალის დიქტომია) გამოიკვეთა

რიჩარდსონ-სელოფის ამ კვლევაშიც, სადაც ქალი, რომელიც „უკანონო“ სექსითაა დაკავებული, ანუ ქორწინებამდე სექსუალურად აქტიურია, უზნეო ქალთა კატეგორიაში შედის და ის ღირსია, ისე მოექცე, როგორც არარაობას; იმსახურებს კიდევ შეურაცხყოფასა და დამცირებას. ამგვარ სოციალურ წარმოსახვებში ქალის სურათი ხშირად წარმოდგენილია, როგორც ქალი, რომელიც სექსის სანაცვლოდ ფულს იღებს ან ის კაცის მიერ არის „ნახმარი“.

ქალის დამცირების ერთ-ერთი გზა მისი სხეულის ნაწილების სახელებით აღნიშვნაა. ხშირად ეს სამი გზით ხდება: 1) რეპროდუქტოლოგიური ორგანოების სახელით მიმართვა, 2) ძირითადი ყურადღების გადატანა ქალის სხეულის ნაწილებზე (მკერდი, ვაგინა), 3) ქალის, როგორც პიროვნების, არსის შემცირება სხეულის ფუნქციებამდე (ძუძუთი კვება...).

There are only 2 holes – მხოლოდ ორი ხვრელია;

Don't let them breed – არ მისცეთ საშუალება, გამრავლდნენ;

Should be compulsory tubes tied so it can't breed- მიღების გადაკეტვა სავალდებულო უნდა იყოს, რომ არ გამრავლდეს.

ბოლო კომენტარი განსაკუთრებით საგულისხმოა, რადგანაც მის ავტორს ქალის მიმართ გამოყენებული აქვს არა მდებარეობითი გრამატიკული სქესის პირის ნაცვალსახელი she, არამედ საშუალო სქესის პირის ნაცვალსახელი it, რომელიც კიდევ უფრო ამცირებს ქალს, ართმევს სქესის ბიოლოგიურ კატეგორიას და ხაზს უსვამს მის „საგნად“ აღქმას.

არანაკლებ შეურაცხმყოფელია ქალის ცხოველთან ან ურჩხულთან გაიგივება, რაც ქალის დეჰუმანიზაციასა და ქალის დეგრადაციის გზით გაჩუმებას ემსახურება:

No one would believe this lying bitch – არავინ დაუჯერებს ამ მატყუარა ძუკნას;

Burn the witch- დაწვით [ეგ] ალქაჯი;

Shut it you dumb little mole – მოკეტე, პატარა სულელო ბოზო...

წარმოდგენილი სიძულვილის ენის შემცველ ტექსტებს თან ახლავს ის შინაარსი, რომ ქალები უნდა გაჩუმდნენ, ისინი არიან მატყუარები და არ იმსახურებენ იმ მდგომარეობას და დადებით საზოგადოებრივ პოზიციას, რაც უჭირავთ.

ხშირია ისეთი შემთხვევებიც, სადაც ქალისადმი ზიზზის შემცველ კომენტარებს, მეტი ეფექტისთვის, თან ახლავს გულის რევის აღმნიშვნელი ხატულები. აღსანიშნავია, რომ ასეთი კომენტარები, ძირითადად, ტრანსგენდერი ქალების მიმართ იყო მიმართული...

Hey Cate. You need your ADAMS APPLE SHAVED – ქეით, ადამის ვაშლი გასაპარსი გაქვს ;

If I had a FACE like that I would NEVER LEAVE THE HOUSE. Ugly ugly fat, frumpy moll – ასეთი სახე რომ მქონდეს, სახლიდან არასდროს გამოვიდოდი. მახინჯი, მსუქანი, უგემოვნო პროსტიტუტი...

ეს კომენტარები, ავტორის მიხედვით, შეურაცხყოფს ქალს, რადგანაც ის ეწინააღმდეგება ცენტრალურ, საზოგადოებაში ფესვგადგმულ სტერეოტიპულ წარმოსახვით სურათს, რომელიც გულისხმობს, რომ ქალი უნდა იყოს ახალგაზრდა, ლამაზი, გამხდარი, ჰეტეროსექსუალი, რათა ის სასურველი გახდეს მამაკაცისთვის. ის ქალები კი, რომლებიც ამ სტანდარტის მიღმა არიან, ხშირად ხვდებიან ამგვარი უარყოფითი კომენტარების

სამიზნეები. ტრანსგენდერი ან არატრადიციული ორიენტაციის ქალები კი ხვდებიან წარუმატებელი ქალების კატეგორიაში, რადგანაც პატრიარქალური თაღსაზრისით და ამ კონტექსტში, მათ არ შეუძლიათ თავიანთი ფუნქციის შესრულება: ოჯახის მოვლა, ბავშვის გაჩენა/აღზრდა და ა.შ.

ძალზე საინტერესოა რიჩარდსონ-სელფის მიერ შეგროვებულ კომენტარებში წარმოდგენილი გენდერულ-კულტურული სტერეოტიპებიც, რომლებიც ქალებს უბრძანებენ, მოერგონ სახლის სივრცეს:

Will someone please think of the sandwiches – გთხოვთ, ვინმემ იფიქრეთ სენდვიჩებზე;

So wait, I'm confused. Does the UN get a daycare centre now or what? This is why world leaders should be men... – მოიცა, დავიბენი. გაეროს ახლა დღის ბაგა-ბაღიც აქვს? აი, თუ რატომ უნდა იყვნენ მსოფლიო ლიდერები მამაკაცები (კომენტარი ეხება არდერნს¹⁷, რომელმაც შვილი მიიყვანა სხდომაზე)...

არანაკლებ საზიანოა იუმორით წარმოდგენილი სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები. ასეთი სექსისტური კომენტარები, რომლებიც, პოლიტიკაში აქტიურობის ნაცვლად, ქალებს სამზარეულოში ყოფნისკენ მოუწოდებენ, გამუდმებით უარყოფით კონტექსტშია გამოყენებული და ხელს უწყობს ამ სტერეოტიპის კიდევ უფრო გაღრმავებას:

The poor cats all left at home while their owners march- საწყალი კატები, მარტო დარჩნენ სახლში, სანამ მათი პატრონები მარშზე გამოდიან...

¹⁷ Jacinda Ardern- ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი.

ამგვარი კომენტარები დაიწერა სტატიაზე, რომელიც განიხილავდა ქალების მიერ მოწყობილ მარშს თანასწორობის მოთხოვნასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ სტერეოტიპულად ქალები, რომლებსაც კატები ჰყავთ, მარტოხელებად, არასასურველებად არიან წარმოჩენილები, ამ კომენტარებით მამაკაცებს სურდათ დაემცირებინათ და დაეცნინებინათ ისინი.

გენდერულად მარკირებულ სტერეოტიპებში ხშირი იყო ქალის ანგარებით გათხოვებასა და მანქანის მართვის უნარებზე სარკასტული ხაზგასმაც:

Meanwhile, she is sharpening her shovel ready to dig gold – ამასობაში ნიჩაბს ამზადებს ოქროს ამოსათხრელად...

ანტიფემინიზმი მიზოგენიის პირდაპირი გამოხატულებაა, რადგანაც ფემინიზმი ქალის უფლებებს იცავს. შესაბამისად, ყველა, ვინც ფემინისტია, ანუ ემხრობა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას, ეწინააღმდეგება საზოგადოებაში მიღებულ სოციალურ ნორმებს, ანუ წარმოსახვებს, რომ ხშირად ხდება სიძულვილის სამიზნე:

I am thankful I have daughters that know Feminism is cancer- მადლიერი ვარ, რომ მყავს ქალიშვილები, რომლებმაც იციან, რომ ფემინიზმი კიბოა...

არანაკლებ საინტერესოა ენდრიუ ბრინდლის (2016) სიძულვილის ენის ლინგვისტური კვლევა. ბრინდლი თავის ვრცელ კვლევა-ანალიზში შეისწავლის ჰომოსექსუალების წინააღმდეგ გამოყენებულ სიძულვილის ენას თეთრ სუპრემისტ მამაკაცთა ფორუმზე „სტომფრონტი“ (Stomfront) გამოქვეყნებულ კომენტარებზე დაყრდნობით. ავტორი, დისკურსის კრიტიკული ანალიზისა და ლინგვისტური კორპუსის გამოყენების მეშვეობით, აანალიზებს, თუ რომელ ლინგვისტურ ერთეულებს იყენებენ

ჰომოფობი სუპრემისტი მამაკაცები ჰომოსექსუალების წინააღმდეგ ფორუმზე 2002 წლიდან განთავსებულ პოსტებში, და გვთავაზობს კვლევის მრავლისმომცველ შედეგებს. მისმა კვლევამ აჩვენა, რომ სიძულვილის ენა, რომელიც ხშირად გამოიყენება უმცირესობის მიმართ, ძირითადად, რამდენიმე სტრატეგიითაა წარმოდგენილი. პოსტის ავტორები თუ მკითხველები, რომლებიც მასზე წერენ კომენტარებს, ცდილობენ შიდა და გარე ჯგუფების ჩამოყალიბებასა და მათ გამიჯვნას; გარე ჯგუფების დეჰუმანიზაციით საკუთარ იდენტობას ან შიდა ჯგუფს დადებითად წარმოაჩენს. ლექსიკური ერთეულების სიხშირის, საკვანძო სიტყვებისა (gay, people, homosexual, children, men, white, gays...) და კოლოკაციების ანალიზის შედეგად, ბრილლი ასკვნის, რომ ჰომოსექსუალობა წარმოადგენს ჰეტეროსექსუალური მამაკაცების ბინარულ ოპოზიციას. გვი მამაკაცები ინტერნეტ სივრცეში მუდმივად წარმოდგენილნი არიან, როგორც ამორალური, საზოგადოებისთვის საშიში პედოფილები, ხოლო ჰეტეროსექსუალი მამაკაცები – როგორც მორალისა და თეთრი რასის სადარაჯოზე მდგომნი. აღსანიშნავია, რომ ფორუმზე ნაკლებადაა ლესბოსელებისადმი მიძღვნილი პოსტები თუ დისკუსიები, რაც ავტორს აფიქრებინებს, რომ ფორუმის წევრებს მამაკაცების ჰომოსექსუალობა უფრო ადარდებთ, ვიდრე ქალებისა. ძალზე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კომენტარებში ხშირია ჰომოსექსუალი მამაკაცების სხვა უმცირესობასთან დაკავშირება და მათი ნეგატიურად წარმოჩენა. მაგალითად, ისინი ხშირად მოიხსენიებოდნენ ებრაელებთან, ფერადკანიანებთან თუ ნარკომანებთან ერთად და წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც დაავადებების (მაგ., შიდსი) გადამტანნი ან პედოფილები. უფრო მეტიც, კორპუსის ანალიზისას ფორუმზე რელიგიური დისკურსიც გამოვლინდა. ბუნებ-

რივია, ამგვარი კომენტარების ავტორების აზრით, ჰომოსექსუალურობა ეწინააღმდეგება ქრისტიანობას. ავტორი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების სექსუალურმა უმცირესობებმა მეტ-ნაკლებად მოიპოვეს პოლიტიკური თუ იურიდიული თანასწორობა, მათდამი მიმართული ცრურწმენები და უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებაში კვლავ გლობალურ პრობლემად რჩება.

მნიშვნელოვანი და უადრესად საინტერესოა არა მხოლოდ სიძულვილის ენის გამოყენების სპეციფიკის შესწავლა, არამედ იმისაც, თუ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს მან ადრესატებში. შესაბამისად, ამისთვის საუკეთესო საშუალება სიძულვილის ენის მსხვერპლი უმცირესობების გამოკითხვაა. ჩაღრმავებული ინტერვიუების გამოყენებით, გელბერმა და მაკნამარმა (2015) გამოკითხეს ავსტრალიის სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენლები. 101 გამოკითხულთაგან 32 უმცირესობების ოფიციალური წარმომადგენელი იყო, 69 კი – საზოგადოების „ჩვეულებრივი“ წევრი. ინტერვიუები იყო ანონიმური და კონფიდენციალური. ცდის პირები არ შეურჩევიათ იმისდა მიხედვით, ჰქონდათ თუ არა სიძულვილის ენის მათ წინააღმდეგ გამოყენების პირადი გამოცდილება; მათ, უბრალოდ, ეკითხებოდნენ, იცოდნენ თუ არა საზოგადოებაში სიძულვილის ენის გამოყენების შედეგად წარმოშობილი ინციდენტების შესახებ. გამოკითხულთაგან 42 იყო ქალი, 59 კი – მამაკაცი და ინტერვიუები ჩატარდა, ინგლისურის გარდა, 7 სხვა ენაზე. რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ისინი ან პირადად არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი ან იცნობენ ვინმეს, ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა სიძულვილის ენა. მათი თქმით, ინციდენტები ხდება სხვადასხვა გარემოში, იქნება ეს სკოლა, უნივერსიტეტი,

საზოგადოებრივი ტრანსპორტი თუ სხვა დაწესებულება თუ სიტუაცია. გელბერისა და მაკნამარის კვლევამ ასევე აჩვენა, რომ რესპონდენტებში სიძულვილის ენის მათ ან მათი საყვარელი ადამიანისა თუ საზოგადოების წევრის მიმართ გამოყენება მათში სხვადასხვა ემოციებს იწვევს:

5) წყენა – 'It is very rude and affects me badly and causes emotional distress. '(29a)

'Although I'm not a mosque visitor or mosque goer, it really upsets me when I see on TV people protesting because they don't want a mosque in their community. '(33)

ძალიან უხეშია და ცუდად მოქმედებს ჩემზე და ემოციურ სტრესს იწვევს.“ (29a) „მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვარ მეჩეთის ხშირი სტუმარი, ძალიან მაწუხებს, როცა ტელევიზორში ვხედავ, როგორ აპროტესტებს ხალხი, რომ მათ არ სურთ მეჩეთი მათ საზოგადოებაში.“ (33)

6) ეგზისტენციური ტკივილი- 'It was like crushing emotionally and spiritually. And physically. '(1)

'You can never, you can never repair damage in that content once it's been put out there. It lingers, it stays, it smells, it hangs around. You can't get rid of it and racism is racism, it builds and feeds on that. '(3)

ემოციურად და სულიერად განადგურებას ჰგავდა. ფიზიკურადაც. (1) ვერასდროს... ვერასდროს შეძლებ გამოასწორო ის ზიანი, რაც მას [სიძულვილის ენა] მოაქვს, როდესაც საზოგადოებაში ვრცელდება. ის ირგვლივ რჩება, ყროლდება, ირგვლივ ტრიალებს. ვერ მოიშორებ. და რასიზმი რასიზმია, ის ამით იზრდება და იკვებება. (3)

7) შიში – 'When you see the infection of that kind of hate, that's scary stuff. '(4)

'Why is it that our Turkish school on Saturday is the only school that has to have a security guard on Saturdays? Because we're fearful of attack. '(44)

როცა სიძულვილის ასეთ გავრცელებას ხედავ, ძალიან საშიშია.

რატომაა, რომ თურქული სკოლა შაბათობით ერთადერთი სკოლაა, რომელსაც დაცვა უნდა ჰყავდეს? იმიტომ რომ თავდასხმების გვემინია. (44)

8) უფლების წართმევა – 'The vilification laws in Australia are not useful because in order to protect the community that has been vilified you've got to have resources. შეურაცხყოფის წინააღმდეგ კანონები ავსტრალიაში დიდად საჭირო არაა, რადგანაც იმისთვის, რომ საზოგადოება დაიცვა შეურაცხყოფისგან, საკმარისი რესურსებიც უნდა გქონდეს. (44)

9) საკუთარი თავის გამოხატვის უფლების წართმევა – When a guest speaker at a community event, speaking about her national sport, the audience teased the interviewee and made jokes 'which affected me very badly. I tried to be proud of myself ... but it wasn't possible to keep going and continue my presentation. '(29)

ლონისძიებაზე მოწვეულ სპიკერს, რომელიც საუბრობდა თავის ეროვნულ სპორტზე, აუდიტორია დასცინოდა, „რამაც ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემზე“. ვცდილობდი მეამაყა საკუთარი თავით... მაგრამ შეუძლებელი გახდა ჩემი პრეზენტაციის გაგრძელება.' (29)

10) ხმის ამოდების შიში – 'Some people do ignore things ... they never report incidents related to racism. The problem is that they think they will not succeed even if they report them. They believe that cases related to them will not be taken seriously. '(24b)

ზოგიერთი ადამიანი მართლაც უგულებელყოფს რაღაცებს... ისინი არასდროს წერენ განცხადებას რასისტულ შემთხვევებთან დაკავშირებით. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ აქვთ იმედი, რომ პოლიციაში განცხადების შემთხვევაში რაიმე წარმატებას მიაღწევენ. მათ მიაჩნიათ, რომ მათი პრობლემა სერიოზულად არ აღიქმება. (24b)

11)სიჩუმე და განრიდება, როგორც სიძულვილის ენისგან დაღწევის ტაქტიკა – 'They give you a hate speech, okay, just who cares. Just run away. '(15) 'It is better to ignore them and not waste our time. '(28)

სიძულვილის ენით მოგმართავენ? ვის ადარდებს? უბრალოდ, გაიქეცი. (15) უმჯობესია დააიგნორო და დრო ტყუილად არ დაკარგო. (28)

12)სიძულვილის ენა იწვევს გაუცხოებას – 'It was just because of that fear of being judged, of that fear of being sort of like prosecuted, being excluded from the nation's society. '(18)

'The media plants seed of doubt and question marks, which leads them to fear us '(32b)

„ეს მხოლოდ იმის შიშის გამო იყო, რომ არ განგვიკითხონ, იმ შიშის გამო, რომ არ დაგვსაჯონ და გაგვრიყონ საზოგადოებისგან.“ (18) „მედია ნერგავს ეჭვს და კითხვის ნიშნებს, რაც მათ ჩვენი შიშისკენ უბიძგებს. '(32b)

13)დეჰუმანიზაცია – Being racially abused on a train and in a supermarket, 'In both incidents, I deeply felt my human right as a citizen or simply a passenger was violated. '(13)

რასიზმის მსხვერპლი გავხდი მატარებელში და სუპერმარკეტში. ორივე შემთხვევისას მწარედ ვიგრძენი,

თუ როგორ დაარღვიეს ჩემი, როგორც მოქალაქის ან უბრალოდ, მგზავრის უფლებები. (13)

14) სიბრაზე – When people experience hate speech 'they do nothing. They just feel angry. When they come back home after that thing, they think about it. Again they feel very desperate, frustrated.' (15)

როდესაც ადამიანი სიძულვილის ენის მსხვერპლი ხდება, ვერაფერს აკეთებს. ის, უბრალოდ, ძალიან ბრაზდება. როდესაც სახლში ბრუნდება, მასზე განუწყვეტილად ფიქრობს. თავს ძალიან გაბრაზებულად, სასოწარკვეთილად გრძნობს. (15)

15) რელიგიური/ეთნიკური იდენტობის დაკარგვა – 'You didn't want to be identified as a Vietnamese person.' (18)

'Those women wearing hijab are targeted by young people ... some women even desperately avoid wearing hijab.' (29)

არ გენდომებოდა, ვიეტნამელი რომ ჰგონებოდი ვინმეს. (18)

ქალები, რომლებიც ჰიჯაბს ატარებენ, ახალგაზრდების სამიზნეები ხდებიან... ზოგიერთი ქალი სასოწარკვეთილია და ჰიჯაბის ჩაცმას არიდებს თავს. (29)

გელბერისა და მაკნამარის კვლევამ წარმოაჩინა სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფების პრობლემა და მათი გადმოსახედიდან დაგვანახვა ის უარყოფითი შედეგები, რაც სიძულვილის ენამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც ინდივიდის, ისე მთელი საზოგადოების მასშტაბით.

სიძულვილის ენის ერთ-ერთი გამოხატულება „ბოზობით შერცხვენა“, ე.წ. „სლათ შეიმინგია“, რომლის აქტუალიზაციაც მელქიორემ, დრაგოტომ და ჯიომიმ (2020) იტალიურ მედიადისკურსში, კონკრეტულად კი

ტვიტერზე, შეისწავლეს. ავტორების აზრით, საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების მიმართ ორმაგი სტანდარტი მუშაობს, როდესაც საქმე სექსუალურ ცხოვრებას ეხება და არა მხოლოდ. კაცებს, ბუნებრივია, ბევრად უფრო მეტის უფლება აქვთ და მათ სექსუალურად აქტიურობისთვის არავის განსჯის, ქალები კი, ისტორიულად, ორი დიქტომიით განისაზღვრებიან: მადონა ან ბოზი, ანუ პატიოსანი/ქალიშვილი/წმინდა ან მსუბუქი ყოფაქცევისა. როგორც კი ისეთ სოციალურ სივრცეებში შევლენ, რომელნიც მამაკაცურად აღიქმება, ქალები ხშირად ხდებიან ამგვარი მოპყრობის მსხვერპლნი. შესაბამისად, ეს სტიგმა ხშირად აშინებს და მუდმივად განსაზღვრავს ქალის ქცევას როგორც პირად, ისე სოციალურ სივრცეში. სექსუალური ძალადობის დროსაც კი ბრალი გადადის მსხვერპლზე, მათ გამომწვევობასა და ჩაცმულობაზე მინიშნებით. ქალის როლის ხაზგასმა მათ წინააღმდეგ ძალადობაში კი აფიქრებინებს ქალებს, რომ ქცევა „მოარგონ“ მამაკაცების ნორმას, ანუ კაცის ძალადობის პრევენციაც კი ქალის პასუხისმგებლობა ხდება. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოში 2022 წელს მომხდარი დანაშაული, რომელიც ხანში შესული მონაზვნის წინააღმდეგ ჯგუფურად ჩადენილ გაუპატიურებას ეხება. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ნაწილი სოციალურ ქსელში კომენტარების სახით აღნიშნავდა, რომ მონაზონმა შეიძლება კაცები გამოიწვია, რაც, ბუნებრივია, შემდეგ მისი გაუპატიურებით დასრულდა.

სოციალურ მედიის ხელმისაწვდომობასთან ერთად, „ბოზობით შერცხვენა“ კიდევ უფრო მარტივად ვრცელდება. მელქიორეს, დრაგოტოსა და ჯიომის სოციოლინგვისტურმა კვლევამ გვაჩვენა, რომ მათი კორპუსის ძირითადი თემატიკა ზუსტად რომ მადონა/ბოზის დიქტომისაა და გაუპატიურების მითის თემატიკით შემოიფარ-

გლებოდა. ყველა შესწავლილი კომენტარი კი, ერთის გარდა, მომდინარეობდა მამაკაცებისგან. მიუხედავად ამისა, ავტორები ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ ხშირად თავად ქალები მონაწილეობენ „ბოზობით შერცხვენაში“, რაც რამდენიმე მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, მათ შორის სურვილით, რომ თავად აირიდონ თავიდან ასეთი სტიგმური სიტუაციები. გარდა ამისა, ავტორები ირწმუნებიან, რომ მათ შეგროვებულ მასალაზე დაყრდნობით, „ბოზობით შერცხვენა“ და მსხვერპლის დადანაშაულება, ძირითადად, სარკაზმის მეშვეობით ხორციელდება, რომელიც ძირითადად მამაკაცების მიერაა გამოყენებული (Melchiorre et al., 2020).

რუსიეშვილი-კარტლეჯი და დოლიძე (2021, 2022) ყურადღებას უთმობენ სიძულვილის გამოვლინებას ქართულ სინამდვილეში. კერძოდ, ისინი განიხილავენ LGBTQ+ საზოგადოების დემონიზების მიზეზებსა და სტრატეგიებს ქართულ კულტურაში. ამ თვალსაზრისით, ავტორები განიხილავენ ამ თემის წინააღმდეგ ბრძოლას კულტურული და ეროვნული სტერეოტიპული მეტაფორების საშუალებით.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გენდერულ-ფემინისტური კვლევები მსოფლიოში 1960-იანი წლებიდან საკმაოდ პოპულარული გახდა, ისინი ალბათ არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც ეს დღეს, ჩვენს რეალობაშია. მართალია, ქალი და მამაკაცი კონსტიტუციურ დონეზე თანასწორნი არიან, საზოგადოებაში დრამად ფესვგადგმული სტერეოტიპებიდან გამომდინარე, რეალური სურათი ძალზე განსხვავებული და მძიმეა. საქართველოში ყოველწლიურად იმატებს ქალზე ოჯახური ძალადობისა და სელექციური აბორტის ფაქტები, არანაკლებია ფემიციდის მსხვერპლი ქალების რიცხვიც. გარდა ამისა, საზოგადოებაში დღემდე კითხვის

ნიშნის ქვეშ დგას ქალის განათლების მიღებისა და მუშაობის საჭიროებაც, რითაც, საბოლოოდ, პატრიარქალური საზოგადოება გზას უჭრის ქალს, იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი და არა კაცზე დამოკიდებული. შესაბამისად, ქვეყანაში ყველა სფეროში უნდა გაიზარდოს ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ წიგნის მთავარ მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ ენა და საზოგადოება ერთმანეთზე მჭიდროდაა გადაჯაჭვული, უადრესად მნიშვნელოვანია ენაში შემორჩენილი გენდერული სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციული ლინგვისტური ხერხების გამოკვლევა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც ტექნოლოგიური განვითარების ერაში გამარტივდა ფართო მასებისთვის ხმის მიწვდენა და სხვადასხვა იდეოლოგიის გავრცელება. ამ კუთხით შეგვიძლია გამოვარჩიოთ სიძულვილის ენის პრობლემატურობაც, რომელიც ხშირად ეხება ქალს. შესაბამისად, აუცილებელია ვიცოდეთ, პირველ რიგში, რას ნიშნავს სიძულვილის ენა, როდის სცდება ის სიტყვის თავისუფლებას, ვინ შეიძლება გახდეს მისი მსხვერპლი და როგორ შეიძლება ვებრძოლოთ მას.

თავი II ის, რაც ახალია

რა არის კრიტიკული დისკურსის ანალიზი

დისკურსის ანალიზი ლინგვისტიკისა და სოციო-ლინგვისტიკის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას წარმოადგენს და, სხვადასვა მედია-საშუალებების განვითარებასთან ერთად, მისი დანიშნულება თუ მისდამი ინტერესი დღითი დღე მატულობს. როდესაც დისკურსის ანალიზზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ამ მიმართულების გამორჩეული მეცნიერები, როგორებიც არიან ფეარკლო, ვან დაიკი, ვან ლიუვენი და ა. შ. აღსანიშნავია დევიდ მაჩინისა და ანდუა მეირის (2021) წიგნი „როგორ ჩავატაროთ კრიტიკული დისკურსის ანალიზი. მულტიმოდალური შესავალი“, რომელიც წარმოგვიდგენს წამყვან თეორიებსა და კრიტიკული დისკურსის მთავარ ელემენტებს. ავტორების აზრით, ლინგვისტური კვლევა და ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვააშკაროთ, თუ როგორ იყენებს ავტორი ენას, რათა მიაღწიოს თავის მიზნებს – დაარწმუნოს მსმენელი ისე, რომ თან შენიღბოს თავისი მთავარი სათქმელი.

კრიტიკული დისკურსის ანალიზი პირველად კრიტიკულლინგვისტიკაში გამოჩნდა, როდესაც ენათმეცნიერებმა განიზრახეს, შეესწავლათ, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ენა და, კერძოდ, გრამატიკა, როგორც იდეოლოგიური ინსტრუმენტი. ლინგვისტებს შეუძლიათ ტექსტი იკვლიონ, თუ რა ინფორმაცია გადმოდის წინა პლანზე, რა იჩრდილება და რა არის გამოტოვებული. ტექსტის ინფორმატიულობის კვლევაზე დაყრდნობით, ანალიტიკოსებს შეუძლიათ ტექსტის იდეოლოგიის

შესწავლა და ამოცნობა. ჰოჯისა და კრესის (1988) თანახმად, ენა სოციალური ფენომენია. ენა პირდაპირი მნიშვნელობით გადაჯაჭვულია საზოგადოების მართვასთან. სწორედ ენის მეშვეობით ხდება ზოგიერთი იდეის, ღირებულებებისა და იდენტობების პოპულარიზება და მათ ბუნებრივ მოვლენად ქცევა. მაგალითისთვის, მაჩინსა და მეირს (2012) მოჰყავთ დევიდ კამერონის აზრი, რომელშიც ის აცხადებს:

Premature sexualization is like pollution. It's in the air that our children breathe. All the time. Every day.

ადრეული სექსუალიზაცია ჰგავს ჰაერის დაბინძურებას. ის იმ ჰაერშია, რომლითაც ჩვენი შვილები სუნთქავენ. ყოველთვის. ყოველდღე.

როგორც ავტორები ირწმუნებიან, კამერონი კონკრეტულად არ აღწერს, თუ რა იგულისხმება სექსუალიზაციაში, არც იმას აცხადებს, თუ რა არის ადრეული სექსუალიზაცია, თუმცა მას დაბინძურებასთან აიგივებს, რომლის საშუალებითაც ის მარტივად ახერხებს, შექმნას უარყოფითი ემოციები და დაუკავშიროს ეს პრობლემა მმართველ ძალას. ეს, ლინგვისტური ანალიზის მიხედვით, შემდეგნაირად ხდება: კამერონი ერთ პრობლემას აკავშირებს მეორე, ასეთივე მნიშვნელოვან პრობლემასთან, რაზეც ყველა თანხმდება. არავის სურს, თავისმა შვილმა დაბინძურებული ჰაერი ისუნთქოს, იგივე შეიძლება ითქვას ადრეულ სექსუალიზაციაზეც. კრიტიკული ლინგვისტიკის მიხედვით, ეს მესიჯი დაფარულია, რადგანაც მისი მთავარი აზრი პირდაპირ არაა გადმოცემული, თუმცა ის სრულიად გასაგებია; ხოლო რაც შეეხება გარკვეულ ენობრივ ვარაუდს, რომელიც კრიტიკული დისკურსის განუყოფელი ნაწილია, კამერონის სიტყვებიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებობდა დრო, როდესაც ჰაერი დაბინძურებული არ იყო და ადამიანმა

ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ იმ ძველ მდგომარეობას დაუბრუნდეს, რომელიც მსმენელს, ასევე ირიბად, მიუთითებს კონსერვატორების პარტიის არჩევისკენ (2012).

კრიტიკული დისკურსის ანალიზის (CDA) მთავარ მიზანს სწორედ რომ დაფარული მესიჯებისა და იდეოლოგიების გამოაშკარავება წარმოადგენს. აქ გაერთიანებულია რასისტული თუ სექსისტური სტერეოტიპები, რომელთაც მედიასა და სხვა ინსტიტუციურ დისკურსში ხშირად ვხვდებით. კრიტიკული დისკურსის ანალიზი, ძირითადად, ფეარკლოსა და ვან დაიკთანაა დაკავშირებული (Machin and Mayr, 2012). თუმცა, რაც ყველა ავტორსა თუ მიმართულებას აერთიანებს, არის ის, რომ ენა განხილულია როგორც სოციალური კონსტრუქტი, რომლის მიხედვითაც იგი (ენა) ქმნის საზოგადოებას და, პირიქით, საზოგადოება ცვლის ენას. კრიტიკული დისკურსის ანალიზი (CDA) დაინტერესებულია არა თავად ენის გამოყენებით, არამედ ენისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური, სოციალური და კულტურული პროცესებით, რადგანაც ძალაუფლება საზოგადოებაში დისკურსის მეშვეობით გადაიცემა (Fairclough and Wodak, 1977). კრიტიკული დისკურსის ანალიზის (CDA) კვლევის ობიექტი, ძირითადად ტექსტები, პოლიტიკური გამოსვლები, რეკლამები, წიგნები თუ სხვა სახის ტექსტებია, მიზანს კი ზოგჯერ დაფარული იდეოლოგიის ძებნა წარმოადგენს, რომელიც შეიძლება ერთი შეხედვით ვერ ამოვიცნოთ.. კრიტიკული დისკურსის ანალიზის პროცესი მოიცავს ავტორის ლექსიკური და გრამატიკული არჩევანის ანალიზს, რათა დავინახოთ, რა ტიპის იდეოლოგია გამოდის წინა პლანზე და რა იდეოლოგიური თუ სხვა ტიპის ინფორმაცია იჩრდილება. მაგალითად, წინადადება „immigrants are a threat to a national culture“ (ემიგრანტები

ეროვნული კულტურისთვის საფრთხეს წარმოადენენ)- და ემიგრანტების შემოსვლის ამსახველი პროცესის სიტყვის deluge (წარღვნა) ერთად გამოყენება, ბრიტანელ მკითხველს ირიბად მოუწოდებს, რომ დაიცვას თავიანთი კულტურა ხელყოფისა და გადაშენებისგან (Machin and Mayr, 2012). გარდა ეროვნული იდენტობისა, დისკურსი შეიძლება მოიცავდეს კულტურული უპირატესობის აღქმას, სოციალურ ღირებულებებსა და იდეებს, რომლებიც ქმნიან ჩვენს სოციალურ სამყაროს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კატეგორიებს, რომელითაც ვსაუბრობთ სამყაროზე, რომლებსაც გავლენა აქვს საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე. მაგ., ფერადკანიანი ადამიანი ამერიკასა და ბრიტანეთში უფრო ხშირად ხვდება ციხეში საზოგადოებაში არსებული სოციალური სტერეოტიპებიდან და მათ შესახებ არსებული სოციალური დისკურსიდან გამომდინარე (Fairclough, 2000). ამგვარად, კრიტიკული დისკურსის ანალიზი, ძირითადად, ფოკუსირებულია ძალაუფლების გავლენაზე, იმაზე, თუ როგორ ახერხებს საზოგადოების დომინანტური ჯგუფი წარმატებით დაარწმუნოს მისდამი სოციალურად დაქვემდებარებული ჯგუფი, რომ კრიტიკის გარეშე მიიღოს მისი მორალური, პოლიტიკური თუ კულტურული ღირებულებები (Gramsci, 1971).

1980-იანი წლებიდან ლინგვისტებმა გაიაზრეს, რომ დაფარული მესიჯები მხოლოდ ენის საშუალებით არ გადმოიცემა, არამედ სხვა სემიოტიკური გზებითაც, მაგალითად, ვიზუალური საკომუნიკაციო საშუალებებით (სურათები, რეკლამები და ა.შ), რამაც მულტიმოდალური კრიტიკული დისკურსის ანალიზის (MCDA) თეორია ჩამოაყალიბა. აღსანიშნია, რომ ნებისმიერი ტიპის დისკურსის, იქნება ეს ლინგვისტურ-ვერბალური თუ ვიზუალური, განხილვისას შეიძლება ვისაუბროთ იმაზეც, თუ რა ხერხებს იყენებს ავტორი გარკვეული იდეოლო-

გიის გადმოსაცემად, თუმცა რთულია იმის მტკიცება, თუ რა გავლენა აქვს მას მკითხველზე/მსმენელზე. მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიის მთავარი „გამავრცელებელი“ ენაა, რადგანაც ის ყველაზე ფართოდ ცნობილი და გავრცელებული სოციალური ქცევაა. გარკვეული იდეოლოგიის აღმოჩენა შესაძლებელია სხვა, კომუნიკაციის არალინგვისტურ სემიოტიკურ სახეობებშიც (სურათები, ვიდეოები...) (Machin and Mayr, 2012).

მაჩინი და მეირი (2012), გვთავაზობენ ტექსტის ანალიზის სტრატეგიებს. ისინი მიიჩნევენ, რომ, პირველ რიგში, უნდა დავაკვირდეთ, თუ რა ლექსიკურ ერთეულებს იყენებს ავტორი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორი ენის ლექსიკური სისტემის მარაგის რესურსიდან იყენებს იმ საშუალებებს, რომლებიც მის მოტივირებულ მიზნებს ყველაზე უკეთ შეესაბამება, მაგ., საცხოვრებელი: local building, local addresses, family homes

Youths attack local buildings – ახალგაზრდები თავს ესხმიან ადგილობრივ შენობებს;

Youths attack local addresses – ახალგაზრდები თავს ესხმიან ადგილობრივ მისამართებს

Youths attack local family homes ახალგაზრდები თავს ესხმიან ადგილობრივ ოჯახებს;

ბუნებრივია, ბოლო წინადადებაში არჩეული ლექსიკური ერთეული ბევრად უფრო პირადულია, ვიდრე წინა ორი, რაც გამოწვეულია სიტყვის „home“ ემოციური კონოტაციით. შესაბამისად, პირველ რიგში, ანალიზისას ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვებსა და მათთან დაკავშირებულ კონოტაციებს.

გარდა ამისა, ავტორები ხაზს უსვამენ ზედმეტი ლექსიკალიზაციის (ზელექსიკალიზაციის) მნიშვნელობას, რაც გულისხმობს გარკვეული მნიშვნელობის გადაჭარბებულ ხაზგასმას, რაც დარწმუნების ჭარბ ხარისხს

მოიცავს, რადგანაც გამონათქვამი უკვე შეიცავს დაფარულ პრობლემას. კერძოდ, ამ დროს ხშირად იყენებენ კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულებსა და მათ სინონიმებს. მაგალითად, male nurse და female doctor – ავტორები სვამენ კითხვას, თუ რა საჭიროა ამ პროფესიებთან გენდერის განსაზღვრა? ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს დომინანტობის იდეოლოგიასთან, რადგანაც ეს პროფესიები ასოცირდება გარკვეულ გენდერთან და ამ მაგალითებში გენდერული სოციალური ნორმიდან გადახვევაა წარმოდგენილი-მოსაუბრისთვის ექიმი და ექთანი კონკრეტულ გენდერთანაა დაკავშირებული.

ზელექსიკალიზაციასთან, ანუ ლექსიკურ სიჭარბესთან ერთად, ტექსტში შეიძლება შევხვდეთ ე.წ. ლექსიკურ ნაკლებობასაც. ეს ხერხიც ემსახურება მსმენელში სხვადასხვა ემოციის აღძვრას ან, პირიქით, დათრგუნვას.

საინტერესოა სტრუქტურული ოპოზიციებიც, რომელიც ჰალიდეის (1978) სოციალური სემიოტიკის თეორიიდან მოდქ ხატის. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ლექსიკური ერთეული მხოლოდ საკუთარი მნიშვნელობით არ ხასიათდება, არამედ სხვადასხვა მნიშვნელობის გამომხატველი გარკვეული სემანტიკური ველის ნაწილიც არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი სიტყვა შეიძლება მისი საპირისპირო სიტყვის კონტექსტშიც განვიხილოთ – young-old; good-bad და ა.შ. ხშირად მოსაუბრეები ამ სტრუქტურული ოპოზიციების ერთ-ერთ წევრს იმისთვის იყენებენ, რომ მეორის ასოციაცია შექმნან. მაჩინი და მეირი (2012) ხაზს უსვამენ კრიტიკული დისკურსის ანალიზის პროცესში არსებულ სირთულეებსაც, რომლებიდანაც ერთ-ერთი უმთავრესი იმ იდეოლოგიების კრიტიკულად განხილვაა, რომელიც ჩვენზე იდეოლოგიას შეესაბამება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ლინგვისტმა ობიექტურობა უნდა შეინარჩუნოს.

რაც შეეხება მულტიმოდალურ, ანუ ვიზუალურ სემიოტიკურ ანალიზს, ავტორების აზრით, ამგვარი ანალიზისას ყურადღება უნდა მიექცეს სემიოტიკურ ხატებს, ატრიბუტებს (თუ როგორ გადმოიცემა სათქმელი), იმას, თუ სად მიმდინარეობს მოქმედება და რაიმე დამახასიათებელ შტრიხს, რითაც განსაკუთრებით თვალშისაცემი იქნება ეს რეკლამა თუ სურათი.

კრიტიკული დისკურსის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ზმნებს და იმას, თუ რა ფუნქციას ასრულებენ ისინი იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ზმნა არის გამოყენებული ავტორის მიერ:

1. ნეიტრალური ზმნები – წარმოგვიდგენენ სათქმელს მათი აშკარა შეფასების გარეშე, ნეიტრალური თვალსაზრისით – say, ask, tell...
2. მეტაპროპოზიციული ზმნები – წარმოადგენენ ავტორის დამოკიდებულებას მოსაუბრის მიმართ – declare, urge, grumble...
3. მეტალინგვისტური ზმნები – განმარტებულია, თუ რა სახის სტილისტიკურ ენას იყენებს ავტორი – მაგალითად, ირონია.
4. აღწერითი ზმნები – ქმნიან ინტერაქციის კატეგორიზაციას- whisper, laugh...
5. ტრანსკრიპტული ზმნები – აღნიშნავენ, როგორ განვითარდა დისკურსი – repeat, add, pause...

თითოეული ამ კატეგორიის ზმნების გამოყენებისას შეიძლება მოსაუბრე მოგვევლინოს სხვადასხვა ფუნქციით: ავტორიტატული ან დაქვემდებარებული, ლეგიტიმური ან არალეგიტიმური. უფრო მეტიც, ეს ზმნები გვეხმარებიან იმ დაფარული სოციალური როლების ჩამოყალიბებაში, როდესაც ისინი ცალსახად არა არიან გამოხატული.

კვლევა და მეთოდოლოგია

უკვე აღინიშნა, რომ სიძულვილის ენის ზუსტი განმარტება, მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, რთული დასადგენია. შესაბამისად, საინტერესოა, თუ რამდენად კარგად იაზრებს ქართული საზოგადოება, თუ რა არის სიძულვილის ენა და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის გამოყენებას. ჩატარებული კვლევის მიზანს სწორედ რომ ეს წარმოადგენს, დაადგინოს, თუ რა ცოდნა აქვთ კვლევის რესპონდენტებმა სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, ემსახურება სიძულვილის ენის შესახებ ცნობიერების ამაღლებასაც. ჩვენი კვლევის კითხვარი მოიცავს რვა ღია კითხვას, სადაც კვლევის მონაწილეებს ანონიმურად შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი აზრი და გაგვიზიარონ პირადი გამოცდილება. ანონიმურობა ეხმარება რესპონდენტებს, რომ იყვნენ უფრო გახსნილები და გულწრფელები თავიანთი პასუხების დაფიქსირებისას.

კითხვარი მოიცავს შემდეგ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რა არის სიძულვილის ენა? როგორ გამოიხატება იგი?
2. გამხდარხართ სიძულვილის ენის მსხვერპლი ან იცნობთ ვინმეს, ვინც გამხდარა? თუ დიახ, გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება.
3. თქვენი აზრით, ყველაზე ხშირად ვინ ხდება სიძულვილის ენის მსხვერპლი? რატომ?
4. თქვენი აზრით, ყველაზე ხშირად ვინ იყენებს სიძულვილის ენას?
5. გამოგიყენებიათ სიძულვილის ენა ვინმეს მიმართ? თუ დიახ, როგორ გამოიყენეთ და რატომ?
6. თქვენი აზრით, რას ემსახურება სიძულვილის ენა?

7. თქვენი აზრით, რა ზიანი მოაქვს სიძულვილის ენის გამოყენებას?
8. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ვებრძოლოთ სიძულვილის ენის საზოგადოებაში გავრცელებას?

როგორც ვხედავთ, კითხვარი შედგენილია იმგვარად, რომ რესპონდენტების პასუხების ანალიზისას შეიკრას სრული სურათი – სიძულვილის ენის რესპონდენტისეული განმარტება, სიძულვილის ენის ადრესატი, თუ ვინ შეიძლება გამოიყენოს ის. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კვლევის მონაწილეს შეეძლო საკუთარი მაგალითებით შეევსო პასუხები და, საბოლოოდ, შემოეთავაზებინა თავისი აზრი, თუ როგორ შეიძლება ვებრძოლოთ სიძულვილის ენას.

კითხვარი ელექტრონული სახითაა გავრცელებული და მასში მონაწილეობის საშუალება აქვს ყველა სრულწლოვანს, ვინც დაინტერესებულია ამ პრობლემატიკით.

ელექტრონული კითხვარის შედეგები, ანალიზი და დისკუსია

ზემოთწარმოდგენლ ელექტრონულ კითხვარში ორასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ქვემოთ წარმოდგენილია პასუხები, რომლებიც განსაკუთრებით რელევანტური აღმოჩნდა კვლევისთვის.

კითხვარის პირველ კითხვაზე, თუ რა არის სიძულვილის ენა და როგორ გამოიხატება იგი, საკმაოდ მრავალფეროვანი და, ამავდროულად, მნიშვნელოვანი პასუხები მივიღეთ. როგორც გაირკვა, კითხვარის რესპონდენტებს, მეტ-ნაკლებად, აქვთ ინფორმაცია სიძულვილის ენის შესახებ, თუმცა „ზუსტად“ არ იციან, თუ როგორ შეიძლება გამოიხატოს ის. როგორც

უმრავლესობა აღნიშნავს, სიძულვილის ენა არის დისკრიმინაციული ენა, ადამიანის დაცინვა, ბულინგი, რაიმე ნიშნით შეურაცხყოფის მიყენება, იქნება ეს რასა, სქესი, რელიგიური მიკუთვნებულობა თუ სხვა. უფრო მეტიც, ისინი აღნიშნავენ, რომ საქართველო სიძულვილის ენის გამოყენებით, განსაკუთრებით კი ელექტრონულ სივრცეში, მოწინავე ადგილს იკავებს და შეიძლება გამოდგეს „კლასიკურ მაგალითადაც კი“.

წარმოგიდგენთ რამდენიმე პასუხს¹⁸:

- ესაა ერთგვარი დისკრიმინაცია რასის, სქესის ან სხვა თვისებების მიხედვით. ის შეიძლება გამოიხატოს სტერეოტიპებით ან „ხუმრობით“.
- დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი სიტყვები, რომელიც კონკრეტული პიროვნების/პიროვნებებისკენაა მიმართული. ხშირად დაუმსახურებლად კი. იგი ყველაზე ხშირად გვხვდება სოციალურ ქსელში, შემდეგ უკვე ე.წ. მიტინგებზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- ქართული მედიასივრცე კლასიკად გამოდგება. ადამიანთა ქცევისა და გამოთქმული აზრის შეფასება ნეგატიურად, რომელიც მოიცავს მხარის აუტანლობას, სიძულვილს. როდესაც სხვა აზრისათვის ადგილი არ რჩება.
- საუბარი, სადაც ყველაფერი ნეგატივის კონტექსტშია, დაკარგულია ზრდილობის და ობიექტურობის

¹⁸ სტილი დაცულია.

ზღვარი, უბრალოდ, ყველა სიტყვა გაჯერებულია ზიზღითა და ბოღმით.

- რაიმე ნიშნის მიხედვით პიროვნების ან ჯგუფის მიმართ ზიზღის გამოხატვა, დამცირება.
- დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახე, რომელიც გამოხატულია შეურაცხყოფელი მიმართვით და დახასიათებით კონკრეტული პირის ან პიროვნებების მიმართ.
- დაცინვა, ქედმაღალი ტონი, დისკრიმინაცია ფერის, სქესის, ასაკისა და ეროვნების მიხედვით და სხვ.
- ჩემი აზრით, სიძულვილის ენა გულისხმობს რაიმე ჯგუფის მიმართ ძალადობრივი ან შეურაცხყოფელი სიტყვების გამოყენებას და მათ მიმართ სიძულვილის გაღვივებას.
- პიროვნების დეგრადაცია.
- რაიმე კერძო მახასიათებლის გამო შეურაცხყოფის მიყენება. დაცინვა ან პირდაპირ შეურაცხყოფა რასის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიისა და სხვა მიზეზების გამო.
- ჩემი აზრით, სიძულვილის ენა ყველა ის ქმედება, რაც შეურაცხყოფს სხვა ადამიანს, ახორციელებს პირდაპირ და შეფარვით ჩაგვრას. ეს არის დისკრიმინაციის გამოვლინების საშუალება, აღვივებს შუღლს ადამიანებს შორის, ხშირად გენდერული, პოლიტიკური, რასობრივი ნიშნით ან სულაც

„ბრბოში“ დანერგილი სტერეოტიპების გამო ხდება. ამის მიზეზი ისაა, რომ საზოგადოებას მიმღებლობის პრობლემა აქვს, სიახლეებს ვერ ეგუება, მაგ, ქალი მანქანის ხელოსანი, საზოგადოებაში მსგავსი ფაქტი უიშვიათესია, სტერეოტიპულად არის დაყოფილი ქალის „შესაფერისი“ საქმე და მამაკაცისა. შესაბამისად, საზოგადოებას მწვავე რეაქცია ექნება, ზოგი ინსტინქტურადაც, დაუფიქრებლად ისვრის ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „სამარცხვინო“, „წამხდარი“, წყევლიან და ლანძღავენ... ხშირი მიზეზი კი რასობრივი კუთხით არის, ცნობილია, რომ ყველას მისი მსგავსი მოსწონს, თითქოს ფსიქოლოგიაში გამჩდარი დრმა აზრია... აი, მაგალითად, პაციენტი მიდის ექიმთან, ორი ექიმია – ქართველი და აზერბაიჯანელი. ის ქართველს აირჩევს, ნდობას რატომღაც თავის მსგავსს უცხადებს, ზოგჯერ გაუაზრებლად.. ამ დროს კი მეორე ექიმი მსაძლოა ბევრად გამოცდილი იყოს... მე კლინიკაში ვმუშაობ, ხშირად შევსწრებივარ პაციენტებისგან ნიგერიელი ან ინდოელი სტუდენტების მიმართ ზიზღით სავსე გამოსხედვას, ზოგჯერ კი – „ეს ახლოს არ მოუშვათ“... სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ სიძულვილის ენაა ყველაფერი, რაც ადამიანის ჩაგვრას გამოხატავს, ეს იქნება სიტყვა, მზერა, ან თუნდაც სოცქსელში სიძულვილის შემცველი პოსტის მოწონება და გაზიარება... გამოდის, ხელს არ უშლი მსგავს ქმედებას, აზრი მოგწონს და თანდათან შენც თანამონაწილე ხდები...„ ბრბოს ნაწილი“.

- სიძულვილის ენა, ჩემუელი აღმით, არის ის, როდესაც ერთი ადამიანი მეორე ადამიანზე ან ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფზე გარკვეული დოზებით ნეგა-

ტიურ გავლენას ახდენს ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე. ის გამოიხატება ენისა და ქესტის კომუნიკაციით, ასევე ქმედებით.

- სიძულვილის ენა წარმოადგენს არასასურველი ჯგუფების და/ან ადამიანების მიმართ შესაბამისი აფექტებით (ზიზღი, მიუღებლობა, სიძულვილი) დატვირთულ ვერბალურ და ზოგ შემთხვევაში ფიზიკურ ქმედებებს, რომელიც მიმართულია, რომ დაამტკიცოს ამ ადამიანების ან ჯგუფების დევიანტობა და უკუღმართობა.
- სიძულვილის ენა არის იმ ტკივილის სხვისთვის მიყენება, რომელიც წარსულში თავად გადაგხდა. სიძულვილი სიბრაზიდან მოდის, რომელსაც წყენა და გულის ტკენა ბადებს. სიძულვილი ბევრნაირად გამოიხატება, უფრო ხშირად კი უარყოფითი და გულგასატეხი სიტყვებით.
- სიძულვილის ენა იარაღივითაა, ანადგურებს ადამიანს...

კითხვაზე გამხდარან თუ არა რესპონდენტები სიძულვილის ენის ადრესატნი ან იცნობენ თუ არა ვინმეს, ვინც გამხდარა, უმეტესობამ აღნიშნა, რომ როგორც ისინი, ასევე მათი მეგობრები, ნაცნობები თუ ნათესავები სხვადასხვა ფორმით ხშირად გამხდარან სიძულვილის ენის მსხვერპლნი. პასუხებიდან გამომდინარე, რამდენიმე ძირითადი თემა გამოიკვეთა:

რელიგიური მრწამსი

- კი, ჩემს კლასელს რელიგიის გამო დასცინოდნენ და იქამდეც მიიყვანეს, რომ კლასიდან გადავიდა.
- ...ჩადრიანი ტურისტების წინააღმდეგ ვაწყდები ძალიან არასასიამოვნო პოსტებს, მათ შორის ფეისბუქ მეგობრებში.

შესახელობა (უმეტესად, წონის პრობლემა),

- ...მეც ხშირად გავმხდარვარ სიძულვილის ენის ადრესატი. ყველაზე სასაცილო კი ისაა, რომ, ძირითადად, ყველა ფიზიკურობაზე ამახვილებს ყურადღებას.
- დიახ. მაგალითად, რეპლიკები ჩემს წონაზე. 10 კილო რომ დაიკლო, გოგო ვერ გაჯობებს, – ვითომ „კარგი ენით“ ნათქვამი, მაგრამ სიძულვილით სავსე.
- მე არ გავმხდარვარ, მაგრამ ჩემი მეგობარი წონის გამო ხშირად გამხდარა სიძულვილის ენის ადრესატი.
- დიახ, ბავშვობაში ხდებოდა შემთხვევები, როდესაც ჩემი შეხედულების გამო ასე ხდებოდა, ან სკოლის ასაკში, ალბათ ყველას განუცდია მსგავსი რამ, ასევე ხშირად არის/იყო წონის გამო ადამიანების მიმართ რაღაც რეპლიკების გაკეთება.

პოლიტიკური პოზიცია

- პირადად არ ვყოფილვარ, მაგრამ საქართველოში ხშირად ხდება სიძულვილის ენის გამოყენება პოლიტიკურ სივრცესა და პოლიტიკადაცემებში. ხშირია განსხვავებული პოლიტიკური აზრის მქონე ადამიანებს შორის დამამცირებელი სიტყვების გამოყენება.
- სიძულვილის ენის ადრესატი გამხდარა ნებისმიერი ადამიანი, ვინც საქართველოში ცხოვრობს. სიძულვილის ენას შეიძლება წავაწყდეთ კერძო საუბრებში, მედია საშუალებებსა და პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია ფართო მასის ან ერთი ინდივიდის წინააღმდეგ.

საქსუალური უმცირესობა და სექსიზმი

- კი, ჩემს ცხოვრებაში მსგავსი ფაქტი სამედიცინო უნივერსიტეტს უკავშირდება... როცა სტუდენტი ხარ, მოტივირებული, მიუხედავად იმისა, საბოლოოდ რას აირჩევ, გინდა ყველაფერი სცადო, ყველა ოპერაციაზე შეხვიდე, გამოცდილება დააგროვო... როცა ლექტორისთვის მითქვამს, რომ მინდოდა შევსულიყავი ოპერაციაზე, ქულას ისედაც გიწერ, რა საჭიროაო, არადა, ქულისთვის კი არა, გამოცდილების გამო მინდოდა.. და მომისმენია მსგავსი ფრაზები: „კაი ახლაა, უცებ არ გახდე ქირურგი“, „ქალი ხარ, სისხლზე გული წაგივა“ და მაინც თუ შენსას გაიტან, შეხვალ და დაანახებ, რომ არც ცუდად გახდი, არც გული აგერია და ცოდნაც საკმაოდ გაქვს. ბოლოს მაინც „დაგმაქრავენ“, – „ტყუილად კარგავ დროს, კი, კაი

გოგო ხარ მარაა... გათხოვდები, ოჯახი გეყოლება. აქ ქალის ადგილი არ არის“, „ტყუილად წვალობ, დროს კარგავ, რამე საინტერესო გააკეთე“ ან მზერა, რომელსაც აწერია – „რა საცოდავი ხარ“... ეს არის ის სტერეოტიპულად გამჯდარი აზრები, რომელიც დისკრიმინაციას ემსახურება და სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ... ფსიქოლოგიურად ამ დროს მოტივაცია გივარდება, არაფერი არ გინდა საერთოდ, დეპრესია გეწყება, არასრულფასოვნების განცდა... სამწუხაროდ, ამ სფეროში განსაკუთრებით არ არის რაიმე საშუალება კონტროლისა, არავინ აწესებს ცენზურას... იქცევით ისე, როგორც მათ უნდათ... თუ პიროვნულად ძლიერი არ ხარ, გადაგივლიან. თან ეს ფაქტები არასდროს მუქდება, არავინ გიცავს, ამაზე არავინ საუბრობს, მენს დასაცავად ხმას არავინ ამოიღებს...

- თავად არა, თუმცა ფაქტები მრავლადაა ირგვლივ, ლგბტ თემის წინააღმდეგ მორწმუნე ახლობლებში.
- ჩემი მეგობარი გოგოები იყვნენ სექსიზმის მსხვერპლები ლექტორის გამო, რომელიც მათ ყოველ ლექციაზე დასცინოდა.
- თავად არ ვყოფილვარ, თუმცა მყავს ახლობელი, რომელიც სექსუალური ორიენტაციის გამო გამხდარა სიძულვილის ენის მსხვერპლი.
- არ გავმხდარვარ. თუმცა ადრესატი გამხდარა ჩემი ჟურნალისტი მეგობარი სხვისთვის მიუღებელი ლგბტ+ რეპორტაჟის გაკეთების გამო.

განსხვავებული/ არაპოპულარული აზრი

- დიან, მარტივია სიძულვილის ენის ადრესატი გახდე, როდესაც არაპოპულარულ რაიმეს ამბობ, იმას, რასაც მასები არასწორად თვლიან.
- ბოლო პერიოდიდან ასეთი მახსენდება ლევან ბერძენიშვილი. ამ შემთხვევაშიც ადელვების მთავარი ტალღა პროვოცირებული იყო იმით, რომ ერეკლე მეორე მასობრივად, ქართველთა უდიდესი უმრავლესობის მიერ აღიქმება გმირად და ამ ფონზე ბერძენიშვილის განცხადებები შეირაცხა, როგორც მარგინალობა, პერვერსია.
- გავმხდარვარ. სოციალურ ქსელებში, მაგალითად, თუ ვინმეს არ მოეწონება შენი პოზიცია, დაუყონებლივ მოგაყენებს შეურაცხყოფას.
- პირადად მე არ გავმხდარვარ სიძულვილის ენის ადრესატი, მაგრამ ჩემ გარშემო მყოფი ადამიანები გამხდარან, მიზეზი ძირითადად არის საკუთარი აზრის დაფიქსირება, რისი გაკრიტიკებაც სხვა ადამიანებს კორექტულად არ შეუძლიათ.
- დიან, როგორც ყველა. ჩვენს რეალობაში განსხვავებული აზრის დაფიქსირება ხშირად იწვევს აგრესიას, შესაბამისად, უფროსი თაობის წარმომადგენლებთან დისკუსიისას შეიძლება წავაწყდეთ სიძულვილის ენას. ყველაზე მარტივი თემები, რომლებიც სიძულვილს გამოიწვევს, არის ჰომოფობია და გენდერული თანასწორობა.

- სიძულვილის ენის ადრესატი ფეისბუქზე ვყოფილვარ არაერთხელ. უცნობი ადამიანები მესხმოდნენ თავს სრულიად უწყინარი კომენტარების გამო, მარტივად გადავწყვიტე ეს პრობლემა, კომენტარებს თითქმის არ ვწერ.
- სიძულვილის ენის ჩემ მიმართ გამოყენება ბოლოს მოვისმინე სოციალურ ქსელში, სადაც ჩემთვის უცნობი ადამიანები კომენტარის სახით წერდნენ, რომ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება არ მქონდა და ამისთვის სამაგალითოდ უნდა დავსჯილიყავი.
- ვფიქრობ, ცხოვრებაში ერთხელ თითოეული ჩვენგანი გამხდარა სიძულვილის ენის მსხვერპლი, მათ შორის მეც, რაც არცთუ ისე მძაფრი ხასიათის ყოფილა, თუმცა შემიმჩნევია არასასურველი კრიტიკა არასასურველი ადამიანისგან, ჩაცმულობის, სოცმედიაში განთავსებული პოსტების ან ფოტოების შესახებ, რაც ძალიან არასასიამოვნოა და, გარკვეულწილად, შეიძლება თავი დამნაშავედაც გაგრძნობინოს. მე პირადად ვყოფილვარ ბრბოს ასეთი კომენტარების მსხვერპლი, რამაც მაფიქრებინა, რომ უნდა მოვიქცე ისე, როგორც ”ხალხს” მოეწონება და მომიწია შეზღუდვების დაწესება საკუთარი თავისთვის, რაც პირდაპირ ვნებდა ჩემს მენტალურ ჯანმრთელობას, ამიტომ მალევე გავიაზრე ეს ყოველივე და ვცდილობ, ხალხის მიერ გამოხატული უარყოფითი კომენტარები არაფრად ჩავაგდო.

როგორც პასუხებიდან ჩანს, საზოგადოებას განსხვავებულობისადმი განსაკუთრებული მიუღებლობა აქვს; „განსხვავებულობა” კი სხვადასხვა საზოგადოებაში

შეიძლება სხვადასხვა მარკერით იყოს წარმოდგენილი. ქართულ საზოგადოებაში აშკარაა, რომ უმეტესობისგან განსხვავებული აზრი, თუნდაც მხოლოდ გარეგნული არასტანდარტულობა, რელიგიური უმცირესობა, სექსუალური უმცირესობა, სექსიზმი შეიძლება გახდეს ადამიანისადმი სიძულვილის ენის უზარმაზარი ტალღის გამომწვევი. ადრესატს კი, საკითხისადმი ნაკლები ცნობიერების გამო, არ აქვს გამკლავების მექანიზმი და პრობლემის გადაჭრას ხედავს იმაში, რომ მოექცეს საზოგადოების მიერ დაწესებულ სტანდარტებში, რაც, საბოლოოდ, არანაკლებ ვნებს მის მენტალურ ჯანმრთელობას, ვიდრე თავად სიძულვილის ენა.

რესპონდენტებს სიძულვილის ენის ადრესატად, ძირითადად, წარმატებული ადამიანები ესახებათ, რადგანაც ისინი ხშირად ჩანან საზოგადოებაში; ასევე, ყველა, ვინც სიმართლეს ამბობს, რაიმე უმცირესობას წარმოადგენს ან განსხვავებული და თამამი აზრის დაფიქსირების არ ემინია.

- წარმატებული ადამიანი.
- ალბათ, ის, ვინც ყოველთვის სიმართლეს ამბობს.
- ქალები.
- უმცირესობის წარმომადგენლები, რადგან ისინი სხვებისგან განსხვავებულები არიან.
- ადამიანები, რომლებიც ღიად და დაუფარავად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციებს, რადგან ეს ყველაფერი საზოგადოებაში გაღიზიანებას იწვევს. ასევე ხალხი,

ვინც ასე თუ ისე წარმატებულია, რასაც შურიც ფაქტორიც განაპირობებს.

- ჩემი აზრით, ყველაზე ხშირად ქალები არიან მსხვერპლნი. შეიძლება პატრიარქალიზმის ბრალია, მუდამ ქალებისკენ იშვერენ თითოს, მაგრამ მგონია, რომ მათ მიმართ უფროა სიძულვილის ენა გამოყენებადი.
- სიძულვილის ენის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ის, ვინც დამნაშავეა და მართლაც შეცდომა დაუშვა, მაგრამ ასევე შეიძლება სრულიად უდანაშაულო ადამიანიც გახდეს ამის მსხვერპლი. ჩემი აზრით, სიძულვილის ენის გამოყენებისას მთავარი ის ადამიანია, ვინც ამ ენით საუბრობს, სიძულვილის ენით მოსაუბრის განათლებასა და შეგნებაზე მეტყველებს ისევ ცუდი სიტყვები და არა იმ ადამიანზე, ვისზეც ეს თქვეს.
- უფრო პოლიტიკოსები. იმიტომ რომ პოლიტიკა ძალიან დიდ როლს ასრულებს ჩვენს ყოველდღიურობაში.
- დასაქმებული ან სოციალურად სხვაზე მდგომი ადამიანი ან, უბრალოდ, განსხვავებული ვინმე, ვინც არსებულ პრინციპებს, შეხედულებებს ეწინააღმდეგება.
- საზოგადოების განსხვავებული, არაკონსერვატიული წევრები. LGBTQ+ თემი, თავისუფლად ჩაცმული ქალები, შესაძლებელია განსხვავებული სტილის კაცები (გრძელი თმები, საყურეები), სხვა ქვეყნის და/ან რასის წარმომადგენლები, განსხვავებული რელიგიის მიმდევარი. გაუაზრებელი მენტალიტეტის, არასწორი რელიგიური ქადაგების, განსხვავებულის მიუღებლობის გამო.

- ყველაზე ხშირად სიძულვილის ენის მსხვერპლი ხდებიან ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ აზრს თამამად და მკაფიოდ აფიქსირებენ, რაც უნდა არ ჯდებოდეს ისინი იმ საზღვრებში, რომლებიც საზოგადოებამ დააწესა.
- საპირისპირო ან არაპოპულარული აზრის მქონე ადამიანი.
- სოციალურ ქსელეში უამრავი სახის ინფორმაცია ვრცელდება და განსაკუთრებით მძაფრად არის გამოხატული სიძულვილის ენა სოციალური ქსელების საშუალებით. ვფიქრობ, განსაკუთრებულ აგრესიას იჩენენ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ.
- სიძულვილის ენის მსხვერპლი ხშირად იქცევა განსხვავებული ადამიანი, მაგალითად, განსხვავებული რასის, ორიენტაციის, იდეოლოგიის, ჩაცმის სტილის, წონისა და გარეგნობის ადამიანები; ასევე ის ადამიანები, რომლებიც სტერეოტიპულ სტანდარტებში ვერ ჯდებიან .
- ყოველთვის იჩაგრება უფრო სუსტი, ეს განუვითარებელი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშანია.
- სიძულვილის ენა – ეს არის მხოლოდ მოძალადის არჩევანი, რომლის მსხვერპლი ნებისმიერი შეიძლება იყოს, მაგრამ, როგორც წესი, მსხვერპლი ხდება განსხვავებული შეხედულებების, წარმატებული ადამიანი.

- სიძულვილის ენის მსხვერპლი ყველა შეიძლება გახდეს, მიზეზი სტერეოტიპია, უაზრო, ბოროტ ხალხში გამჯდარი კომუნისტური იდეოლოგიები... დაწყებული სკოლის ასაკიდან ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მონაცვლოებით გადადის. „ეს მოსწავლეს არ შეუფერება“ – აზრის დაფიქსირება მიუღებელია... რატომ? იმიტომ რომ საბჭოთა კავშირში ასე იყო. მასწავლებლებს გამოყოფილი აქვთ ეს ყურმოჭრილი მორჩილების სურვილი.. ამ დროს, შესაძლოა, მასწავლებელი ახალგაზრდა იყოს, სულ არ იყოს იმ პერიოდისა, მაგრამ საბჭოეთის პედაგოგის გამოზრდილი იყოს და ასე, გაფუჭებული ტელეფონის პრინციპით გადაეცემა ღვარდლი, დაცინვა, ბოროტება და ჩაგვრა.. ეს ცხოვრების ყველა ეტაპზე და ყველა სფეროში შესაძლოა იყოს, მაგრამ განსაკუთრებით დაუცველები არიან სხვა ორიენტაციის ადამიანები და რასობრივად ან რელიგიურად განსხვავებულნი. აქ უკვე ჩაგვრა მზერას, სიტყვებს ცდება და ფიზიკურ შეურაცყოფაზე გადადის... მე კლასელი მყავდა, ძალიან კარგი ბიჭი, კარგი მეგობარი, ყველასთვის საყვარელი, მაგრამ ერთ დღესაც ორიენტაცია შეეცვალა და იმ ხალხმა, რომელიც გვერდით ჰყავდა 24/7, „წიხლში გაიგდეს“... დღეს საქართველო დატოვა, იმდენად შეუძლებელი იყო მისთვის აქ გაჩერება... რომ ვიკითხე, რატომ მოექცით ასე? ის ხომ ჩვენი მეგობარი იყო-მეთქი, მიპასუხეს: „სამარცხვინოა“, „მოსაკლავია“ და რატომ? ამას ვერ ხსნიან.. იმიტომ რომ გამჯდარი სტერეოტიპია, სიახლის მიუღებლობა. თითქოს დღეისთვის სიტუაცია შეიცვალა, ისე მწვავე აღარ არის, როგორც რამდენიმე წლის წინ, მაგრამ ერთეული შემთხვევები მაინც ხდება... განათლება მხოლოდ დიპლომი არ არის, სკოლაში, უნივერსიტეტში,

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისეთი ხალხი უნდა მუშაობდეს, ვინც თაობას ჯანსაღად აღზრდის და არა სტერეოტიპის, საბჭოურ მარწუხებში გააბამს... ოჯახსაც დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ამ დროს... სხვადასხვა საშუალებით, მედიის დახმარებით იქნება ეს, სამსახურებრივი ტრენინგები თუ სტატიები, უნდა მოხდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება... ამ მხრივ, რა თქმა უნდა, წინსვლა არის, მაგრამ მუშაობა კვლავ არის საჭირო...

- ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს.
- უმცირესობები, ლგბტ წევრები, ქალები.
- ვინც განსხვავებულია და ნაკლებად აინტერესებს სხვების აზრი, რადგან საზოგადოებას არ მოსწონს მის მიერ შექმნილ წესებზე შეწინააღმდეგება და განსხვავებულობას აღიქვამენ, როგორც არასწორს, ცუდს, იმას, რაც უნდა სძულდეთ.
- სიმართლის მთქმელი.
- თვალსაწიერის სივიწროვის, სიღარიბის, ზოგადი განათლების დეფიციტის ბრალია. რომ ჰქონდეთ ადამიანებს განათლების მისაღებად, უცხოური ენების შესასწავლად, სამოგზაუროდ თანხები, გაიაზრებდნენ, რომ სამყარო ფერადი და მშვენიერია.
- ძირითადად, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, რომელთა პირადი ცხოვრება ან სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა სახის საქმიანობა ხშირად შუქდება მედია საშუალებებით.

სიძულვილის ენის გამოყენებისკენ კი, რესპონდენტების აზრით, უფრო სუსტი, გაუნათლებელი ხალხი იხრება. ეს სპექტრი მოიცავს შემდეგს:

- სუსტი ადამიანები;
- წარუმატებელი ადამიანები;
- გაუნათლებელი ადამიანები;
- დაბალი ინტელექტის ადამიანები;
- ისეთი პიროვნება, რომელიც პატივს არ სცემს სხვის კულტურასა და ტრადიციებს;
- უცოდინარი და კომპლექსიანი მამაკაცები, ასევე შურიანი ქალები და ტიკ-ტოკ პლატფორმას თუ გავიხსენებთ, 11-15 წლამდე მოზარდებიც;
- ის, ვინც სუსტია და ვერ აკონტროლებს ემოციებს; გაუნათლებელი ან პოლიტიკურად, რელიგიურად ანგაჟირებული ადამიანები;
- ვითომ ქართული სულის, კულტურისა და ქრისტიანობის დამცველები;
- მოძალადე ტიპის არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ადამიანები;
- სიძულვილის ენას ყველაზე ხშირად ნაკლები განათლების ადამიანები იყენებენ, რადგან მათთვის უცხოა თავისუფალი აზრის არსებობის ცნება.
- ფრუსტრირებული ადამიანები, რომლებიც საკუთარი თავით, მიღწევებით, ეკონომიკური მდგომარეობის ან პირადი ურთიერთობების დეფიციტის გამო თავს სრლფასოვნად არ გრძნობენ.

- ყველაზე ხშირად მე პირადად პოლიტიკურად დაპირისპირებულ საზოგადოებაში ვხვდები.
- ადამიანი, ვისაც აქვს მცირედი განათლება, მცირე კომპეტენცია და დიდი ამბიცი.
- ჩემი აზრით, ყველაზე ხშირად სიძულვილის ენას იყენებს ის ადამიანი, რომლებიც პატივს არ სცემს სხვა ადამიანის რაობასა და პიროვნების განსხვავებულობას. ასევე ის ადამიანები, რომლებიც თავად არიან საკუთარი თავით უკმაყოფილო და ამის დაფარვა სხვისი დაჩაგვრით და ლანძღვით შეუძლიათ.
- მენტალურად სუსტი ან მხდელი ადამიანები მიმართავენ ამ ენას ყველაზე ხშირად. გამოსავალი ან არგუმენტი როცა აღარ აქვთ, ასეთ ხალხს ისღა რჩებათ, რომ ტალახი ისროლონ.
- იყენებს ის, ვისაც ეშინია განსხვავებულის. არ აქვს ინფორმაცია ან ფლობს არასწორ სტერეოტიპულ შეხედულებას საკითხის მიმართ.
- არშემდგარი ადამიანები. ოჯახური და არა მარტო ოჯახური ძალადობის მსხვეპლნი.
- გაუნათლებელი ბრბო ან ბოროტი ზრახვებით შთაგონებული ადამიანი.
- ჩემი აზრით, აშკარაა, რომ ტელევიზიები ყველაზე ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას.
- გაუნათლებელი, პიროვნული განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანები. მაგრამ საქართველოში სიძულვილის ენამ გადალახა ყველა სოციალური ბარიერი და გვესმის მედიიდან, პარლამენტიდან, ამბიონიდან.
- გაბოროტებული ადამიანები, რომლებსაც სიამოვნებით სხვისი ჩაგვრა და დამცირება, მაგრამ არსებობს ასევე მოსაზრება, რომ თვითონ ასეთი ადამიანებიც ადრეულ ასაკში გამხდარან ამის მსხვერპლი.

- სიძულვილის ენას კვლავ იყენებს მსხვერპლი, რომელსაც დააკლეს მზრუნველობა, სიყვარული. ხშირ შემთხვევაში, მსგავსი ადამიანები თავად არიან ბულინგის მსხვერპლები. რთულ ოჯახურ პირობებში იზრდებიან, რაც უარყოფითად ისახება მათ პიროვნულად ჩამოყალიბებაზე.
- სიძულვილის ენა ყველამ შეიძლება გამოიყენოს, თუ ზედაპირულად იაზროვნებს "ხალხის აზრით" გამჯდარი სტერეოტიპებით და არა საკუთარი აზრით, როცა შეგვეძლება სიტუაციას მეორე მხრიდან შევხედოთ და ამ უნარს გამოვიყენებთ, არა მგონია, ვინმემ გამოიყენოს ეს „ენა“.
- ალბათ ის ადამიანები, რომლებსაც საზოგადოებაში საკუთარი თავის დამკვიდრება სურთ, ან ისინი, ვისაც თვითშეფასების ამაღლება სურს, თუ სხვებს „დაჩაგრავენ“, მაშინ ისინი აღარ იქნებიან „დაჩაგრულები“. შესაძლოა ესეც იყოს.

რაც შეეხება შეკითხვას, თავადაც გამოუყენებიათ თუ არა სიძულვილის ენა, ექსპერიმენტის მონაწილეთა ძირითადი ნაწილი უარყოფითად პასუხობს მას. მეორე მხრივ, არიან ისეთი რესპონდენტებიც, რომლებსაც ახსენდებათ მათ მიერ გამოყენებული დისკრიმინაციული წინადადებები, თუმცა ამატებენ, რომ მათ მხოლოდ გაუაზრებლად გამოიყენებდნენ, რადგანაც არ იცოდნენ, რა არის სიძულვილის ენა და რა ზიანი შეიძლება მიაყენოს მისმა მომხმარებელმა სხვას და ამას ძალიან ნანობენ, ან რადგანაც ასეთ სოციალურ გარემოში იზრდებიან და ეგონათ, სწორად აზროვნებდნენ. ზოგიერთი ასევე აღნიშნავს, რომ მისკენ მიმართულ სიძულვილ ენას შეებრძოლნენ თავად გამოყენებული სიძულვილის ენით:

- არა, არავითარ შემთხვევაში. ყველა ინდივიდუალურია და განსაკუთრებული. არავინაა ამის ღირსი. მით უმეტეს ისეთი ხალხი, რომელიც თვითონ იყენებს სიძულვილის ენას.
- ზემოთ მოყვანილ მაგალითში წვლილი მეც შევიტანე. ალბათ, ბრბოს ფსიქოლოგიას ავყევი.
- გამომიყენებია, რომ ჩემი თავი დამეცვა. ისე, არანაირად არ მომწონს. იმ ადამიანის აგრესიას უფრო დიდი აგრესიით და ცინიზმით (შეურაცხმყოფელი და სექსისტური) ფრაზებით გავეცი პასუხი.
- არასდროს არ გამომიყენებია სიძულვილის ენა, რადგანაც ვთვლი, რომ ასე საუბარს არაფერი მოაქვს სასიკეთო, ასე ვერ გადავჭრით პრობლემას და ვერც დამნაშავეს გავაგებინებთ რამეს
- ძალიან მიჭირს, ვერავის ვიმეტებ და თან მგონია, რომ ცუდი მაგალითია. რადგან მე არ მომწონს, სხვასაც არ მივმართავ მსგავსი ფორმით. უი, გამახსენდა, ერთი, თინა კანდელაკს დაუწერე, – დარჩი რუსეთში შენი ადგილი მანდ არის-მეთქი. მეტი მაინც ვერ გავლანძღე.
- სიძულვილის ენა გამომიყენებია ჩემთვის მიუღებელი აზრის დაფიქსირების დროს, მაგრამ შემდგომში მინანია, რადგან თუ მე არ მინდა ჩემს აზრს ვინმემ დაუწესოს საზღვრები, იგივე არ უნდა გავაკეთო მეც, მას შემდეგ ვცდილობ, რომ თავი შევიკავო.
- კი, აქვე დავწერ, არ უნდა მექნა.

- ვცდილობ, მაქსიმალურად რომ ავირიდო თავიდან, თუმცა ალბათ გაბრაზების ან აფექტის დროს გამომიყენებია.
- სიძულვილის ენა გამომიყენებია, როგორც საპასუხო რეაქცია სხვისგან წამოსულ აგრესიაზე. მაგალითად რომ ვთქვა, ინტერნეტ ტროლები იწვევენ ნეგატიურ დამოკიდებულებას ხოლმე.
- დიახ, მაგრამ გვიან გამიცნობიერებია.
- მე არ გამომიყენებია და თუ შემთხვევით, ბოდიში მომიხდია.
- ნაკლებად ძირითად უსამართლობისას. თუმცა ვთვლი, რომ ამ გზით ვერაფერს გამოვასწორებთ. ეს სისუსტეა და მაქსიმალურად ვცდილობ იგივე ნაკლებად გავიმეორო.
- კი, სკოლის პერიოდში გაუთვითცნობიერებელი ზიზღი მქონდა მოზარდების მიმართ, რომლებიც თმებს იღებავდნენ და პირსინგს ატარებდნენ. ასეთ ბავშვებთან, მოზარდებთან კომუნიკაციაში არ შევდიოდი. და რატომ? იმიტომ რომ ჩემი მასწავლებელი 24/7 მათ ლანძღვაში იყო, თქვენც მათნაირი ნუ გახდებით, ეს ის... და ვცდილობდი შორს დამეჭირა თავი, ჩემი სიძულვილის ენა ამრეზილი მზერა იყო. მერე ბებიამ შენიშნა ჩემი საქციელი და ყველაფერი ამიხსნა, სულ სხვა მხარით დამანახა ყველაფერი. რა არის ამაში ცუდი? არც არაფერი... მასწავლებელთან დალაპარაკებას აზრი არ ჰქონდა, მის აზროვნებას ბებიაჩემი ვერ შეცვლიდა, მერე ახალ სკოლაში გადამიყვანა, კარგ

გარემოში, სადაც ძალიან კარგი პედაგოგები იყვნენ, ჯანსაღი აზროვნება გვასწავლეს მე-5 კლასი გარდამტეხი იყო ჩემს ცხოვრებაში. რომ არა ბებია, მე არაჯანსაღ, ტოქსიკურ ადამიანად ჩამოვყალიბდებოდი და ეს სულაც არ იქნებოდა ჩემი ბრალი.

- ძალიან ადრე, სამწუხაროდ, ლგბტ თემის მიმართ. შემდეგ მკვეთრად შევიცვალე.
- ბოლოს გამოვიყენე რუსი ახალგაზრდების მიმართ, რომლებმაც, შექმნილი ვითარების მიუხედავად, რუსული მუსიკის ხმამაღალი არანჟირებით ჩემს ქუჩაზე ჩაატარეს პროპაგანდისტული დემონსტრაცია.

კითხვებზე, თუ რას ემსახურება სიძულვილის ენა და რა ზიანი მოაქვს მის გამოყენებას, ყველა რესპოდენტი თანხმდება მის უარყოფით, საზიანო მხარეებზე. რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ სიძულვილის ენა უკიდურესი ფორმაა, რომელსაც ხალხის დასაჩაგრად, დასაკნინებლად იყენებენ, რათა საკუთარი ძალაუფლება კიდევ უფრო წინ წამოსწიონ. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, გაუაზრებლადაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ შედეგები შეუქცევადია; სიძულვილის ენის გამოყენებას ადრესატის სუიციდამდე მიყვანაც კი შეუძლია. სიძულვილის ენა ემსახურება შემდეგ მიზნებს:

- ადრესატის დაკნინებას და უარყოფითი სურათის შექმნას.
- უარყოფითი ემოციის გამოხატვის უკიდურესი ფორმაა.
- უპატივცემულობას, ჩაგვრას, სხვაზე ძალაუფლების მოპოვებას.

- სხვისი დამცირების ხარჯზე საკუთარი ძალის დემონსტრირებას.
- უმრავლეს შემთხვევაში, ობიექტის პიროვნულ განადგურებას; ზოგიერთ შემთხვევაში, მისი უმიზნოდ გამომყენებული აფასებს და ამბობს ისე, როგორც შეუძლია (მეტი არ იცის).
- სიძულვილის პროლიფერაციას.
- შეურაცხყოფის მიყენებას, დისკრიმინაციას, ჩაგვრას, საკუთარი დაკნინებული „მეს“ წარმოჩენას.
- სხვის განადგურებას, დამცირებას, შეურაცხყოფას.
- დაამციროს და შეურაცხყოს განსხვავებული აზრის/ ცხივრების სტილის მქონე ადამიანი.
- მმართველთა ხელში სიძულვილის ენა მოწინააღმდეგის დისკრიმინაციას ემსახურება, მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში, საკუთარი თავისთვის თავისი უპირატესობის დამტკიცების მცდელობა.
- ჩემი აზრით, არც არაფერს, ბევრი ადამიანი სრულიად გაუაზრებლად იმეორებს, გადასცემს ერთი მეორეს, უსისხლხორცდებათ და გამოუსწორებელ პრობლემად იქცევა... დღესდღეობით არა მგონია ამ ყველაფრის უკან ვინმე იყოს და ვინმეს სხვისი ჩაგვრით რაიმე სარგებელი ჰქონდეს, საბჭოეთის პერიოდში კი ეს ხალხის კონტროლისა და ჩარჩოებში მოქცევის საშუალება იყო.
- როცა სურთ რომ მართლა ატკინონ სხვა პიროვნებას და საბაბს ვერ პოულობენ, გადადიან რასაზე, რელიგიაზე ან ეროვნებაზე.
- ნეგატიური აზრის გავრცელებას საზოგადოებაში, გარკვეული ადამიანის ან ადამიანების მიმართ ზიზღის ჩანერგვას საკუთარი თავის უფრო აღმატებულად წარმოჩენა.

- სიძულვილის ენა, უპირველესად, ემსახურება ხალხის გრძნობებით მანიპულირებას და მათ სხვის საწინააღმდეგოდ განწყობას. ასევე, სიძულვილის ენა მიმართულია, კონკრეტული ადამიანისა თუ ჯგუფის დასამცირებლად და მათი რეპუტაციის დასაზიანებლად.
- სიძულვილის ენა ემსახურება საზოგადოების დესტრუქციას და მის ნორმალიზებურად მუშაობას, ნებისმიერ სფეროში სიძულვილის ენის გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს ფატალურ შედეგამდე.
- სიძულვილის ენას შეუძლია საზოგადოება აქციოს ბრბოდ და ამ შემთხვევაში საღი აზრი იკარგება.
- ანადგურებს ადამიანს.
- საღი აზრის ან რაიმე სახის ობიექტური ქვეყნობის არსებობას ექმნება საფრთხე.
- ადამიანების უფლებების დარღვევა, მასობრივი უსამართლობა, ადამიანებში ფსიქოლოგიური პრობლემების – შფოთვის, პანიკის, თვითრწმენის კარგვის, შიშის, სტრესის გამოწვევა.
- სიძულვილის ენა ყველაზე მარტივ ფორმებში იწვევს თვითშეფასების დადაბლებას, ღროებით დეპრესიას, სოციუმისგან გარიყვას და ა. შ. თუმცა მძიმე ფორმებში შესაძლოა ადამიანი სუიციდამდე მიიყვანოს.
- ვიწრო სოციუმშია თუ ფართო საზოგადოებაში, ეს აგროვებს ნეგატიურ ენერგიას; ინგრევა ურთიერთობები და სხვ.

- შედარებით სუსტი ფსიქიკის ადამიანებს ეცემათ თვითშეფასება, შესაძლო გამოიწვიოს ტრავმაც კი, რომელიც მთელი ცხოვრება დარჩებათ.
- ადამიანისათვის ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება.
- შობს აგრესიას, შურისძიების წყურვილს და შეიძლება ადამიანზე მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა იქონიოს.
- საზოგადოება თავისი განვითარების საფეხურზე უკუსვლით მიდის, მკვიდრდება საყოველთაო ნიჰილიზმი და უპატივცემულობა.
- შეიძლება ის ადამიანიც გაბოროტდეს და იგივე გააკეთოს ან სუიციდამდეც მიიყვანოს.
- უპირველესად წამახალისებელია, ვაჩვენოთ მომავალსაც ამ ენით საუბარს, რაც ყველაზე ცუდი მგონია.
- სიყვარულს არ ემსახურება და რაც სიყვარულის წინააღმდეგია, ადამიანში პოტენციურად არსებულ სიძულვილს კიდევ უფრო აღრმავებს, აგრესიას თესავს, ჩაგრავს და სხვ.
- საზოგადოების ორ მტრულ ბანაკად ჩამოყალიბებას.
- ემოციურად და ფსიქოლოგიურად აზიანებს ადრესატს.
- სიძულვილის ენის ზეგავლენის შედეგად ჩამოყალიბებული არაჯანსაღი საზოგადოება ვერ შედგება ჯანსაღად მოაზროვნე ერად და, შესაბამისად, ვერ

შექმნის ცივილური ღირებულებების მქონე სახელმწიფოს.

- სიძულვილის ენას მოაქვს დროებითი ძალაუფლების შეგრძნება, რომელსაც მოჰყვება პიროვნების გარდაუვალი დეგრადაცია. შემეცნების არცერთი მექანიზმი არ იყენებს სიძულვილს, შესაბამისად, ინდივიდი, რომელიც ამას იყენებს, მიდის გარდაუვალ დეგრადაციამდე.
- შეიძლება მსგავსი რამ ნორმალურად და მისაღებად ჩათვალოს მოზარდმა და მანაც დაიწყოს იმავის გამეორება, რაც გაიგონა, ამრიგად კი ეს უკანასკნელი განვითარდეს და გავრცელდეს.
- საზოგადოებას ხლეჩს სხვადასხვა ნაწილად.
- ადამიანს ანგრევს ფსიქოლოგიურად, ანადგურებს... საშინელებაა... ადამიანთა წარუმატებლობის, ცუდ შემთხვევაში კი სუიციდის მიზეზია.
- იჩაგრებიან უმცირესობები, რაც ყველა ადამიანზე განსხვავებულად მოქმედებს. ბევრი შემთხვევა ყოფილა, რომ სწორედ სიძულვილის ენის გამო თავიც მოუკლავ.
- რთულია პასუხის გაცემა, მაგრამ ვეცდები. არასწორად გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას, თუ მოხდა ასე, საზოგადოების გაცილებით ნაკლები წევრი ისმენს, ვიდრე თავდაპირველ ცრუ ინფორმაციას; უსამართლო მოპყრობის მსხვერპლის რეაგირება ამაზე ინდივიდუალურია, ზოგი იბრძვის, ზოგი ფარ-ხმალს ყრის და დეპრესიაში ვარდება. საზოგადოება ამ უზრმაზარ

ინფორმაციულ ნაკადში ვეღარ ერკვევა, ჯერ ცდილობს გარკვევას, მერე აღარ და შეიძლება საერთოდ ნიჰილიზმის გზას დაადგეს. სიძულვილის ენით გამოხატული თავდასხმები არის ერთ-ერთი საშუალება, რომ ქვეყნისთვის, ხალხისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები გადაიფაროს რაღაც სიყალბით და მთელი ენერგიის, ბრაზის, თანაგრძნობის თუ, პირიქით, ზიზღის კონცენტრირება მოხდეს იმაზე, რაც რეალურად უმნიშვნელოა.

- რთული ხდება ეთიკური ნორმების შენარჩუნება. შესაძლებელია ახლო მომავალში მოცემული მოვლენა ნორმად გადაიქცეს. ეს ყველაფერი ნეგატიურად აისახება საზოგადოებაზე.

რაც შეეხება ბოლო შეკითხვას, თუ როგორ შეიძლება ვებრძოლოთ სიძულვილის ენას, კვლევაში მონაწილეების უმეტესობა აფიქსირებს იმ აზრს, რომ განათლება, კრიტიკული აზროვნების გამომუშავება, ცნობიერების ამაღლება, ემპათია, და, რაც მთავარია, მომავალი თაობის, ბავშვების სწორად აღზრდა ამ პრობლემური საკითხის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი ნაწილია:

- რთულია ერთი პასუხის გაცემა, განათლება და კრიტიკული აზროვნების განვითარება მიმაჩნია საწყის ეტაპად. აგრეთვე საარსებო პირობების გაუმჯობესება აუცილებელია სიღატაკის პირას მყოფი ხალხისთვის.
- ალბათ, ზოგადად, ცხოვრების დონის, განათლების, ინტელექტის ამაღლებით. "შემდგარ და წარმატებულ" ადამიანს ნაკლებად ექნება დრო და სურვილი, სი-

ძულვილის ენით დაკავდეს და სხვის ცხოვრებას დაუწყოს ღრღნა/განხილვა.

- უნდა გვიყვარდეს ადამიანები.
- პირველ რიგში, თითოეულმა ადამიანმა უნდა წარმოიდგინოს საკუთარო თავი იმ ადამიანის ადგილას, რომელსაც ამცირებს ან შეურაცხყოფს, გაიაზროს ყველა ის გრძნობა, რაც სიძულვილის ენის ადრესატს დაუფლება და თუ ყველა ადამიანი საკუთარ თავს ვასწავლით, რომ სიძულვილის ენას უდიდესი ზიანი მოაქვს, მაშინ სოციუმის დამოკიდებულებასაც ეშვებოდა, თუმცა მხოლოდ ადამიანების მცირე ჯგუფების მცდელობა ზღვაში წვეთია. ვფიქრობ, სიძულვილის ენის საბოლოოდ აღმოფხვრა შეუძლებელია ან საუკუნეები სჭირდება, თუმცა შეგვწევს ძალა, მინიმუმამდე დავიყვანოთ იგი.
- მეტი განათლება ამ მიმართულებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში; სოც. მედიაში – დაბლოკვა; შესაძლებელია გადაცემების გააქტიურება ამ თემატიკაზე და მეტი მსჯელობა; დასჯადი ღონისძიებების პოპულარიზაცია სიძულვილის ენის გამოყენებისას.
- ცნობიერების ამაღლებით, განსაკუთრებით სკოლის ასაკის მქონე მოზარდებში და ალბათ აღსრულების მხრივ კანონით დასჯადი ქმედება უნდა იყოს.
- ვინაიდან უფროსებს, მგონია, აღარაფერი ეშვებოდათ, ბავშვები უნდა გავზარდოთ, შესაძლებელია სკოლის პროგრამაში რამე სახით დამკვიდრება.

- საზოგადოების თვითშეგნება უნდა ამაღლდეს და კანონი უნდა იყოს მორგებული მსგავს ქმედებებზე ისე, რომ დაუსჯელობის განცდა არ იყოს გაბატონებული.
- სოციალური რგოლები ტელევიზიებსა და ინტერნეტ სივრცეებში. მეტი ასახვა ხელიწების სხვადასხვა დარგში, თეატრში, კინოსა და ლიტერატურაში, ასევე გადაცემები მსგავს საკითხებზე.
- მე აქტიურად ვუსმენდი დებატებს უცხოურ მედიაში ამ თემაზე. მომეწონა ერთი ექსპერტის აზრი: არა მარტო სიძულვილის ენა უნდა აიკრძალოს კანონით, არამედ ნებისმიერი მცდელობა თუ წანამძღვარი, რაც გამოიწვევს სიძულვილის ენის გამოყენების აუცილებლობას. საგანმანათლებლო ინსტიტუციებში უნდა გამყარდეს ცნობიერების ამაღლება. პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს აღმკვეთი მექანიზმები და, რაც მთავარია, პირველმა პირებმა უნდა აჩვენონ ურთიერთპატივისცემა და შეძლონ კონსტრუქციული საუბარი.
- ჩვენ დავიწყეთ სიყვარულის ენაზე საუბარი, მსხვერპლმა თუ არამსხვერპლმა.
- ჩემი აზრით, ეს არა მხოლოდ საზოგადოებრივი, არამედ სახელმწიფოებრივი პრობლემაა, ამასთან, ეს საკითხი ოდითგან აფიქრებს ადამიანსაც და საზოგადოებასაც, არა ერთი ნაწარმოებისა თუ საზოგადო მოვლენის წინაპირობა თუ თემაც არის, ასე ვთქვათ, მარადიული საფიქრალია, ყველა ეპოქის თანამდევი, თუმცა დღესდღეობით ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ უფრო ცხადად და უფრო ნათლად წარმოაჩინა ეს პრობლემა, ამავე დროს, მთელი სისასტიკით გამოავლინა და დაგვანახა, ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებიან აგრესიის გამოხატვაში, თუნდაც

სრულიად უცნობი და არაცნობადი ადამიანების მიმართ, ამის მაგალითად გამოდგება ნებისმიერ თემაზე ფეისბუქგვერდებში პოსტებზე კომენტარები... ვფიქრობ, პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია საგანმანათლებლო სისტემაზე, კერძოდ, სკოლებზე, ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკაზე, ზოგადად, ადამიანი გაუცხოვდა ადამიანს, საზოგადოებას, სახელმწიფოს, სამყაროს... ამიტომ პრობლემის გადაჭრის გზად მაინც საადმინისტრაციო სისტემების რეფორმა მიმაჩნია, თუმცა საინფორმაციო სისტემების როლიც უდიდესია, ერთგვარი ცენზურის აუცილებლობაც დგას.

- უნდა დავიწყოთ ოჯახებიდან, თუკი ოჯახში სიძულვილის ენა ესმის/ხედავს ბავშვს, მაშინ ბრძოლას აზრი არ აქვს, მისთვის ეს ნორმად იქცევა.
- ვასწავლოთ მომავალ თაობას, რომ ყველას ცხოვრება ინდივიდუალურია, რომ არ არის ჩვენი გასარჩევი სხვისი ცხოვრება, რომ იმისათვის, რომ ბედნიერები, ღიმილიანები და თავისუფლები ვიყოთ, ყველამ ჩვენი ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ.
- მხოლოდ და მხოლოდ ამაზე ხმამაღლა საუბრით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით და ადამიანთა უფლებების მაქსიმალურად დაცვით. დაწყებული სკოლიდან მოსწავლის უფლებები უნდა იყოს დაცული და კონტროლირებადი, უნივერსიტეტებში, სამსახურებში არა მხოლოდ ფურცლებზე უნდა იყოს დაწერილი კანონები არამედ უნდა იყოს ამ ყველაფრის გამკონტროლებელი მხარე რისი იმედიც გვექნება, რომ დავვიცავენ... აქტიურად რომებრძოლოს ამას სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. თანდათან ხალხის ცნობიერებაც ამაღლდება და პრობლემა აღმოიფხვრება

- პირველ რიგში, ბავშვებს უნდა შევაგნებინოთ, რამდენად არასწორია მისი გამოყენება, რათა მოხდეს ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბება. ვთვლი, რომ მიუხედავად ყველანაირი ზომებისა, მისი აბსოლუტურად აღმოფხვრა ვერასდროს მოხერხდება, რადგან ეს ადამიანის ბუნების ნაწილია. შეიძლება ჯარიმების დაწესებაც.
- პირველ რიგში, განათლება, სკოლებშივე უნდა ისწავლებოდეს, რომ განსხვავებულობა დანაშაული არ არის და სიძულვილის ენა საზიანოა ყველასთვის, ბავშვებს უფრო მეტ სიყვარულსა და სიბოძეს უნდა ასწავლიდნენ მასწავლებლები და ხელი უნდა შეუშალონ ბულინგსა და ჩაგვრას. უფრო მოზრდილ საზოგადოებაში კი ლექცია-სემინარები უნდა იმართებოდეს ამ თემაზე, რათა ამაღლდეს ხალხის ცნობიერება. ასევე რელიგიაც დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და ხშირად ისინიც უწყობენ ხელს სიძულვილის ენის გამოყენებას, ამიტომ მკაცრად უნდა კონტროლირდებოდეს მთავრობის მიერ მსგავსი შემთხვევები სკოლებში, უნივერსიტეტებში, თუნდაც ეკლესიებში.

გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, სიძულვილის ენა შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად:

სიძულვილის ენა არის დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც, ძირითადად, მიემართება რაიმე ნიშნით განსხვავებულ და გამორჩეულ სოციალურ ჯგუფს, იქნება ეს სექსუალური ორიენტაცია, გენდერი, რელიგიური მრწამსი (უმეტესად, საზოგადოების რელიგიური

უმცირესობა), ეთნიკური სხვაობა. აღსანიშნავია, რომ სიძულვილის ენა გამოიხატება არა მხოლოდ ვერბალურად, არამედ არავერბალური გზითაც, მაგალითად, მზერით, ქესტებით... სიძულვილის ენის გამოყენებას თან ახლავს წარმომთქმელის სურვილი, დაამტკიცოს ადრესატი ჯგუფის განსხვავებულობა და, შესაბამისად, უარყოფითად წარმოაჩინოს ის საზოგადოების წინაშე. ადრესატზე, კერძოდ, მის ფსიქოლოგიურ, ისე სულიერ მდგომარეობაზე სიძულვილის ენა ხანგრძლივ ეფექტს ახდენს, მოკლედ რომ ვთქვათ, „სიძულვილის ენა იარაღივითაა, იგი ანადგურებს ადამიანს“.

კვლევაში მონაწილეებმა სიძულვილის ენის გამოყენების რამდენიმე ძირითადი თემა გამოყვეს, როგორიცაა რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობები, სექსიზმი, გენდერული უთანასწორობა, გარეგნულ მხარეზე ხაზგასმა და ა.შ.

მეორე მრივ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კითხვარში მონაწილე პირები ხშირად ვერ აფიქსირებენ განსხვავებას სიძულვილის ენასა და შეურაცხყოფასა თუ ბულინგს შორის. შესაბამისად, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენი კვლევის საჭიროებას, რათა ამაღლდეს ცნობიერება სიძულვილის ენასთან დაკავშირებით. აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა ზიანი მოაქვს მას როგორც ადრესატისთვის, ისე ავტორისთვის და როგორი ლინგვისტური მახასიათებლები აქვს მას, რომ ადვილად შევძლოთ მისი ამოცნობა. ასევე აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა ხერხებით უნდა ვებრძოლოთ მას.

ქართულ სოციალურ ქსელში განთავსებული კომენტარების ანალიზი

კვლევის მეორე ეტაპი კი უშუალოდ სიძულვილის ენის ლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ ანალიზს მოიცავს და მიზნად ისახავს, დაადგინოს:

1. რა ენობრივი სტრატეგიები გამოიყენება ქართულ ციფრულ მედიადისკურსში ქალის გენდერული ჩაგვრის გამოსახატავად?

2. როგორ აისახება ენაში კულტურული, გენდერული და რელიგიური სტერეოტიპები და რა გავლენას ახდენენ ისინი გენდერული როლების განაწილებასა და მათ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე ქართულ სინამდვილეში?

3. როგორ აიგება კომუნიკაციური აქტების მონაწილეთა ენობრივი იდენტობები ციფრულ დისკურსში?

4. ვინ არიან სიძულვილის ენის ძირითადი გამომყენებლები და ვის მიმართ არის ის მიმართული?

5. რას ემსახურება სიძულვილის ენის გამოყენება?

კვლევისთვის მასალა გროვდებოდა 6 თვის განმავლობაში. ის მოიცავს ინტერნეტ სივრცეში (სოციალური ქსელები, ონლაინ ჟურნალები თუ ვიდეო საიტები), გავრცელებულ პოსტებსა და რელევანტურ სტატიებზე დაწერილ კომენტარებს. საერთო ჯამში, გასაანალიზებლად აირჩია 500 კომენტარი. არჩეული პოსტები თუ სტატიები ეხება ქალის სურათს, ტაბუდადებულ თემას, როგორიცაა მაგალითად, მენსტრუაცია, ან ქალის შესახებ „სკანდალურ“ ინფორმაციას.

თვისობრივ და რაოდენობრივ კვლევასთან ერთად, მგროვებული ემპირიული მასალა გაანალიზდა ციფრული კომუნიკაციის დისკურსის თვალსაზრისით (კომპიუ-

ტერით წარმოებული დისკურსის ანალიზის (Computer-Mediated Discourse Analysis- CMDA) უახლეს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. ეს ინტერდისციპლინური მეთოდი მოიცავს ლინგვისტურ, კომუნიკაციის თეორიისა და რიტორიკაში გამოყენებული მეთოდების კომბინაციას. იგი შეიძლება წარიმართოს ენის 4 დონეზე: (1) სტრუქტურის, (2) მნიშვნელობის, (3) კომუნიკაციის, (4) სოციალური ქმედების დონეზე. გარდა ამისა, ენის სტრუქტურული კვლევის მიმართებით, კვლევა მოიცავს გენდერულად მარკირებული ახალი სიტყვების, ნეოლოგიზმების ან ენობრივი მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურების ანალიზს, ტიპოგრაფიული და ორთოგრაფიული მახასიათებლების შესწავლას. ენობრივი მნიშვნელობის კვლევა გულისხმობს სიტყვებისა და გამონათქვამებისა თუ სამეტყველო აქტების ან სხვა ფუნქციური ელემენტების (მაგ., მეტყველების მაკროსემანტების) კვლევას (Herring, 1996). კვლევის შემდეგი, კომუნიკაციური-ინტერაქციული დონე შეისწავლის ემპირიულ, ვერბალურ მასალას კონტექსტის თემის განვითარების, ჯერობის, დიალოგური თუ პოლილოგური აგების ენობრივი პარამეტრების გამოკვეთის თვალსაზრისით. ბოლოს, კვლევის ყველაზე ბოლო დონე კონცენტრირდა იმ ლინგვისტური სტრატეგიების გამოვლენაზე, რომლებიც განსაზღვრავენ ენობრივი (არა)თავაზიანობის, ენობრივი კონფლიქტის, შიდა და გარე სოციალური ჯგუფებისა და მიმართებების ტიპებსა და მახასიათებლებს. აქვე საინტერესოა სიძულვილის ენის, როგორც ციფრული გენდერულ-სპეციფიკური დისკურსის, ერთ-ერთი პრობლემის კვლევა.

მედიასივრცეში განთავსებული კომენტარები არჩეულია ხელით, რაც განპირობებულია რამდენიმე მიზეზით: (1) ქართულ ენაზე დაწერილი მასალის, ენის

სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კომპიუტერით გაანალიზება სირთულეს წარმოადგენს; (2) შესაძლოა სიტყვაში იყოს მართლწერის პრობლემები, რაც კომპიუტერისთვის რთული აღსაქმელი იქნებოდა; (3) სიძულვილის ენას არ გააჩნია რაიმე კონკრეტული ტერმინოლოგია, ის შეიძლება შეგვხვდეს ლექსიკური ერთეულების როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გამოყენებით, რაც კომპიუტერისთვის შეუძლებელი იქნებოდა აღსაქმელად.

როგორც აღინიშნა, ასობით კომენტარიდან, საბოლოო ჯამში, ემპირიულ მასალად გადაირჩა და გაანალიზდა 500-ამდე კომენტარი. გაანალიზდა, ასევე, ინფორმაცია კომენტარების ავტორების შესახებ, რომლებიც დაიყვნენ მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლებად, რათა დადგინდეს, თუ ვინ იყენებს სიძულვილის შემცველ ენას უფრო ხშირად. თუმცა გამოიკვეთა ნეიტრალური კატეგორიაც, რომელიც მოიცავს იმ კომენტარების ავტორებს, რომლებსაც არ უყენიათ სურათები და სახელითა თუ მეტსახელით მათი სქესის გარკვევა რთული ან შეუძლებელია (მაგ., სრული სახელის მაგივრად უწერიან მეტსახელი ან გამოგონილი სახელები. გარდა ამისა, შესაძლოა, პროფილი ეკუთვნის წყვილს და მოცემულია როგორც კაცის, ისე ქალის სახელი).

ონლაინ სივრცეში გაკეთებული კომენტარების სოციოლინგვისტური ანალიზიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი თემატიკის/ სოციალური ხატების წინ წამოწევა. ესენია:

- არატრადიციული ორიენტაციის მიუღებლობა.
- ტრანსგენდერების დისკრიმინაცია.
- განათხოვრების/ ყოფილი ცოლის სახის მიუღებლობა.

- ქალზე ძალადობის წახალისება.
- ფემიციდის გამართლება.
- თამამი/ დამოუკიდებელი/ წარმატებული/ სექსუალურად აქტიური ქალის სახის რღვევა.

სიძულვილის ენა სტერეოტიპებით იკვებება, შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ სტერეოტიპულად მოაზროვნე ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა არატრადიციული ორიენტაციის ადამიანი, ტრანსგენდერი, განათხოვარი ან წარმატებული ქალი, ხოლო მათზე ძალადობა და ფემიციდი, უმეტეს შემთხვევაში, არც კი არის დაგმოიბილი. შესაბამისად, ეს ჯგუფები ხშირად ხდებიან სიძულვილის ენის ადრესატები.

სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებში მისი გამოყენების სხვადასხვა ტაქტიკა გამოიკვეთა –პირდაპირი შეურაცხყოფა და განსხავებულის ან სტერეოტიპულად მიუღებელი პიროვნების მიმართ პირდაპირი თავდასხმა თუ შეფარული ირონია, ცინიზმი, იუმორი და სარკაზმი.

არატრადიციული ორიენტაციის ქალი

არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლებისადმი ქართულ საზოგადოებას განსაკუთრებული მიუღებლობა აქვს, შესაბამისად, როდესაც მათზე ან მათ მიერ რაიმე პოსტი თუ ვიდეო იდება, ხშირია ორივე სექსის წარმომადგენლებისგან სიძულვილის ენის გამოყენება. მაგალითისთვის, ტიკტოკ პლატფორმაზე აქტიურმა ღიად ლესბოსელმა გოგონამ საკმაოდ საჭირობოტო თემაზე გადაიღო ვიდეო. ვიდეოში ის საუბრობდა, რომ სექსუალური ურთიერთობისას აუცილებელია ქალის მიერ თანხმობა, მაშინაც კი, თუ წყვილი ცოლ-

ქმარია, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ძალადობაა და გაუპატიურებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. იქიდან გამომდინარე, რომ თემატიკაც და მოსაუბრის იდენტობაც ქართული საზოგადოებისთვის საკმაოდ მიუღებელია, ამ ვიდეოზე სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები ძირითადად ორი მიმართულებით შეგვხვდა: გოგონაზე, კონკრეტულად კი მის გარეგნობაზე თავდასხმა და ვიდეოს შინაარსზე თავდასხმა, ან ორივე ერთად:

- Calm down, არც არავინ გთავაზობს, იქით რომ დააძალო მაინც (კაცი).
- ალბათ უარის თქმას ყოველთვის გასწრებენ (კაცი).
- როცა მამაკაცი, თუნდაც დაქორწინებული, უარს იღებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალშიც უარი ექნება, ამიტომ ქალს თავიდანვე თავისი ადგილი უნდა მიუჩინო (კაცი)
- ამან რომ გამაუპატიუროს, მერე ვის მივმართო? (კაცი).
- ის *ლე გამოჩნდით, ვისაც ამან უარი გითხრათ (კაცი).
- ბოჭკა! (ქალი).

როგორც კომენტარებიდან ცალსახად ჩანს, გოგონას თავს ესხმიან მისი განსხვავებული გარეგნობის გამო და დამცირებით ეუბნებიან, რომ მას არავინ გააუპატიურებს, ეს ძალიანაც რომ სურდეს, ის არასასურველი ქალია, მას ყველა უარს ეუბნება. უფრო მეტიც, კვლავ მისი გარეგნობიდან და ორიენტაციიდან გამომდინარე, ერთი მამაკაცი ირონიულად აღნიშნავს, რომ მას თავად ძალუძს იყოს მოძალადე და კაცები გააუპატიუროს. აღსანიშნავია ერთი მამაკაცის კომენტარიც, რომელიც მოუწოდებს

ხალხს ძალადობისკენ, რომ ქალს ადგილი თავიდანვე მიუჩინოს, თორემ ცოლისგან მუდმივად უარი ექნება.

მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, რთულია ამ კომენტარებში სიძულვილის ამოცნობა, მათში წარმოდგენილი ლინგვისტური არჩევანი კომუნიკაციის დონეზე მოიცავს მას და დაფარულად ხელს უწყობს უმცირესობის ჯგუფების მარგინალიზაციას. უფრო მეტიც, მოუწოდებს მათზე ძალადობისკენ, რაც დისკურსის ანალიზის სოციალური ქმედების დონეს ეხმიანება.

იმავე თემატიკაზე ისაუბრა ცნობილმა ქართველმა აქტივისტმა ბაია პატარაიამ და აღნიშნა, რომ ქმრის მიერ სექსუალური ძალადობა მიუღებელია.

- 184-ე სკოლის სირცხვილია ეს რაღაცა (ქალი).
- ამას არავინ აუპატიურებს და ეჭვიანობს ალბათ. რას გავხარ, მოგიკვდა პატრონი (კაცი).
- ამას კარგი კაცი უნდა (კაცი).
- სხვა რომ გაუპატიურებს, ის არ უნდა მოითმინო, თორემ ქმარს ცოლი იმისთვის უნდა, გვერით რომ ჰყავდეს (კაცი).

მიუხედავად იმისა, რომ ბაია პატარაია არ არის უმცირესობის წარმომადგენელი, მისი აქტიურობა LGBTQIA+ თემისა და ქალთა უფლებების დასაცავად საზოგადოების გარკვეულ კატეგორიაში აგრესიას იწვევს და, შესაბამისად, იგი ხშირად ხდება სიძულვილის ენის ადრესატი. საინტერესოა აქ წარმოდგენილი პირველი

კომენტარი, სადაც მისი ავტორი ბაია პატარაიას მოიხსენიებს სიტყვა „რადაც“-თი, რომელიც ქართულ ენაში მხოლოდ უსულო საგანს მიემართება. ამით კომენტარის ავტორი ცდილობს სიძულვილის ენის ადრესატი დაამციროს და წარმოაჩინოს როგორც საგანი, ნივთი. მომდევნო კომენტარებში ასევე ჩანს იმის სურვილი, რომ შეურაცხყონ ადრესატი და წარმოადგინონ ის, როგორც არასასურველი ქალი, რომელსაც გაუპატიურებითაც კი არავინ გააუპატიურებს, ან დაუკმაყოფილებელი ქალი.

არაქალი

კომენტარების სიმრავლისა და სიმწვავედან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ტრანსგენდერობა ქართული საზოგადოების ნაწილისთვის საკმაოდ მიუღებელი და მგრძნობიარე თემაა.

- ვის რაში აინტერესებს ამ კაცის ცხოვრება (ქალი).
- ეს ფრჩხილები დაიმოკლე, თუ კაცი ხარ (ქალი).
- დაწვით, მაგის ჰიბრიდი დედას შე.....ი (ქალი).

საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ კომენტარების ადრესატის სახელი, გარეგნობა და არჩეული იდენტობა არის მდებარეობითი სქესისა, კომენტარის ავტორები მას მაინც კაცად ან ჰიბრიდად მოიხსენიებენ. ბუნებრივია, ეს ემსახურება მის დამცირებას და მისი ცვლილებისა თუ იდენტობის არადიარებას. სიძულვილის ენის ამგვარად სტრუქტურიზებას თან სდევს უმცირესობების ამ ჯგუფის მუდმივი დევნა და გარიყვა, მათი განსხვავებულად წარმოჩენა. განსხვავებულობა, კი, როგორც

უკვე აღინიშნა, საზოგადოებისთვის მუდმივ პრობლემას წარმოადგენს.

პოლიტიკურად განსხვავებული აზრი დიდ როლს თამაშობს სიძულვილის ენის გამოყენებისას. გოგონა, რომელიც რუსული კანონის წინააღმდეგ თბილისის ქუჩებში გამართულ მიტინგებზე გამოჩნდა და საზოგადოებამ „წყლის ჭავლთან მოცეკვავე გოგონა“ უწოდა, არ აღმოჩნდა გამონაკლისი და მისი ასაკის მიუხედავად (გოგონა არასრულწლოვანია), ხალხში, მოკლედ შეჭრილი თმისა და ჩაცმის განსხვავებული სტილის გამო, დიდი ვნებათა ღელვაც გამოიწვია.

- რა სიმპათიური ბიჭია (ქალი).
- ჯერ გაარკვიოს, გოგოა თუ ბიჭი (კაცი).
- გოგოს რა ეტყობა ამას, ან ადამიანის (ქალი).

ცინიზმით ხაზგასმამ გოგონას განსხვავებულ გარეგნობაზე მის და მისი თაობის წარმომადგენლების მენტალურ ჯანმრთელობაზე შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს. სიძულვილის ენის ერთ-ერთი უარყოფითი გავლენა სწორედ რომ ადამიანის გარიყვა და საკუთარი თავის გამოხატვის უფლების დაკარგვაა. „წყლის ჭავლთან მოცეკვავე გოგონაზე“ მასშტაბური ვერბალური თავდასხმა კი მისი თაობის წარმომადგენლებს, და არა მხოლოდ მათ, უბიძგებს, რომ მოექცნენ საზოგადოების მიერ დაწესებულ ჩარჩოებში, თუ მათაც არ სურთ სიძულვილის ენის სამიზნეები გახდნენ. ორივე შემთხვევაში ეს ფაქტორი მოზარდის მენტალურ ჯანმრთელობაზე დიდ გავლენას მოახდენს.

განათხოვარი ქალი

ტრადიციულ და კოლექტივისტურ საზოგადოებებში ოჯახის დანგრევა ტრადიციულად აღიქმება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ამის ინიციატორი ქალია. საქართველო არც ამ მხრივია გამონაკლისი. შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ ქალი, რომელიც მეუღლეს არ პატიობს ძალადობას, ღალატს, ცუდად მოპყრობას, ხშირად ხდება საზოგადოების მიერ ბულინგის მსხვერპლი და აღიქმება არა როგორც მსხვერპლი, არამედ დამნაშავე, რადგანაც მან ოჯახი დაანგრია:

- რა უნდათ ოთხი შვილის დედასთან (ქალი).
- ასე 10 წელში მეორად მაღაზიაში არის მაგის ბოლო (ქალი).
- ოთხი შვილის დედა რომ ოჯახს დაანგრევს, ის ისედაც მკვდარია (ქალი).
- ეგენი მეორად ნახმარი ტანსაცმელივით არიან (ქალი).
- რა ეშეყვარებულება ოთხი შვილის დედას. გადამრია ამ ხალხმა (ქალი).
- ეს ქალი ყოველგვარ საზღვრებს გასცდა, რაღაც ვიდეო დააბრუნვა, სადაც სახეების გარკვევა შეუძლებელია, თავმოყვარე ადამიანი პირველ რიგში საკუთარი შვილის მამას უნდა სცემდეს პატივს, ეს კი აშარი ქალივით იქცევა. უკვე ამაზრზენია ეს საქციელი და ერის სიძულვილს იმსახურებს (ქალი).

- არც ისე მიაბიტი ხარ, რომ რაიმე მოგეთმინა. აღარ მოგწონს სიღარიბე. მოგენატრა ხელგაშლილი ცხოვრება და ყველაფერს კადრულობ (ქალი).
- თვითონ მთელ ბატალიონს შემოაჯდებიან და მერე ვერ ეგუებიან ღალატს (კაცი).
- აღარ ჭირდება, გაიკეთა პიარი და გამორდა, ისე ვინ შეამჩნევდა (ქალი).
- შენი სიკვდილის უფლება რომ მქონდეს, ბებისტოლა ქალი ვარ, ალბათ, მოგკლავდი (ქალი).
- ღროა ბაწარში უყრიდე თავს (ქალი).
- მაგ გოგოს ყელი უნდა გამოსჭრა. შვილებს რა პასუხს გასცემს, რომ გაიზრდებიან, ალბათ უქმრო ქალს აღვირს ამოდებენ (ქალი).
- მე რომ კაცი ვიყო, არავითარ შემთხვევაში არ მოვიყვანდი არც განათხოვარს, არც ქვრივს, არც გამოცდილს, რად მინდა სხვისი ნაღეჭი ქალი, რა, ქალიშვილი ცოტაა, საზიარო ჰაერი მეზარება და ქალი რატომ მენდომებოდა, ჩემი უნდა იყოს ჩემი და არა ჩვენი (ქალი).

წარმოდგენილი კომენტარები მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, თუ როგორ სიძულვილს იმსახურებს ქალი, როდესაც ის თავისი ბედნიერებისთვის გაეცლება მოძალადე თუ მოღალატე ქმარს. საქართველოში განათხოვარ, ქმარგამორებულ ქალს აღარ აქვს სიცოცხლის უფლება: „ოთხი შვილის დედა რომ ოჯახს დაანგრევს, ის

ისედაც მკვდარია“, „შენი სიკვდილის უფლება რომ მქონდეს, ბებისტოლა ქალი ვარ, ალბათ, მოგკლავდი“, „დროა ბაწარში უყრიდე თავს“, „მაგ გოგოს ყელი უნდა გამოჭრა“; აღარ აქვს ბედნიერების და სიყვარულის უფლება: „რა ეშეყვარებულება ოთხი შვილის დედას. გადამრია ამ ხალხმა“, „რა უნდათ ოთხი შვილის დედასთან“; აღიქმებიან ნახმარ ნივთებად: „ეგენი მეორად ნახმარი ტანსაცმელივით არიან“, „...რად მინდა სხვისი ნაღუჩი ქალი“; სწამებენ ცილს და არიან დამნაშავეები: „აღარ სჭირდება, გაიკეთა პიარი და გამორდა, ისე ვინ შეამჩნევდა“, „არც ისე მიამიტი ხარ, რომ რაიმე მოგეთმინა. აღარ მოგწონს სიღარიბე. მოგენატრა ხელგამლილი ცხოვრება და ყველაფერს კადრულობ“, „თვითონ მთელ ბატალიონს შემოაჯდებიან და მერე ვერ ეგუებიან ღალატს“.

განსაკუთრებით გასაკვირი კი ის არის, რომ ამ სიძულვილით სავსე კომენტარების უმეტესობა დაწერილია ქალების მიერ, რომლებსაც, წესით, უფრო მეტი ემპათია უნდა ჰქონდეთ თავიანთი სქესის წარმომადგენლის მიმართ. თუმცაღა, ისინი ნაკლები ქალური სოლიდარობით უტევენ განსხვავებულ ქალებს და მოუწოდებენ მათ და, ამაყდროულად, სხვებსაც, რომ იცხოვრონ ტრადიციულად, საკუთარი ბედნიერების ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ ეს ქალები მოგვიანებით ზრდიან იმავე მსოფლმხედველობის, მოძალადე შვილებს. წარმოდგენილ კომენტარებში გამოყენებული ლინგვისტური არჩევანი როგორც სტრუქტურულად, ისე მნიშვნელობითა და საკომუნიკაციო „მესიჯით“ აშკარად შეიცავს სიძულვილის ენას, რომელიც მიემართება საზოგადოების კონკრეტულ წევრებს, ქალებს, რომლებიც უხვებენ დაწესებული ნორმებიდან. შესაბამისად, საზოგადოებას უბიძგებენ მათი დასჯისკენ.

მსხვერპლი ქალი

სოციალური სამართლიანობის ცენტრის (2021) კვლევის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ კონსტიტუციურად დაიწყო ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ოჯახში ძალადობის მზარდი სტატისტიკა მაინც შემამფოთებელია. მათ მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, ოჯახური ძალადობა აღიქმება, როგორც ოჯახის პირადი საქმე, რომელზეც გარშემომყოფები დიდად არ რეაგირებენ. ბუნებრივია, ეს დანაშაულის პრევენციას უშლის ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ წარმოდგენილი კომენტარების უმეტესობა ცნობილი ქართული სერიალის „ჩემი ცოლის დაქალები“ პერსონაჟს, კატოს, მიემართება, ის მაინც კარგად ასახავს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ხალხს ძალადობის მიმართ:

- ტკაცანის სუნი მცემს (კაცი).
- აი, კატოს პერსონაჟი ყველაფრის ღირსია, ძალიან უთავმოყვარეოა (კაცი).
- რა უსამართლობაა, დიტოს, ვისაც მართლა უყვარდა, ერთი შემორტყმა არ აპატიო და ამას რამდენს პატიობს (ქალი).
- აი კატო, თმებით გითრევდი! (ქალი)
- აუ ***ქალა პერსონაჟია ესეთები მართლა საცემები ხართ (კაცი).
- უარესად უნდა ეცემე (კაცი).
- სოსო მოძალადეა, კეთილი, მაგრამ კატოს საქციელი სწორია? (ქალი).

- რავი, ქმარს რომ თავზე გადავახტე და ასე ჩამარტყას, მე მაღლობელი ვიქნები, რომ თვალი ამიხილა და ჩემს ადგილზე დამაყენა (ქალი).
- პატარძალი რომ ხარ და ასეთ დროს აღიზიანებ ქმარს, წათაქებაც უნდა აიტანო. ჩემი ქმრისგან უარესები ამიტანია, სანამ გამწვრთნიდა ღირსეულ მეუღლედ (ქალი).
- ცოლი ქმარს რო არ დაემორჩილება და ენას წაიგდებს, მერე კაცზე იტყვიან, მოძალადეაო. ბევრმა ქალმა დაკარგა ზნეობა და პატიოსნება (ქალი).
- ხო ქმრებს არ უნდა მოუთმინოთ, პატრულში უნდა იბოზოთ, ბაია პატარაიამ ქმრის ძალადობაც ძალადობაო (კაცი).

